F75 N837

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

წლიწადი მეათე

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბ. საოლქო კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

# კომუნისტი

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან დღის 12 საათამდე.
ტელეფ. ) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებ-სათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონს ტექსტის ბოლოში—1 მან., ტექსტის შიგნით — 2 მან.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; გა[illegible] ცხადებები, გარდა გან[illegible]ების ფასისა, იხდის 1[illegible] % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

სამშაბათი, 1 აპრილი 1930 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 73 (2721)

## დ ღ ი უ რ ი

— საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ დაამტკიცა იუნგის გეგმა
— პოლონეთის სეიმის დათხოვნა
— ბრიუნინგმა შეადგინა გერმანიის ახალი მთავრობა
— დაიხურა სრ. ევროპის მშრომელ გლეხთა კონგრესი
— რუმინეთში, ჟილავის რაიონში, პოლიცია და მრეწველები ამზადებენ მუშების ხოცვა-ჟლეტას
— ლოძის საფეიქრო რაიონში 56.000 უმუშევარია და 35.000 ნახევრად უმუშევარი
— დემონსტრაცია ანტი - საბჭოთა კამპანიის წინააღმდეგ ვენაში
— ნავთის ახალი წყაროების აღმოჩენა ბაქოში

## პროფკავშირების მუშაობა უნდა გარდაიქმნას

მრეწველობის სოციალისტური რეკონსტრუქციის ამოცანა მთელი თავისი სიმწვავით აყენებს საკითხს ყველა იმ ორგანიზაციათა მუშაობის საფუძვლიანად გარდაქმნის შესახებ, რომელთა საქმიანობაც უშუალოდ დაკავშირებულია მრეწველობასთან. აშკარაა, რომ ამ ორგანიზაციათა შორის პროფესიონალურ კავშირებს ერთ-ერთი მთავარი ადგილი უჭირავთ. ამიტომ გასაგებია, რომ როგორც საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტმა, ისე პროფკავშირთა საკავშირო საბჭომ არა ერთი დადგენილება გამოიტანეს პროფესიონალური მუშაობის საფუძვლიანად გადახალისების შესახებ მრეწველობის ახალ ამოცანებთან დაკავშირებით. ამ დადგენილებათა დედააზრი გამოიხატება ლოზუნგში: „პროფკავშირებო, პირით საწარმოსაკენ!“

რამდენად შეასრულეს პროფესიონალურ ორგანიზაციებმა ეს დირექტივა? რა მიღწევები გვაქვს ამ მხრივ? შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ საქართველოს პროფესიონალური კავშირების მუშაობაში ჯერ კიდევ არ მომხდარა შესაფერი გარდატეხა. მრეწველობის მთელი რიგი საჭირბოროტო და დიდმნიშვნელოვანი საკითხები, რომელთა წარმატებით გადაწყვეტა შეუძლებელია მუშათა მასების აქტიური მონაწილეობის გარეშე, ჯერ კიდევ არ იპყრობს პროფესიონალურ ორგანიზაციათა სათანადო ყურადღებას. ამის მაჩვენებელია თუნდაც შემდეგი ფაქტი: ლითონზე მომუშავეთა კავშირში ფაბქარხკომების არჩევნების დროს სრულიად გამოტოვებულ იქნა მხედველობიდან წარმოების საკითხები. ამგვარი ვიწრო პროფესიონალური განხრა და ისიც მრეწველობის ისეთ მნიშვნელოვან დარგის პროფკავშირში, როგორიცაა ლითონის დამმუშავებელი წარმოება, აშკარად მოწმობს, თუ რამდენად ცუდი მდგომარეობაა პროფესიონალური მუშაობის გარდაქმნის დარგში ახალ ამოცანებთან დაკავშირებით.

ამდენადვე დამახასიათებელია პოლიგრაფიული მრეწველობის კავშირის დაუშვებელი გულგრილი დამოკიდებულება დანაკარგებთან ბრძოლის ამოცანებისადმი. აღსანიშნავია, რომ სულ უკანასკნელ დრომდე პოლიგრ. მრეწველობის კავშირის ცენტრალურ გამგეობას ეს საკითხი არც კი დაუსვამს დღის წესრიგში. ზედმეტია სხვა ასეთივე ფაქტების დასახელება. ასეთ მდგომარეობას ყველაზე უფრო მჭევრმეტყველურად მოწმობს ის ფაქტი, რომ საქართველოს მრეწველობის მიერ მიმდინარე სამეურნეო წლის პირველ კვარტალში საკონტროლო ციფრები ვერ იქნა შესრულებული. ჩვენ ჯერ-ჯერობით არ მოგვეპოვება საბოლოო ციფრები მეორე კვარტალის შესახებ, რომელიც უკვე დასრულდა, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ მთელ რიგ საწარმოების სამარცხვინოდ ჩამორჩენას სამრეწველო საფინანსო გეგმის შესრულების დარგში, შეიძლება ითქვას, რომ არც მეორე კვარტალში გვქონდა დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. ეს გარემოება კიდევ უფრო მწვავედ აყენებს პროფკავშირების წინაშე საკითხს იმის შესახებ, რომ მათ ძირ-ფესვიანად გარდაქმნან მუშაობის მეთოდი და ფორმა, რომ პროფესიონალური მუშაობა მჭიდროდ გადაესკვნას წარმოებას.

ძირითადი ამოცანა, რომელიც დგას ამჟამად მრეწველობის ყველა ძალების წინაშე, ესაა ბრძოლა საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულებისათვის. პროფესიონალურ ორგანიზაციათა მთავარი ყურადღება აქეთკენ უნდა იქნეს მიმართული. ამისათვის კი საჭიროა მასების აქტიურად ჩაბმა საწარმოო-საფინანსო გეგმის დამუშავებაში, მისი დანაწილება ისე, რომ თვითეულ ფაბრიკას, ქარხანას და თვითეულ ცეხსაც ჰქონდეს საერთო გეგმასთან შეთანხმებული საკუთარი საწარმოო -საფინანსო გეგმა. საჭიროა თვითეული დაზგის მუშა იცნობდეს თავის საწარმოს გეგმას და იმ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია ამ გეგმის შესრულებისაკენ.

ამასთანავე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საწარმოო -საფინანსო გეგმის წარმატებით შესრულების ერთ-ერთ მთავარ საშუალებას წარმოადგენს სოციალისტური შეჯიბრების კიდევ უფრო ფართოდ გაშლა, დამკვრელობის გაცხოველება და დანაკარგებთან ბრძოლის გაძლიერება. უნდა გადაჭრით ითქვას, რომ ამ ღონისძიებათა ჩატარების დარგში მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან მიღწევებთან ერთად ადგილი აქვს მრავალ ნაკლს. ჯერ კიდევ ბევრგან აღმოფხვრილი არ არის მავნე განხრა გარეგნულ ეფექტისადმი, რამაც საკმაოდ ფართო ხასიათი მიიღო სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის პრაქტიკაში. ხშირად შეჯიბრებაში გამოწვევა ან დამკვრელობა მეტწილად ფორმალურ ხასიათს ღებულობს. საზეიმო სიტყვებისა და ლამაზი რეზოლიუციების იქით საქმე არ მიდის. ბევრგან ასეთივე მდგომარეობას აქვს ადგილი დანაკარგებთან ბრძოლის დარგშიაც. სოციალისტური შეჯიბრების გენერალურმა შემოწმებამ, რომელიც ამ დღეებში იწყება, უნდა გამოამჟღავნოს ყველა ეს ნაკლი. პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა ულმობელი ბრძოლა უნდა გამოუცხადონ ცრუშეჯიბრებას და ცრუდამკვრელობას.

მეტად არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა გვაქვს ერთმმართველობის განხორციელების მხრივ. მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი თითქმის ყველა საწარმოში ადგილობრივადვე იქნა განხილული და შესაფერი დადგენილებებიც არის გამოტანილი, ერთმმართველობის პრაქტიკულად გატარება ჯერ კიდევ ყველგან არ მოხერხდა. ადგილობრივი პროფესიონალური და პარტიული ორგანიზაციები ზოგჯერ შეგნებულადაც უწევენ წინააღმდეგობას ერთმმართველობის განხორციელებას, ძათ არ სურთ ხელის აღება ოპერატიულ ფუნქციებზე. პროფკავშირისა და პარტუჯრედის ჩარევა ადმინისტრატიულ საქმეებში, როგორც ეს პრაქტიკამ ცხადჰყო, აფერხებს წარმოების მუშაობას და თვით პროფესიონალურ და პარტიულ ორგანიზაციათა საქმიანობას. მეორეს მხრივ, ზოგიერთ შემთხვევაში ადმინისტრაციაც გაურბის ერთმმართველობის გატარებას, რითაც ადმინისტრაცია თავს არიდებს პირად პასუხისმგებლობას წარმოების მდგომარეობისათვის. პროფესიონალური კავშირების მუშაობის გარდაქმნის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას შეადგენს ერთმმართველობის პრინციპის დაუყოვნებლივ და გადაჭრით გატარება. სასტიკად უნდა იქნას აღკვეთილი ყოველგვარი ცდა, რომელიც მიმართული იქნება ერთმმართველობის გატარების წინააღმდეგ.

ზედმეტია იმის მტკიცება, თუ რა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მრეწველობის წარმატებით განვითარებისათვის საწარმოო თათბირების მუშაობის გაცხოველებას. უკანასკნელ ხანებში დამკვრელობის, სოციალისტურ შეჯიბრების და წარმოების სხვა მიმდინარე საკითხების წამოყენების დროს საწარმოო თათბირების მუშაობას მოდუნება დაეტყო. ეს მაშინ, როცა ყველა ჩამოთვლილი საკითხები უნდა გამხდარიყვნენ საწარმოო თათბირების მუშაობის მთავარ საგნად. ეს მდგომარეობა დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს.

ლოზუნგი—„პროფკავშირებო, პირით საწარმოსაკენ“ — პროფესიონალურ ორგანიზაციებისაგან მოითხოვს ძალთა მაქსიმალურად დაჭიმვას, ცხოვრება აღარ ითმენს, საჭიროა მტკიცედ გვახსოვდეს, რომ **პროფმუშაობა თავისი ძველი ფორმებით და მეთოდებით წინ ეღობება მრეწველობის განვითარებას.** აქედან უნდა გამოვიტანოთ შესაფერი პრაქტიკული დასკვნა. პროფკავშირების მუშაობა უნდა გარდაიქმნას.

## „მარცხნიდან“ მარჯვნისაკენ

### (ტროცკისტების ევოლიუციის შესახებ)

**სოციალისტური მშენებლობის დიად სამუშაოთა ხუთწლიანი გეგმის შესრულების მეორე წელს აღარ ესაჭიროება მტკიცება იმას, რომ საბჭოების ქვეყანა, უდიდეს სიძნელეთა მიუხედავად, განიცდის საწარმოო ძალთა არაჩვეულებრივ განვითარებას და ყველა მუშებისა და გლეხობის თვალსაჩინო ნაწილის არაჩვეულებრივავე აღფრთოვანებას.**

ცოტად თუ ბევრად ობიექტიური მეთვალყურეები, ჩვენდამი მტრულად განწყობილ კლასებიდანაც კი იძულებულნი არიან აღიარონ ეს. აბა, მაგალითად, სტიუარტ ჩეიზის მიერ „ნიუ-იორკ ტაიმს“-ში 1929 წლის დამლევს მოთავსებულ წერილში ვკითხულობთ: „მშენებლობის აქანება საბჭოთა კავშირში იმდენად დიდია, რომ ამან უნდა განცვიფრებაში მოიყვანოს დიდესი ამერიკელი მოღვაწენიც და ქედი მოახრევიოს მათ“. ამ ცოტა ხნის წინად თეთრგვარდიელ ემიგრანტთა გაზეთ „დნი“-ს მიერ გამართული საუბრის დროს სიტყვა წარმოსთქვა ესერების მათუსაილმა—ო. ს. მინორმა, რომელიც ცნობილია თავისი სიძულვილით ბოლშევიკების მიმართ. იგი ისეთ რამეებში გატყდა, რის გაგონებაც მეტად საინტერესოა მისი წრის ადამიანისაგან. „მე ვფიქრობ,—სთქვა მან ა. პ. მარკოვის მოხსენების გამო საბჭოთა კავშირის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ,— რომ დროა თავი დავანებოთ „წინასწარმეტყველებას“. 13 წელიწადი მხოლოდ იმას ვაკეთებთ, რომ ვწინასწარმეტყველებთ ბოლშევიკების დაღუპვას და, როგორც ხედავთ, ყოველთვის ვცდებით. მომხსენებელი აქამად აჩქარებას იჩენს და წინასწარმეტყველებს, რომ აი რუსეთში შიმშილი იქნებაო და სხვ... მაგრამ შეიძლება თუ არა ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის მიმდინარე ცდებისაგან არაფერი გამოვა? მე, როგორც სოციალისტს, არ მეშინია იმ [illegible], რომლებიც კოლექტიურ შრომაში აბმენ გლეხს... უკანასკნელი ცნობებიდან სჩანს, რომ 7 თებერვლისათვის კოლექტიურად გაერთიანებული იყო 50 მილიონი მეტი მიწა ანუ დაახლოებით 12 მილიონი [illegible]

[illegible] ქცია. ჯერ კიდევ 1929 წელს ტროცკი ამხნევებდა თავს: „სიმტკიცე! ოპოზიცია სამარცხვინო თვითმკვლელობას ჩაიდენდა, დაღლილთა და სკეპტიკოსთა განწყობილებები რომ შეეთვისებია“. მაგრამ ამას სწეროდა ის კაცი, რომელიც ხელმძღვანელობდა ადამინთა მთელი ჯგუფის, ტროცკისტთა მთელი ფრაქციის თვითმკვლელობას რამდენიმე წლის განმავლობაში. საზღვარ-გარეთ მან ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ რაც შეიძლება ღრმად „დაესამარებია“ თავისი მომხრენი და რაც შეიძლება მკაფიოდ გამოემჟღავნებია ტროცკიზმის სრული შეუთავსებლობა ლენინის მოძღვრებასთან. მართალია, მის მცირერიცხოვან მომხრეებს ცამდე აჰყავთ იგი. მისი ამერიკელი მეგობრები უბადრუკ ჟურნალ „მილიტანტ“-ში ირწმუნებიან, რომ ტროცკის წერილებს ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორი მნიშვნელობაც ჰქონდა ლენინის წერილებს იმპერიალისტური ომის პერიოდში. ხოლო ტროცკის რომელიღაც გადამეტებით გულმოდგინე მაქებარმა პრეფმა ისიც კი დასწერა, რომ ლენინიზმი ხწროდ ტროცკიზმია. შეიძლება ეს მეტის მეტ უმსგავსობად გვეჩვენოს, მაგრამ ეს ფაქტია. „ბიულეტენ ოპოზიციის“ 1—2 ნომერში ჩვენ ვკითხულობთ: „ეგრედ წოდებული ტროცკიზმი არის რუსეთის დიდი რევოლიუციის მთელი გამოცდილების თეორეტიული ექსტრაქტი, „პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ნამდვილად მიმდინარე პროცესის“ (მარქსი) თეორეტიული გამოხატულება „ომებისა და რევოლიუციების ჩვენს ეპოქაში“ (ლენინი), ე. ი. „ტროცკიზმი“ სხვა არაფერია, თუ არა ორთოდოქსალური მარქსიზმი—ლენინიზმი“.

მაგრამ რა უნდა მოვთხოვოთ იმათ, ვინც ამჟამად ლ. ტროცკის მცირერიცხოვან „ამალას“ შეადგენს, როდესაც თვით ტროცკი შეუდარებელ პანეგირიკებს სწერს თავის თავზე „ავტობიოგრაფიის ცდაში“ („ჩემი ცხოვრება“). სამემუარო ლიტერატურას დღემდე არ ახსოვს ისეთი უსირცხვილო და ცრუ თავის ქება, რის ნიმუშებიც ლ. ტროცკიმ მოგვცა. [illegible]

ტროცკისტებს იმაზე უკეთესი ვერაფერი გამოუნახავთ, რომ სულთათანა უმღერონ რევოლიციას. „ოქტომბრის რევოლიუცია ღრმა კრიზისს განიცდის“, — სწერენ ისინი „ბიულეტენ ოპოზიციის“ პირველსავე ნომერში. აქედან გამომდინარეობს მათი პროგნოზი „აუცილებელი დაღუპვის“ შესახებ. ჩვენ არ მოვიყვანთ ტროცკისტების მიერ მე-15 ყრილობის შემდეგ არაერთხელ გამოთქმულ აზრს ტერმიდორის აუცილებლობის, „კერენსკის შებრუნებული რეჟიმის“ და იმის შესახებ, რომ ლენინის შემდეგ „ხელმძღვანელობა ოქტომბრის ფილმს ძირიკულად შლის“, რომ პროლეტარიატს ძალა-უფლება ხელიდან გამოეცალა, მართალია, რამდენადმე, შეიძლება თვალსაჩინოდ, მაგრამ არა გადამწყვეტად“.

ჩვენ გვინდა აქ უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ ტროცკიზმის თანამედროვე ეტაპზე. ტროცკიზმის ეს ეტაპი განსაკუთრებით მკაფიოდ არის გამოხატული ლ. ტროცკის იმ წერილში, რომელიც დაიბეჭდა საზღვარგარეთ „ბიულეტენ ოპოზიციი“-ის მარტის ნომერში. აქ წერილს ეწოდება „ეკონომიური ავანტიურიზმი და მისი საშიშროებანი“. ტროცკი ამტკიცებს, რომ ჩვენი ხუთწლიანი გეგმის მიერ აღებული ტემპი „არ არის არც მტკიცე და არც უზრუნველყოფილი“, რომ პარტიამ გადაისროლა ლოზუნგი „გავწიოთ წინ უკან მოუხედავად“, რომ „ზევიდან მოითხოვენ დამკვრელობის გაშლას, შეტევას“ და კიდევ ვინ იცის რას. ლ. ტროცკის აზრით, „ობიექტიური მასალები თანდათან უფრო ნათლად ამტკიცებენ, რომ, როგორც თეორეტიულად მოსალოდნელი იყო, აღებული ძალდატანის შეუფერებელი ტემპი, რომ ინდუსტრიალიზაცია ადმინისტრატიულ მათრახზეა დამყარებული“. ჩვენი ხუთწლიანი გეგმის ასეთი დახასიათება სრულიად არაფრით არ განსხვავდება იმისაგან, რასაც „სოციალისტიჩესკი ვესტნიკ“-ში სწერენ. [illegible]

[illegible] მიმართული მოძრაობა არის ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების მოძრაობა, არის მოძრაობა, [illegible]

[illegible] ვამბობთ იმ ამოცანაზე, რომ უმოკლეს ვადაში შევქმნათ ნაციონალური სოციალისტური [illegible]

[illegible] ნომრებში“, რომ „მრეწველობაში ავანტიურიზმი ბატონობს“ და სხვ. [illegible]

[illegible] ლავსკი.

## ჩინეთის წითელი არმიის ახალი გამარჯვებები

### ჩუ-დესა და მაო-ცზე-ტუნის წითელმა რაზმებმა ქ. ნანჩანი დაიკავეს.--ცზიანსის. ფუძიანის. გუანდუნის და ხუბეის პროვინციების მთელი რიგი მნიშვნელოვანი პუნქტები ჩინეთის წითელ არმიას უჭირავს.--მთელ რიგ რაიონებში არსებობს საბჭოთა ხელისუფლება.--მშრომელი გლეხობა აქტიურად ეხმარება კომუნისტურ რაზმებს.--„ტაიმს“-ის კორესპონდენტის ცნობით, რამდენიმე თვეში მთელი ხუბეის პროვინცია კომუნისტების ხელში გადავა.--ჩინეთის წითელმა არმიამ ხელთ იგდო ფრანგების აეროპლანი, რომელიც ყუმბარებს უშენდა საბჭოთა ტერიტორიას

### დაიხურა ევროპის გლეხთა კონგრესი.--კონგრესის მისალმება საბჭ. კავშირის მშრომელ გლეხობას

## საბჭოთა ხელისუფლება

### ჩინეთის მთელ რიგ რაიონებში

**რევოლიუციონური რაზმები მტკიცე პოზიციებს იჭერენ**

**შანხაი**, 30 მარტი. სამხრეთის ყველა კუთხეებიდან კვლავ მოდის ცნობები, გლეხთა მოძრაობის შესახებ. ბევრგან ეს მოძრაობა მეტად ფართო ხასიათს ღებულობს.

გაზეთები იძულებული არიან აღიარონ, რომ რევოლიუციონურ რაზმებს მეტად მტკიცე **უციონურმა რაზმებმა გუანდუნის სამხრეთ-და, განსაკუთრებით, ძიანსის პროვინციებში. გუანდუნის და ფუძიანის რამდენიმე რაიონი შეიძლება მთავრობისათვის დაკარგულად ჩაითვალოს.** უკანასკნელი ცნობებით, **რევოლიუციონურმა რაზმებმა გუანდუნის სამხრეთ-აღმოსავლეთში ჯედანი დაიჭირეს.** ფიქრობენ, **რომ იქ საბჭოთა მთავრობა მოეწყო.** რევოლიუციონური რაზმების წინააღმდეგ გაიგზავნა მთავრობის ჯარი. **ორი ათასამდე კარგად შეიარაღებული ჩინელი წითელარმიელი სანკოუს მახლობლად ტუნგუენის რაიონში შეიჭრა.** მათ წინააღმდეგაც ჯარი გაიგზავნა. **ნანტუნში კომუნისტურმა რაზმებმა განაიარაღეს პოლიცია, დაიჭირეს თვითმართველობის დაწესებულებები და თავიანთი ხელისუფლება გაავრცელეს მთელ რაიონზე.** გაზეთები ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ **საფრანგეთის მფრინავებმა** გუანსიში, ინდოჩინეთის მახლობლად, სროლა აუტეხეს საბჭოთა ტერიტორიას. იგივე გაზეთები იუწყებიან, რომ **აეროპლანი იძულებული გახდა დაშვებულიყო და ტყვედ ჩაუვარდა ჩინეთის წითელ არმიას.** მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ჩინეთის პრესა ძალზე ამცირებს მოძრაობის სიძლიერეს. მაგრამ იმ ცნობებიდანაც კი, რომლებიც პრესაში თავსდება, შეიძლება წარმოვიდგინოთ, თუ რამდენად ძლიერია მოძრაობა. (ადს).

**კომუნისტური მოძრაობა ხუბეის პროვინციაში**

**ლონდონი**, 30 მარტი. „ტაიმს“-ი ბეჭდავს თავის სპეციალური კორესპონდენტის (ჩინეთში) წერილს კომუნისტური მოძრაობის შესახებ ხუბეის პროვინციაში.

კორესპონდენტი ადასტურებს, რომ **ხუბეის პროვინციის 18 მაზრა ხელში ჩაიგდეს აჯანყებულ გლეხთა რაზმებმა, რომლებსაც მეთაურობენ კომუნისტები.** ქალაქების მოსახლეობა, გარდა მოხელეებისა, მსხვილი ვაჭრებისა და მემამულეებისა, სიხარულით ეგებება **კომუნისტურ რაზმებს.** იმ რაიონებში, სადაც დამსჯელმა ექსპედიციებმა დაამარცხეს აჯანყებულთა რაზმები, ჩამოვარდნილია შიმშილი, რადგან გლეხებს, რომლებიც მხარს უჭერენ აჯანყებულთა რაზმებს, ქალაქში აღარ მიაქვთ სურსათ-სანოვაგე.

კორესპონდენტი წინასწარმეტყველებს, **რომ მახლობელი თვეების განმავლობაში მთელი პროვინცია აჯანყებულთა გავლენის ქვეშ მოექცევა, რადგან კომუნისტების ლოზუნგებს დიდი გასავალი აქვსო.** (ადს).

**იმპერიალისტების პრესა შეშფოთებულია**

**შანხაი**, 30 მარტი. იმპერიალისტური პრესა უკმაყოფილოა „გლეხთა კომუნისტური მოძრაობის ფართო განვითარების“ გამო.

„ჩაინა უიკლი რევიუ“-ს მოჰყავს კომუნისტური რაზმების მოქმედების ახალი ფაქტები. გაზეთის ცნობებით, **ამ რაზმებმა ძიანსის დასავლეთ ნაწილში დაიჭირეს ქალაქები ტაინი და სინფინი, ხოლო ფუძიანის პროვინციის სამხრეთით დასავლეთ ნაწილში ქალაქი ხიცი.** ამ ქალაქებში საბჭოთა მთავრობა მოეწყო. ძიანსის პროვინციაში კომუნისტური რაზმები შემოერტყნენ ქალაქ ეჯოუს. გაზეთების სიტყვით, ბევრ ადგილას სასტიკად უსწორდებიან ხელისუფლების წარმომადგენლებს. კულაკები და მემამულეები უზანისაკენ გარბიან. ზუანგანში ფაქტიურად საბჭოთა ხელისუფლება არსებობს (ადს).

**წითელმა რაზმებმა ნანჩენი დაიკავეს**

**შანხაი**, 30 მარტი. როგორც ჰონკონგიდან იუწყებიან, **ჩუდეს და მაო ძე-ტუნის რაზმებმა დაიკავეს ნანჩენი,** რომელიც თუღზაჰიანის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს.

გაზეთები იუწყებიან, რომ მთავრობის ჯარი წითელ რაზმებს სუსტ წინააღმდეგობას უწევს. (ადს).

**ბრძანება ენ სი-შანისა და ფინ-იუისიანის „განადგურების შესახებ“**

**შანხაი**, 30 მარტი. გამოქვეყნდა გომინდანის ცენტრალური კომიტეტის ბრძანება, რომელიც ნანკინის მთავრობის არმიებს წინადადებას აძლევს—მოემზადონ „ენ სი-შანისა და ფინ-იუი-სიანის გასანადგურებლად“. (ადს).

## ევროპის გლეხთა კონგრესზე

**ცერგიბელმა დააპატიმრა კონგრესის 25 დელეგატი**

**ბერლინი**, 29 მარტი. **იტალიის მშრომელ გლეხთა წარმომადგენლის სიმონის სიტყვის** დროს კონგრესის შენობაში შეიჭრა პოლიცია, დაიწყო დოკუმენტების შემოწმება. თავმჯდომარე ამაოთ აცხადებდა პროტესტს სოციალ-დემოკრატ პოლიცეი-პრეზიდენტ ცერგიბელის ამ მოქმედების წინააღმდეგ. პოლიცია ორი საათის განმავლობაში ზედმიწევნით ყურადღებით სინჯავდა დოკუმენტებს და დააპატიმრა 25 კაცი. (ადს).

**პროტესტი კონგრესზე თავდასხმის წინააღმდეგ**

**ბერლინი**, 30 მარტი. გლეხთა სრულიად ევროპის კონგრესმა პოლიცეიპრეზიდენტს ცერგიბელს გაუგზავნა დელეგაცია, რომელსაც დაევალა პროტესტი განუცხადოს მას კონგრესზე თავდასხმის გამო და მოითხოვოს დაპატიმრებულთა დაუყოვნებლივ განთავისუფლება.

პროტესტის შედეგი ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული (ადს).

**ბურჟუაზია კმაყოფილია კონგრესზე თავდასხმით**

**ბერლინი**, 30 მარტი. ბურჟუაზიული, განსაკუთრებით აგრარიებთან დაახლოვებული პრესა უდიდესი კმაყოფილებით შეხვდა პოლიციის თავდასხმას გლეხთა კონგრესზე. პოლიცეიპრეზიდიუმთან ახლო მდგომი გაზეთი „ტემპო“ აშკარად სწერს, რომ კონგრესს ძლიერი მემარცხენე რადიკალური ელფერი დაჰკრავს და მუშაობს მოსკოვის მსგავსად, თუმცა საბჭოთა კავშირი კონგრესზე წარმოდგენილი არ არისო (ადს).

**კონგრესის უკანასკნელი სხდომა**

**ბერლინი**, 30 მარტი. თავის უკანასკნელ სხდომაზე ევროპის გლეხთა კონგრესმა მხურვალე ოვაცია გამართა საბჭოთა კავშირის ცაკის თავმჯდომარის ამხ. კალინინის პატივსაცემად და დაამტკიცა საბჭოთა გლეხობის სახელზე გამოსაგზავნი მისასალმებელი წერილის შინაარსი. კონგრესმა ერთხმად აირჩია სრულიად ევროპის გლეხთა კომიტეტი, რომელსაც მიენდო კაპიტალისტური ევროპის მშრომელი გლეხობის მოძრაობის ხელმძღვანელობა კონგრესის მიერ შემუშავებული პრინციპების მიხედვით.

ამის შემდეგ კონგრესი დაიხურა (ადს).

## დემონსტრაცია ანტი-საბჭოთა კამპანიის წინააღმდეგ

**ვენა**, 31 მარტი. **ვენაში მუშათა თავდაცვის რაზმებმა, კომკავშირელებთან ერთად, მოაწყვეს დემონსტრაცია საპროტესტო ლოზუნგით „ტერორთან ბრძოლის კანონისა“ და სამღვდელოების ანტი-საბჭოთა კამპანიის წინააღმდეგ. დემონსტრაციას ბევრი მუშა შეუერთდა.** პოლიციის რაზმი უკან მისდევდა დემონსტრანტებს. დემონსტრაცია დამთავრდა მასიური მიტინგით. კომკავშირის რიგებში შევიდა სოციალ-დემოკრატიული და უპარტიო ახალგაზრდობის 18 წარმომადგენელი. (ადს).

## მუშები სტოვებენ სოციალ-ფაშისტების პარტიას

**ვენა**, 30 მარტი. ავსტრიის კომუნისტურ გაზეთში „როტე ფანე“-ში გამოქვეყნებულია სოციალ - დემოკრატ მუშების მთელი რიგი წერილები. მუშები აცხადებენ, რომ სტოვებენ სოციალ - დემოკრატიულ პარტიას (ადს).

## პილსუდსკიმ ჩაწიხლა სეიმი

**ოპოზიციამ კიდევ ერთხელ გამოაშკარავა თავისი სიმხდალე**

**ვარშავა**, 29 მარტი. პილსუდსკის მომხრეთა გუშინდელი მუქარის შემდეგ დღეს დილიდან სეიმში დიდი მღელვარება იყო. ყველა ქიმკრების სეიმის რაიონში დაკავებული ჰქონდა პოლიციას, რომელიც შეიარაღებული იყო თოფებით და გაზიანი ბომბებით. დამფრთხალმა ოპოზიციამ სრული კაპიტულიაციის წინადადება მისცა უპარტიო ბლოკის თავმჯდომარე სლავეკს და აღუთქვა მას, რომ დღის წესრიგში არ იქნება დაშვებული არავითარი გამოსვლა, რომელიც უშუალოდ არ ეხება ბიუჯეტის საბოლოოდ მიღების საკითხს. პილსუდსკის მომხრეებმა რისხვა წყალობაზე შესცვალეს და სლავეკმა აცნობა თავისი ბლოკის დეპუტატებს, რომ სეიმის სხდომა შეიძლება დაშვებულ იქნას.

სხდომა გაგრძელდა 20 წუთს, მომხსენებელს სიტყვა არ წარმოუთქვამს და კენჭის ყრა მოხდა სამარისებური სიჩუმის პირობებში.

კენჭის ყრის შემდეგ დაშინსკიმ უსურვა დეპუტატებს დღესასწაულების მხიარულად გატარება და საქმე სრული იდილიით დამთავრდებოდა, რომ პილსუდსკის მომხრე და ნაციონალ- დემოკრატ დეპუტატს შორის მომხდარ სიტყვიერი შეჯახების შედეგათ საქმე მუშტ-კრივამდე არ მისულიყო. პილსუდსკის მომხრე დეპუტატმა ობსტრუქციისათვის მომზადებული რეზინის ჯოხი დასცხო ნაციონალ-დემოკრატს. კომუნისტებში, რომლებსაც სიტყვა არ მისცეს, რამდენიმე ლოზუნგით სამარცხვინო ბოძზე გააკრეს ოპოზიციის შეთანხმება ფაშისტებთან და სხდომა დასტოვეს „ინტერნაციონალის“ სიმღერით.

**ახალ მთავრობას ადგენს პოლკოვნიკი სლავეკი**

**ვარშავა**, 29 მარტი. პოლონეთის დეპ. სააგენტო იუწყება, რომ იან პილსუდსკიმ უარი სთქვა მთავრობის შედგენაზე.

**ვარშავა**, 30 მარტი. პრეზიდენტმა მთავრობის შედგენა დაავალა უპარტიო ბლოკის თავმჯდომარეს, ე. წ. „პოლკოვნიკთა ჯგუფის“ ლიდერს სლავეკს.

მთავრობაში ახალი მინისტრები იქნება პრემიერი სლავეკი და იუსტიციის მინისტრი ცარი. (ადს)

**დეკრეტი სეიმის სესიის დახურვის შესახებ**

**ვარშავა**, 30 მარტი. პრეზიდენტმა ხელი მოაწერა დეკრეტს სეიმის სესიის დახურვის შესახებ (ადს).

## ტერორი რუმინეთში

**მოითხოვენ საალყო წესების განახლებას ბესარაბიაში**

**ვენა**, 30 მარტი. რუმინეთის ფაშისტურმა ორგანიზაციებმა ბუქარესტში, იასში და კიშინიოვში მოაწყვეს რამდენიმე ანტისაბჭოთა კრება ლოზუნგით: „ბრძოლა ქრისტიანობისათვის, კომუნისტური ორგანიზაციების წინააღმდეგ, ყველა ნაციონალური ძალების მობილიზაციისათვის, რევოლიუციონური ორგანიზაციების წინააღმდეგ.

ფაშისტები მოითხოვენ საალყო წესების განახლებას ბესარაბიაში და რეპრესიების გაძლიერებას „ბოლშევიზმის აგენტების წინააღმდეგ“. ფაშისტი სტუდენტები ბუქარესტში და იასში შეუდგნენ „კომუნისტებთან მებრძოლ რკინის გვარდიის“ ორგანიზაციას და **მფრინავ რაზმების მოწყობას მუშათა გამოსვლების ჩასახშობად.**

გააფთრებული იერიშები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ უფრო და უფრო ხშირად თავსდება მისთვის ომის გამოცხადების მუქარით. ოხრანკის ორგანო „უნივერსულ“ ათავსებს წერილების სერიას „საბჭოთა საფრთხის შესახებ“ და სხვათა შორის აცხადებს, რომ **ბესარაბიის ზოგიერთ ადგილებში ახალწვეულები პოლკში გამოცხადების დროს საბჭოთა ხუთქიმიან ვარსკვლავს ატარებდნენ და „ინტერნაციონალს“ მღეროდნენ.**

მემარჯვენე ელემენტები ერთსულოვნად მოითხოვენ საალყო წესების განახლებას რუმინეთში. (ადს).

**ამზადებენ მუშების ხოცვა-ჟლეტას**

**ვენა**, 30 მარტი. ჟილავის რაიონში, სემიგრადიისა და ბანატის მთელ მრეწველობაში მეტად მძიმე მდგომარეობაა, რადგან რუმინეთის კაპიტალისტებმა დაიწყეს ახალი შეტევა მუშათა ხელფასის წინააღმდეგ, რაც მუშების მასიურ დათხოვნას იწვევს.

„დიმინეაცი“-ს გადმოცემით, **ჟილავის რაიონში ისეთივე მდგომარეობაა, როგორიც იყო ლუპენის სისხლის ღვრის წინ.** პოლიტიკური მდგომარეობის სიმძაფრემ უმაღლეს წერტილს მიაღწია. მუშების უკმაყოფილებას და მღელვარებას აძლიერებს ტერორი რეფორმისტული პროფკავშირებისა, რომელთაც ადგილობრივი ხელისუფლება ეხმარება. (ადს).

## პროფოპოზიციის გამარჯვება

**ბერლინი**, 30 მარტი. ზემო სილეზიის ქვანახშირის 12 მაღაროში რევოლიუციონურმა პროფორგანიზაციამ მიიღო 14.349 ხმა, რეფორმისტებმა — 8.037 ხმა, ქრისტიანულმა კავშირებმა — 6.988 და ფაშისტებმა—2.144 ხმა.

„კიილინგის და ტომას“-ის სალითონო საწარმოს ქარხკომში გავიდა პროფოპოზიციის 5 კანდიდატი და რეფორმისტების 2 კანდიდატი (ადს).

## ბრიუნინგის კაბინეტი

**ბერლინი**, 30 მარტი. პრეზიდენტმა ჰინდენბურგმა დაამტკიცა ბრიუნინგის კაბინეტი. საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა კურციუსი, შინაგან საქმეთა მინისტრად—ვირტი, სახალხო მეურნეობის მინისტრად—დიტრიხი (იგივე იქნება კანცლერის მოადგილედ), ფინანსთა მინისტრად—მოლდენჰაუერი, შრომის მინისტრად — შტეგერვალდი, სამხედრო მინისტრად — გრენერი და სხვა (ადს),

## უმუშევრობა ლოძში

**ვარშავა**, 30 მარტი. ოფიციალური ცნობების მიხედვით, ლოძის საფეიქრო რაიონში 56.000 უმუშევარი ირიცხება. ნახევრად უმუშევართა რიცხვი კი 35.000 ეაცს აღწევს.

## მაკდონალდის მთავრობა

### ხვრეტს არაბებს

**ბერლინი**, 30 მარტი. როგორც იერუსალიმიდან იუწყებიან, ხუთ არაბს კიდევ სიკვდილ-ით დასჯა მიუსაჯეს. ინგლისიდან პალესტინაში ახალი სამხედრო ნაწილები ჩავიდნენ (ადს).

## მენშევიკების შეთანხმება

### სოციალ-ფაშისტებთან

**ვენა**, 30 მარტი. მიღწეულ იქნა შეთანხმება სოციალ - დემოკრატებსა და ბურჟუაზიულ პარტიებს შორის „ტერორის საწინააღმდეგო კანონის“ მთავარ მუხლებში. სოციალ-დემოკრატებმა აღიარეს ფაშისტური და რეფორმისტული პროფკავშირების თანასწორუფლებიანობა (ადს).

## საფრ. პარლამენტმა

### დაამტკიცა იუნგის გეგმა

**პარიზი**, 30 მარტი. საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ 545 ხმით 40 ხმის წინააღმდეგ დაამტკიცა იუნგის გეგმა ,ადს).

## საბჭოთა აპარატის გამწმენდ კომისიების თავმჯდომარეთა თათბირი

### მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკების მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრებს, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის რწმუნებულს შუა აზიაში და საოლქო მუშგლეხინებს

**მოსკოვი**, 31 მარტი. მიმდინარე წლის 15 აპრილისათვის მოწვეულია თათბირი საბჭოთა აპარატის გამწმენდ კომისიების, რომლებიც არსებობენ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატებთან და საოლქო მუშგლეხინებთან. ყველა ზემოხსენებულმა ორგანიზაციებმა გამწმენდ კომისიების თავმჯდომარენი უნდა გამოგზავნონ ამ თათბირზე. შესრულებულ მუშაობის გასაზიარებლად ერთმანეთისათვის და აზრთა გაცვლა-გამოცვლისათვის საჭიროა აღრიცხულ იქნას შესამოწმებელ თანამშრომლების მონაწილეობა წმენდაში და მონაწილეობის ფორმები, პარტიულ, პროფესიონალურ და კომკავშირის ორგანიზაციების მონაწილეობა, კერძოთ კი—მონაწილეობა მსუბუქი კავალერიისა. დაწესებულებათა ხელმძღვანელების დამოკიდებულება წმენდისადმი, რომელი დაწესებულებებია უკვე გაწმენდილი, რიცხვი იმ თანამშრომლების, რომლებმაც უკვე გაიარეს წმენდა და აპარატის განსაახლებლად ახლად მიღებულ თანამშრომლების კატეგორიები. სოციალური შემადგენლობის ცვლილება წმენდის შემდეგ, აპარატის გაძლიერება დაწინაურებულ მუშებით, ახალგაზრდა სპეციალისტებით და კომუნისტებით( საჭიროა ციფრობრივი ცნობები). როგორ ხდებოდა დაწინაურება, როგორ ამზადებდენ დაწინაურებულთ: დაწინაურებულებს ამაგრებდნენ ცალკე მუშაკებზე სათანადო აპარატის მუშაობის შესასწავლად, თუ არსებობდა დაწინაურებულთა მომზადების სხვა მეთოდები (ციფრობრივი ცნობები დაწინაურებულთა შესახებ). როგორია დაწინაურების ნაკლოვანებები. ახერხებენ თუ არა დაწინაურებულები მუშაობის დაძლევას. საქმის ბიუროკრატიული გაჭიანურების, კლასობრივი ხაზის გამრუდების, მუშაობის სისტემის დამახინჯების, დაწესებულების შიგნით მუშაობის პარალელიზმის, ცალკე დაწესებულებათა მუშაობის და სტრუქტურის დეფექტების და მუშაკების დაუტვირთაობის დამახასიათებელი ფაქტები, რა გაკეთდა ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. რამდენად გაუმჯობესდა მუშაობა წმენდის შემდეგ. აპარატის გაიაფების, სტრუქტურის გამარტივების, აპარატის მუშაობის გამოცოცხლების და სხვ. დამახასიათებელი ფაქტები. შეკრებილ უნდა იქნას ყველა მასალები საშეფო ბრიგადების მუშაობის შესახებ. როგორ მოეწყო საშეფო ბრიგადები, თვით საწარმოთა თუ მუშგლეხინის და უწყებების ინიციატივით. როგორ ხორციელდება შეფობა. იღებს თუ არა მასში მონაწილეობას საწარმოო ან მხოლოდ ბრიგადაში გამოყოფილი ამხანაგები. როგორ მუშაობენ საშეფო ბრიგადები საბჭოთა დაწესებულებებში, მათი მუშაობის გეგმა. მათი ურთიერთ დამოკიდებულება მუშგლეხინთან. რა მოგვცეს კონკრეტულად საშეფო ბრიგადებმა საბჭოთა აპარატის გასაუმჯობესებლად. როგორ ეწყობა მუშათა ფართო მასების კონტროლი საბჭოთა აპარატზე, წმენდის შემდეგ, რა ზომებია მიღებული წმენდის შედეგების განსამტკიცებლად. როგორ მუშაობენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ადმინისტრაცია წმენდის შემდეგ.

ყველა ეს მასალები შემოწმებულ უნდა იქნას, რომ შესაძლებელი შეიქნას მათი გამოყენება საკ. ცენტრ. საკ. კომისია—მუშგლეხინის მოხსენებაში პარტიის XVI ყრილობაზე.

1930 წ. 29 მარტი.

საკ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარის გამ. **აკულოვი.**

## ამიერ-კავკასიის წყლის ტრანსპორტის ინსპექცია

**მოსკოვი**, 31 მარტი. ამიერ-კავკასიაში წყლის ტრანსპორტის მუშაობისათვის თვალყურის სადევნებლად გზათა კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოსთან ა.-კავკასიაში არსდება სამდინარო და ზღვის ტრანსპორტის ინსპექცია. (ადს)

## უკრაინელ კონტრ-რევოლიუციონერების პროცესი

**ხარკოვი**. 31 მარტი. სასამართლო შეუდგა ბრალდებულ **შილოს** დაკითხვას. შილო იყო უკრაინის სახელგამის კიევის განყოფილების სარედაქციო განყოფილების გამგე. ის აცხადებს, რომ მისი იდეალი იყო საბჭოთა ხელისუფლების დამხობა და მის მაგიერ დემოკრატიული წყობილების დამყარება.

შემდეგ დაკითხულ იქნა **გონცოვი.**

გონცოვი, რომელიც თავს თვლის ატეისტად მონაწილეობას იღებდა ავტოკეფალური ეკლესიის მუშაობაში და ფულებით ეხმარებოდა მას. საზღვარ გარეთ ყოფნის დროს გონცოვს შეხვედრა ჰქონდა ჩიკალენკოსთან, რომელიც განაგებდა უკრაინის „სახალხო მთავრობის“ პროპაგანდის განყოფილებას. გონცოვის შემდგომი დაკითხვიდან ირკვევა, რომ ის თავს თვლიდა ფაშისტად და მებრძოლ ნაციონალისტად. ყველაზე სასურველ სახელმწიფოებრივ ფორმად უკრაინისთვის მას მიაჩნდა, უკიდურეს შემთხვევაში, მონარქია.

შემდეგ ირკვევა, რომ გონცოვი მეცნიერებათა აკადემიაში მალავდა კონტრ-რევოლიუციონურ დოკუმენტებს, რომლებსაც მას შესანახად აბარებდა ეფრემოვი.

სასამართლო შეუდგა ბრალდებულ **გოლოსკევიჩის** დაკითხვას. გოლოსკევიჩი არის მღვდლის შვილი, უკრაინის მეცნიერთა აკადემიის სამეცნიერო თანამშრომელი. ბრალდებულს მოჰყავს მთელი რიგი საბუთები, რომლებიც ადასტურებენ „უკრაინის განთავისუფლების კავშირის“ თანამშრომლობას პოლონეთის კონტრ-დაზვერვასთან და ჯაშუშებთან.

პროკურორი ამხ. **იაკიმიშინი**, ეკითხება ბრალდებულს: „შეიძლება, თუ არა ჩავთვალოთ, რომ აკადემია წარმოადგენდა ჯაშუშების მისასვლელ ბინას“.

გოლოსკევიჩი ამ კითხვაზე დადებითი პასუხს აძლევს (ადს).

## ავანტიურისტი--ექიმბაში

**ბაქო**, 31 მარტი. ამ დღეებში სოფელ ბითლისში (განჯის ოლქის, შანხორის რაიონის ყველაზე უფრო ჩამორჩენილი და ყრუ სოფელი) ადგილობრივმა კულაკებმა და სამღვდელოებამ, რომლებიც ყოველნაირად ცდილობდნენ კოლექტივიზაციის საქმის შეფერხებას, გაავრცელეს ხმა, რომ ვითომ გამოჩნდა წმინდანი, რომელიც კურნავს დასნეულებულებს. ეს ამბავი სწრაფად მოედო მთელი შამხორის რაიონს.

ეს ვითომდა „წმინდანი“ ყოფილა ვინმე ჯავილ ჰუსეინი. მან განაცხადა, რომ სამი დღის მარხულობის შემდეგ მოახდენს დიდ მიწისძვრას. თუმცა ეს წინასწარმეტყველება არ ასრულდა, მაგრამ მასთან თავი მოიყარა მრავალმა დასნეულებულმა, სიფილისიანმა და უსინათლომ. „წმინდანთან“ მიდიოდა საღი ხალხიც იმის სანახავად, თუ როგორ ახდენდა იგი განკურნებას. შეკრებილ ხალხს მოუწოდებდნენ — არ დაეთესათ ბამბა, ენება მოეტანათ კოლმეურნეობათათვის, ექადაგათ სკოლების წინააღმდეგ და ყოველნაირად შეეშალათ ხელი საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

ამ აშკარა კონტრ - რევოლიუციონური და გაიძვერული გამოსვლების საპასუხოდ ადგილობრივმა ხელისუფლებამ დაიწყო განმარტებითი მუშაობა. ჩამოსული გლეხობა თანდათან დარწმუნდა, რომ არავითარი განკურნება არ ხდებოდა და იწყეს უკმაყოფილების გამოთქმა.

რაკი დაინახეს, რომ საქმე ცუდად მიდიოდა „წმინდანი“ და მისი დამქაშები მიიმალნენ. თან წაიღეს გლეხობისაგან მიღებული ფული.

ამჟამად მოტყუებული გლეხები „წმინდანისა“ და მისი დამქაშების წყევა - კრულვით შინისაკენ ბრუნდებიან. გლეხობის თხოვნით ადგილობრივი ხელისუფლება ღებულობს ზომებს დამალული ავანტიურისტების შესაპყრობად (ადს).

## ნავთის ახალი წყაროების აღმოჩენა

**ბაქო**, 31 მარტი. ნავთიჭალის რაიონში, მტკვრის მარჯვენა ნაპირიდან 12 ვერსის მანძილზე, ერთ-ერთ საგამომკვლევო ჭაბურღილში 194 მეტრის სიღრმეზე ნავთი აღმოჩნდა. ჭაბურღილი დღე-ღამეში იძლევა 35 ტონა ნავთს.

მცირე სიღრმე, წყლიანი ფენების არ არსებობა, ნავთის საგრძნობი რაოდენობა და სხვა ხელსაყრელი გეოლოგიური პირობები გვიჩვენებენ, რომ რაიონს სამრეწველო მნიშვნელობა აქვს .

ამჟამად იქ დაიწყო 9 საგამომკვლევო ჭაბურღილის თხრა. (ადს).

კომუნისტი

მიიღება ხელისმოწერა აპრილისათვის

მთ. კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფონი 8—81.

# გავაფართოვოთ ნათესები—განვამტკიცოთ კოლექტივიზაციის მიღწევები

## ფართოდ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება ნათესების გასაფართოვებლად და მოსავლიანობის გასადიდებლად

### ყოველმა კოლმეურნეობამ ამოცანად უნდა დაისახოს კოლექტივის მთელი მუშა-ხელის სრულად გამოყენება და თვითეული წევრის დაინტერესება შრომის ნაყოფიერების გადიდებით

### ჩვენ აღვნიშნავთ ბოსტნეულის თესლის მწვავე ნაკლებობას ადგილებზე.—თესლის უქონლობა ჩაშლის საფრთხეს უქადის ბოსტნების გაშენების გეგმას

## ყურადღება მებოსტნეობის განვითარებას

მებოსტნეობის განვითარებას ამჟამად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, რადგან არსებული სასურსათო დაბრკოლებების გადალახვა, სამრეწველო ცენტრების სურსათ-სანოვაგით მომარაგების გაუმჯობესება და შრომის ხელფასის რეალური დონის ამაღლება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენათ გაფართოვებული და გაუმჯობესებული იქნება ბაღ-ბოსტნების მეურნეობა.

სავაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმით წელს ბოსტნები საქართველოში გაშენებული უნდა იქნეს 10.759 ჰექტარზე. ამას გარდა 9360 ჰექტარის სივრცეზე უნდა დაითესოს კარტოფილი, აქედან 3.500 ჰექტარი კონტრაქტაციის წესით.

ჩვენში ყოველგვარი წინასწარი პირობებია იმისათვის, რომ მებოსტნეობამ ფართო სამრეწველო ხასიათი მიიღოს, მაგრამ ეს დარგი დღემდე უყურადღებოთ არის მიტოვებული.

ადგილებიდან მიღებულ ცნობებიდან სჩანს, რომ ადგილებზე ბოსტნეულის თესლის დიდი ნაკლებობაა. ადგილები ჩივიან, რომ თუ უახლოეს დღეებში მიღებული არ იქნა თესლი, ბოსტნების თესვის გეგმა ჩაიშლება.

რა არის ამის მიზეზი?

ის, რომ თესლის დასამზადებლად თავის დროზე არ ყოფილა მიღებული ზომები. მაგალითად, გეგმის მიხედვით წელს კარტოფილი უნდა დაითესოს 9360 ჰექტარზე, შემოტანილი და ადგილობრივ დამზადებული თესლით კი უზრუნველყოფილია მხოლოდ 3.000 ჰექტარი. თავის თავად ცხადია, ასეთ პირობებში გეგმის შესრულება რეალური საფრთხის წინაშე სდგას.

მებოსტნეობის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საწარმოო კონტრაქტაციის პრაქტიკის ფართოდ გამოყენებას. კონტრაქტაცია გულისხმობს მთესველებისათვის საწარმოო ავანსების, თესლის, გაუმჯობესებული მანქანა-იარაღების მიწოდებას, აგრონომიული დახმარების საქმის გაუმჯობესებას და სხვ.: კონტრაქტაციის მხრივ მდგომარეობა არაა დამაკმაყოფილებელი, რაც ნათლად სჩანს იქიდან, რომ გეგმით გათვალისწინებულ 10.759 ჰექტარ ბოსტნებიდან კონტრაქტაციის წესით უნდა დაითესოს მხოლოდ 3.000 ჰექტარი; კარტოფილის კონტრაქტაცია კი 9360 ჰექტარიდან უნდა ჩატარდეს მხოლოდ 3.500 ჰექტარზე.

აუცილებელია მებოსტნეობის განვითარებას სერიოზული ყურადღება მიექცეს. სოფლის მეურნეობის ამ მნიშვნელოვანმა დარგმა სათანადო ადგილი უნდა მოიპოვოს ჩვენი ორგანიზაციების ყოველდღიურ საქმიანობაში. საბოსტნე ადგილების დამუშავება უკვე დაიწყო, ამიტომ სასწრაფო ზომები უნდა იქნეს მიღებული საჭირო თესლის და საწარმოო ინვენტარის გამოსანახავად.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციამ და ადგილობრივმა სამიწადმოქმედო ორგანოებმა უნდა გააძლიერონ ყურადღება მებოსტნეობისადმი და მიიღონ ყოველგვარი ზომები, რომ ბოსტნების გაშენების გეგმა შესრულებული იქნეს.

წითელქალაქი (გორის ოლქი) კოლექტივ „თეძამი"-ს წევრები სხლავენ ვენახს

## თბილისის დეპოს მუშების საჩუქარი

### საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის მშრომელ გლეხებს

თბილისის დეპოს მუშებმა ცალკე საამქროთა კრებებზე განიხილეს საკითხი ა.-კავკასიის მოძმე რესპუბლიკების ინტერნაციონალური კავშირის განმტკიცების შესახებ.

მუშებმა აღნიშნეს მთელი რიგი მიღწევები ა.-კავკასიის ფედერაციის განმტკიცების საქმეში და საჭიროთ სცნეს ამ დარგში გადადგმულ იქნეს კიდევ ერთი ახალი ნაბიჯი.

დეპოს მუშების მიერ ერთხმად მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ ამიერ-კავკასიის მოძმე რესპუბლიკებს შორის კავშირის კიდევ უფრო განმტკიცებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა დღეს, როცა პარტიისა და ხელისუფლების წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით დასმულია უდიდესი ამოცანა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის და კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის შესახებ მთლიან კოლექტივიზაციის რაიონებში.

დეპოს მუშები ერთხმად ადგენენ საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის მთლიან კოლექტივიზაციის რაიონებისათვის შეიძინონ სამი ტრაქტორი.

ტრაქტორების შესაძენად დეპოს მუშებმა საქ. პროფსაბჭოს სალაროში უკვე შეიტანეს ბე.

ტრაქტორები მიღებისთანავე გაეგზავნება მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში მომუშავე ბრიგადებს.

## კოლაგის კოლექტივი

### (კახეთი)

კოლაგის სასოფლო - სამეურნეო არტელი „ახალი ცხოვრება" იმ კოლექტივების რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც დღეს გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებენ საწარმოო გეგმის შესრულებისათვის. ხსენებული კოლექტივი დაარსდა 1928 წელს. 13 კომლისაგან შემდგარმა კოლექტივმა თავდადებული და სამაგალითო მუშაობის წყალობით მალე მოიპოვა ავტორიტეტი სოფლის მოსახლეობაში. მცირე რიცხოვანი ოჯახი თან-და-თან ივსებოდა ახალი წევრებით. 1930 წლის დამდეგს კი მთელი სოფელი (შავსიელების და კულაკების გარდა)—268 კომლი გადავიდა კოლექტივიზაციაზე. გურჯაანის რაიონში კოლაგის კოლექტივი ერთად-ერთია, რომელიც აერთიანებს მთელი სოფლის მოსახლეობას. ამიტომაც დღეს სწორეთ კოლაგის კოლექტივისკენ არის მიმართული კულაკების და ანტი-საბჭოთა ელემენტების მთავარი იერიშები.

—კოლექტივები ყველგან დაიშალა, თქვენ რაღას უყურებთ, რატომ არ გეიქცევით მხარს! კოლექტივი დაშალეთ, თორემ თავს დაგესხმებით და განანებთ.

მიუხედავათ კულაკების ათასგვარი საზიზღარი პირობისა და მუქარისა, კოლაგის კოლექტივის წევრები მტკიცედ განაგრძობენ მუშაობას და დღემდე ერთი წევრიც არ ჩამოშორებია მათ. რით აიხსნება ეს? უპირველეს ყოვლისა იმით, რომ კოლექტივიზაციის ჩატარების დროს არავითარ ძალდატანებას და ადმინისტრატიულ ზომების გამოყენებას არ ქონია ადგილი. კოლაგის კოლექტივი თავიდანვე შეუდგა მოსახლეობაში ახსნა-განმარტებითი და მოსამზადებელი მუშაობის ჩატარებას. კოლექტივის წევრებმა თავის მუშაობის ცოცხალი მაგალითით დაუმტკიცეს გლეხობას კოლექტიური მეურნეობის უპირატესობანი კერძო მეურნეობის წინაშე. შემდეგი ფაქტი ნათლად ამტკიცებს ამას: როცა მახლობელ სოფელში იძულებით შექმნილი კოლექტივი დაიშალა, კოლაგის კოლექტივის ხელმძღვანელებმა მოიწვიეს საერთო კრება: ვისაც კოლექტივი არ მოგწონთ, შეგიძლიათ დაიბრუნოთ თქვენი ქონება და გახვიდეთ, ვისაც დარჩენა გსურთ, განცხადებები შემოიტანეთო—უთხრეს გლეხებს. კრებაზე ერთი არ აღმოჩნდა ისეთი, რომელსაც მეორე დღეს განცხადება არ შეეტანოს კოლექტივში დარჩენის შესახებ. ამის შემდეგ კოლექტივმა ჩაატარა წმენდა და გამორიცხა რამოდენიმე უცხო, უვარგისი და ხელისშემშლელი ელემენტი.

კოლექტივიზაციის წინასწარი პირობების მომზადებაში თვალსაჩინო ადგილი ეჭირა გლეხ-ქალთა შორის მუშაობას. უნდა აღინიშნოს, რომ კახეთის ზოგიერთ რაიონებში მივიწყებულია გლეხ-ქალთა შორის მუშაობა. ამით სარგებლობენ კულაკები და ქალების ჩამორჩენილ ნაწილს იყენებენ კოლექტივების წინააღმდეგ. კულაკებმა კოლაგშიაც მოინდომეს თავისი „ქალთა-განყოფილების" ჩამოყალიბება, მაგრამ მათი ცდები უშედეგოთ დამთავრდა და კოლექტივის წევრი - ქალები ასობით გადიან მინდვრად სამუშაოთ.

ქონების გაერთიანების დროს ხელმძღვანელებმა დაუშვეს ერთი შეცდომა და მეწველი საქონელიც გააერთიანეს, მაგრამ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების მიღებისთანავე შეცდომა გამოსწორებულ იქნა.

კოლექტივმა დამაკმაყოფილებლად ჩაატარა გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის სამზადისი. სათესლე ფონდის შეგროვება (შეაგროვეს 150%), თესლის გაწმენდა და შეწამვლა, მანქანა-იარაღების შეკეთება წარმატებით დამთავრდა. საწარმოო გეგმა დამუშავებულ იქნა გლეხების აქტიური მონაწილეობით. იმ მუშაობის მიხედვით, რომელიც ჩატარებულია დღემდე, თამამათ შეგვიძლია ვთქვათ, რომ კოლაგის კოლექტივი თავის საწარმოო გეგმას გადაჭარბებით შეასრულებს. კოლექტივის მეურნეობის ძირითად დარგს მევენახეობა შეადგენს; დამხმარე დარგებია: მემინდვრეობა, მესაქონლეობა და მებოსტნეობა. მევენახეობის დარგში გეგმის მიხედვით გათვალისწინებულია 95 ჰექტარი ვენახის დამუშავება და 10 ჰექტარზე ახალი ვაზის ჩაყრა. ამჟამად ვენახების გასხვლა, მავთულების გაბმა და ჭიგოების შედგმა შესრულებულია 80%-ით. ახალი ვაზისთვის გადაბრუნებულია 8 ჰექტარი მიწა.

პურის თესვა დამთავრდა. პური დათესილ იქნა გეგმით გათვალისწინებულ რაოდენობაზე 20%-ის გადამეტებით. სიმინდი უნდა დაითესოს 100 ჰექტარი, მოხნულია 50 ჰექტარი. დაუღალავი „ხოლტი" ორიოდე დღეში დანარჩენ მიწებსაც გადახნავს და აპრილის პირველ რიცხვებში შეუდგებიან სიმინდის თესვას.

რაც შეეხება მესაქონლეობას, ამ დარგში მთელ რიგ კოლექტივებისათვის მტკივნეული საკითხია კვების საკითხი. საკვები მარაგის დამზადებას არ ექცეოდა ყურადღება, რამაც ზოგიერთ ადგილებში საქონლის დაუძლურება და დავარდნა გამოიწვია. კოლაგის კოლექტივი უზრუნველყოფილია საკვები მარაგით. საქონელს უკვე ემჩნევა წესიერათ მოწყობილი კოლექტივის მზრუნველი ხელი. ზოგიერთი დაეჭვებული გლეხებიც კი იძულებულნი არიან აღნიშნონ:

— ასეთი მოვლა არასდროს არ ქონია ჩვენ საქონელსო!

შრომის მოწესრიგებით კოლექტივს მიეცა ყველა თავის შესაძლებლობათა გამოყენების საშუალება. კოლექტივმა სულ მოკლე ხნის განმავლობაში საკუთარი ძალებით შესძლო საწყობის და სამჭედლო - სახელოსნოს შენობების აგება. ეხლახან მოაწყვეს ფეხსაცმელების სახელოსნო, რომელიც შესძლებს კოლექტივის წევრთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. სახელოსნოები უზრუნველყოფილია მასალით.

შრომის აღრიცხვა და მუშა-ხელის განაწილება წესიერათ სწარმოებს. უკანასკნელი თვეების განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ რომელიმე წევრს უკმაყოფილება გამოეთქვას. ყველა ამ მიღწევებთან ერთად კოლაგის კოლექტივს დიდ ნაკლად უნდა ჩაეთვალოს ორი გარემოება: პირველი —კოლექტივში დღემდე არ არის ჩამოყალიბებული საწარმოო თათბირი, მეორე — ხელმძღვანელი ამხანაგები მცირე ყურადღებას აქცევენ მოჯამაგირეთა და ღარიბთა ჯგუფებს შორის მუშაობის გაშლას.

კოლაგის კოლექტივი ჯანსაღი ორგანიზაციაა. ეს კი იმის თავდებია, რომ ნაკლი გამოსწორებული იქნება და კოლექტივი შესძლებს იმ სახელის გამართლებას, რომელსაც ის ატარებს.

**კონ. ლორთქიფანიძე.**

## ხვნა-თესვა გაცხოველებით მიმდინარეობს

### მიწები მზადაა დასათესად

**ჩოხატაური, 31 მარტი.** (საქ. კორ.). ძიმითის თემი აერთიანებს 890 კომლს. კოლექტივში შევიდა 310 კომლი 185 სული ხარ-კამეჩით. სიმინდის დასათესად გამზადებულია 205 ჰექტარი მიწა, ხოლო ჩაისთვის—85 ჰექტარი. მიღებულია 9 გუთანი. მუშასაქონლის ნაწილი ზედმეტია რაიონისათვის. კოლექტივის გამგეობაში შესულია 24 კომლის განცხადება კოლექტივში მიღების შესახებ.

ნაგომრის თემში დასათესად მზად არის 280 ჰექტარი მიწა, ჩაისთვის—60 ჰექტარი. თემში 200 კომლია, აქედან გაერთიანებულია 150 კომლი 104 უღელი ხარით. მიღებულია 10 გუთანი, 20 კულტივატორი და ხუთი სათესი მანქანა. შემოდის ახალი განცხადებები კოლექტივის წევრად მიღების შესახებ.

—:—

### მუშაობა გაჩაღდა

**ნატანები, 31 მარტი** (საქ. კორ.). ნატანების მთლიან კოლექტივში ყოველდღე მუშაობს 170 უღელი ხარი. გეგმით გათვალისწინებულ 1.000 ჰექტარიდან მოხნულია 240 ჰექტარი. მუშაობა მიმდინარეობს მანდარინების დასარგავად. შრომის დისციპლინა მტკიცდება.

—:—

### ითესება შეუწამლავი თესლი

**ქუთაისი, 31 მარტი.** სპეც. კორ.). ქვემო-ხვანისში მოეწყო 5 სახ.-სამ. არტელი. აქედან ერთი არტელი დაიშალა. ამჟამად არსებობს ერთი მესაქონლეობის და 3 მეფუტკრეობის კოლმეურნეობა. ხვნა-თესვა დაიწყო. ითესება შეუწამლავი თესლი, რადგან წამალი არ არის.

### მოხნულია 2.928 ჰექტარი მიწა

**ჩხარი, 31 მარტი.** (სპეც. კორესპ. რაიონში 15 კოლექტივია. კოლექტივების წმენდა ეხლა იწყება. კოლექტივებიდან თავისი სურვილით გავიდა 148 წევრი. მოხნულია 2.928 ჰექტარი მიწა, მათ შორის კოლექტივებში—2.516 ჰექტარი. დათესილია 2.416 ჰექტ. ორი-33 ჰექტარში. ვენახი დამუშავებულია მთლიანად. ახალი ვენახებისათვის გადაბრუნებულია 86 ჰექტარი მიწა. კოლექტივებში გამოყოფილია სათესლედ 10 ჰექტარი. თესლი გაწმენდილი და შეწამლულია.

—:—

### „სოფლის კავშირის" ხელმძღვანელობა არ სჩანს

**ზანი, 31 მარტი.** (სპეც. კორესპ.) რაიონში 25 კოლექტივია. მოხნულია სახნავი მიწის 70 პროც. აღსანიშნავია, რომ საქონლის საკვებად მიღებული 15 ვაგონი ბზე გამოსადეგი არ არის. ეს თივა 3 დღე სადგ. კოპიტნარში წვიმაში ეყარა, გაფუჭდა 3 ვაგონი თივა და ბზე. მიღებულია ბოსტნეულის თესლი, მაგრამ გაურკვეველია, რის თესლია და რა ღირს. საერთოდ „სოფლის კავშირის" ხელმძღვანელობა სრულებით არ არის დამაკმაყოფილებელი. შენდება ბინა 4 გამწევი კოლონისათვის, მაგრამ დროზე ვერ დამთავრდება, რადგან არ არის საამშენებლო მასალა და ტეხნიკური პერსონალი საქმეს გულგრილად ეპყრობა. გამოგზავნილ ხარების კოლონაში ბევრი უვარგისი საქონელია, რასაც შეუძლია სახელი გაუტეხოს გამწევ კოლონების იდეას.

### გეგმა დროზე იქნება შესრულებული

**[illegible], 31 მარტი.** (საქ. კორ.). ჩოჩხათის მთლიან კოლექტივში მინდვრად მუშაობს 312 უღელი ხარი და 1550 მუშა ხელი. გეგმით გათვალისწინებულ 1.250 ჰექტარიდან მოხნულია 500. ჩაის დასათეს 90 ჰექტარიდან დაბარულია და დათესილია 75 ჰექტარი. გეგმა დროზე შესრულდება.

—:—

### დახნულია მიწების 90 პროც.

**ბაღდათი, 31 მარტი.** (სპეც. კორ.). რაიონში არსებობს 8 არტელი, რომელშიაც გაერთიანებულია 362 კომლი 4.967 ჰექტარი მიწით. კოლექტივებიდან გარიცხულ იქნა 40 კულაკური მეურნეობა. ვენახების დამუშავება დამთავრდა. დახნულია სახნავ-სათესი მიწები 90 პროცენტზე მეტი. კოლექტივებმა გადააბრუნეს 100 ჰექტარი სავენახე მიწა,

რაიონში სრულებით არ მოიპოვება სოიას თესლი, საჭირო კი არის 1.200 ფუთი, ლობიო საჭიროა 1073 ფ. რაიონში არ არის თივა.

—:—

### უთავბოლო მუშაობის ნიმუში

**ახალსენაკი, 31 მარტი.** (საქ. კორ.). მარტვილის რაიონში, გარდა 80 გამოუსადეგარი ცხენისა, „სოფლის კავშირმა" ეხლა გადმოგზავნა 150 გუთანი, რომლებიც რაიონს არ ესაჭიროება. გუთნები საწყობში ყრია. ეს უთავბოლობა დიდ ხარჯებს და უკმაყოფილებას იწვევს. რაიონს სჭირდება რამდენიმე ფურგონი, რომ უქმად მდგომი ცხენები გამოიყენოს. მარტვილის რაიონში აგრონომების მუშაობა სათანადო სიმაღლეზე ვერ სდგას.

### თესლის გამოგზავნას აგვიანებენ

**ქუთაისი, 31 მარტი.** სამტრედიის და ქუთაისის რაიონში ლობიოს თესვის დრო უკვე დიდი ხანია დადგა, მაგრამ, მიუხედავად არაერთი მითითებისა, „სოფლის კავშირს" სათესლე მასალა ჯერ არ გამოუგზავნია. (ადს).

—:—

### მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობა

**ქუთაისი, 30 მარტი.** სამტრედიაში გაცხოველებული ტემპით გაიშალა მუშაობა მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობის მოსაწყობად 200 ჰექტარზე. 10 ჰექტარი გამოყოფილია ბოსტნეული კულტურებისათვის, დანარჩენი სოიასათვის.

საბჭოთა მეურნეობისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთი თითქმის მთლიანად ბუჩქნარია, რომლის გაწმენდაზე ამჟამად 800 კაცი მუშაობს, ფართობის გაწმენდისთანავე დაიწყება დახვნა. სულ დღემდე მოხნულია 10 ჰექტარი. თესლით საბჭოთა მეურნეობა სავსებით უზრუნველყოფილია. საბჭოთა მეურნეობის მოსაწყობად გაღებულია 890.000 მანეთი. (ადს).

—:—

### გეგმა დროზე ვერ შესრულდება

**ოზურგეთი, 31 მარტი.** (საქ. კორ.). ლანჩხუთის რაიონის კოლექტივებში დღემდე მოხნულია 2.820 ჰექტარი მიწა. 15 აპრილამდე უნდა მოიხნას 17.510 ჰექტარი. ჯერ გეგმის მხოლოდ 16 პროცენტია შესრულებული. მიუხედავად მინდვრად წარმოებულ გაცხოველებულ მუშაობისა, გეგმა დროზე ვერ შესრულდება.

## ცნობები კოლექტივიზაციის ფრონტიდან

(ჩვენი საქ. კორესპონდენტებისა და ა-კ. დეპ. სააგენტოსაგან)

### კონტრაქტაცია

**გურჯაანი, 30 მარტი.** ტეხნიკურ კულტურების კონტრაქტაცია ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული. განსაკუთრებით ჩამორჩება ბამბა (300 ჰექტარი—500-ის ნაცვლად). ნამყენების კონტრაქტაცია დიდი წარმატებით მიმდინარეობს, (ადს).

—:—

### კახეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი

**სიღნაღი, 31 მარტი.** (საქ. კორ.). 29 მარტს გურჯაანში შესდგა კახეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი კახეთის პარტაქტივისა და მიმაგრებულ ამხანაგების თანდასწრებით. კოლმეურნეობათა მშენებლობის მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ბაქრაძემ. მომხსენებელმა აღნიშნა კოლმეურნეობათა მშენებლობაში დაშვებული შეცდომები. პლენუმს გამოვიდნენ ამხ. მიხ. კახიანი და ფ. მახარაძე.

—:—

### საჩხერის რაიონის კოლმეურნეობებში

**ქუთაისი, 30 მარტი.** საჩხერის რაიონში დამთავრდა კოლმეურნეობების გამსხვილება. ჩამოყალიბებულია სამი მსხვილი კოლმეურნეობა, რომლებშიაც გაერთიანებულია 4.000 მეურნეობა 5.000 ჰექტარი სახნავი მიწით. მიწების ხვნა კოლმეურნეობებში გაჩაღებულია. სათესლე მასალა შეგროვილია 100 პროცენტით.

კოლმეურნეობების წევრთა წმენდის დროს კოლექტივებიდან გაირიცხა 100 კაცამდე.

ანგარიშწარმოება კოლმეურნეობებში, მოანგარიშეების უქონლობის გამო, შეფერხებულია.

სატრაქტორო ვალდებულებათა რეალიზაცია წარმატებით მიმდინარეობს. კოლმეურნეობებმა ხელი მოაწერეს ორ ტრაქტორზე. (ადს).

—:—

### კოლექტივების ახალ წესდებაზე გადაყვანა

**ქუთაისი, 31 მარტი.** (საქ. კორ.). ოლქში ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა კოლმეურნეობის ახალ წესდებაზე გადასაყვანად. კოლმეურნეობაში შესვლის ყველა მსურველმა უნდა შეიტანოს ინდივიდუალური წერილობითი განცხადება კოლმეურნეობის გამგეობაში. ახალ წესდებაზე გადაყვანა დამთავრდება 10 აპრილამდე.

ამ მუშაობასთან პარალელურად ტარდება კოლექტივების წმენდა. კულაკები და ანტისაბჭოთა ელემენტები სასტიკად ილაშქრებენ როგორც წმენდის, ისე შრომის ორგანიზაციის წინააღმდეგ კოლმეურნეობებში. ისინი განსაკუთრებით ებრძვიან თანრიგების შემოღებას.

ამჟამად ოლქში მდგომარეობა ასეთია: სულ არსებობს 817 კოლექტივი 65.088 კომლით, რაც შეადგენს ოლქის მთელი მოსახლეობის 56 პროცენტს. კოლექტივებში გაერთიანებულია სახნავი მიწა 83.176 ჰექტ. ვენახი—9.117 ჰექტარი, მუშა-საქონელი—68.291 სული. ჯერ-ჯერობით ოლქში, ქუთაისის და საჩხერის რაიონების გამოკლებით, 39.325 ჰექტარიდან დათესილია 3.966 ჰექტარი.

—:—

### გუთნები უთვლებოდ

**სოხუმი, 31 მარტი.** მიუხედავად არაერთი მითითებისა, „ზაკელსნაბი" განაგრძობს გუთნების შემოზიდვას უთვლებოდ.

აფხაზეთის მიწსახკომმა თხოვნით მიმართა თესვის ჩამტარებელ საქართველოს ცენტრალურ კომისიას მოაწესრიგოს მანქანების შემოზიდვის საკითხები. (ადს).

### 80.000 ფუთი სიმინდი სესხად

**ოზურგეთი, 31 მარტი.** (საქ. კორ.), ოზურგეთში ოდესიდან მიღებულია 80.000 ფუთი სიმინდი კოლექტივებზე სესხად დასარიგებლად. სიმინდი სამაღმასკომის მიერ განაწილებულია შემდეგნაირად: ჩოხატაურის რაიონს—16.000 ფუთი, ლანჩხუთის რაიონს—5.000 ფუთი და ოზურგეთის რაიონს — 9.000 ფუთი.

—:—

### ქონება ნიავდება

**ოზურგეთი, 31 მარტი.** (საქ. კორ.), ნიგვზიანის კოლექტივის საბჭოს არ ჩაუტარებია კულაკებისაგან ჩამორთმეული ქონების აღრიცხვა. არავინ იცის, თუ რა რაოდენობის ქონება ჩამოერთვა კულაკებს და ვის ხელშია იგი ამჟამად.

—:—

### ღარიბთა კონფერენცია

**ოზურგეთი, 31 მარტი.** (საქ. კორ.). დამთავრდა ოზურგეთის რაიონის ღარიბთა კონფერენცია, რომელზედაც განხილულ იქნა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საკითხი. კამათში გამოსული ღარიბი გლეხები აღნიშნავდნენ მიწების მოუწყობლობას, ღარიბთა შორის მუშაობის სისუსტეს და სხვ.

—:—

### ვენახები მთლიანად დამუშავებულია

**ხარაგოული, 31 მარტი.** (სპეც. კორესპ.) არსებობს 27 კოლექტივი 2.184 კომლით და 4.958 ჰექტ. მიწით, დახნულია და დათესილია 3.200 ჰექტარი. მუშა - საქონელი საკმაო რაოდენობით არ არის. ვენახი მთლიანად დამუშავებულია. გადაბრუნებულია 200 ჰექტ. მიწა ახალი ვენახისათვის.

— : —

### მუშა-საქონლის სიმცირე

**ჭრებალო, 31 მარტი.** (სპეც. კორესპ.) არსებობს 24 სხვადასხვა სახის კოლმეურნეობა 2.841 კომლით, 3.000 ჰექტ. მიწით და 746 ჰექტ. ვენახით. რაიონში დახნულ - დათესილი 236 ჰექ. მიწა. რაიონს აკლია 300 სული მუშა - საქონელი. ამჟამად მიმდინარეობს კოლექტივების წმენდა. კოლექტივებში შრომის ინტენსივობა დამაკმაყოფილებელია, შრომის ორგანიზაცია არ გატარებულა.

—:—

### დამთავრდა კოლექტივების წმენდა

**სამტრედია, 31 მარტი** (სპეც. კორესპ.) კოლექტივებში გაერთიანებულია 8.715 კომლი, 16.557 ჰექ. მიწით, 7.701 მუშა-საქონლით. დამთავრდა კოლექტივების წმენდა. გაირიცხა 266 კომლი, თავის ნებით გავიდა 127 კომლი. დახნულია კოლექტივებში 14.072 ჰექტ., ინდივიდუალურ მეურნეობაში 740 ჰექ. მუშა-საქონელი საკმარისი არ არის. კრიზისია აგრეთვე საკვების.

—:—

### ცუდი ხარისხის თესლი

**სოხუმი, 30 მარტი.** მეხილეობა-მებოსტნეობის კავშირის მიერ გამოგზავნილი კომბოსტოს, სალათის, კამის და ოხრახუშის თესლი ცუდი ხარისხის აღმოჩნდა.

პამიდორის, ბადრიჯანის და წიწაკის თესლის უქონლობის გამო საკონსერვო ფაბრიკის და კურორტების მომარაგების გეგმას ჩაშლა მოელის.

ნაადრევი ბოსტნების თესვის გეგმა ჩაიშალა. (ადს).

## მანქანა-იარაღების მომარაგება უნდა გაუმჯობესდეს

ამიერ-კავკასიის მიწადმოქმედების სახ. კომისარმა და თესვის კამპანიის რწმუნებულის მოადგილემ ამიერ-კავკასიაში ამხ. ერზინკიანმა რესპუბლიკანურ თესვის კამპანიის რწმუნებულებს, მიწსახკომებს და ამიერ-კავკ. სოფლის კავშირს დაუგზავნა შემდეგი ცირკულიარული წერილი:

„ადგილების მომარაგება სასოფლო-სამეურნეო მანქანებით საგრძნობლად ჩამორჩება მათი ამიერ-კავკასიაში შემოზიდვის ტემპს. ეს კი უმთავრესად ხდება იმის გამო, რომ შემოზიდული მანქანები ძალზე ნელი ტემპით მოძრაობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სისტემაში; ამას გარდა ისინი სწორად არ არიან განაწილებულნი რაიონებს შორის, რის გამო გამოუყენებელი რჩებიან. ასეთი მდგომარეობა სრულიად არანორმალურია, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მიმდინარე თესვა ძალზე მოუმარაგებელია სათანადო მანქანებით, ამიტომ წინადადებას ვაძლევ რესპუბლიკანურ თესვის კამპანიის რწმუნებულებს, მიწსახკომებს და ამიერ-კავკ. სოფლის კავშირს, მიიღონ გადამწყვეტი ზომები მიღებული მანქანების რაიონებისათვის თავის დროზე გადასაგზავნად ს.-ს. კოოპერ. ცალკე განყოფილებებში დარჩენილ მანქანების სისწორით აღსარიცხავად, და რაიონებს შორის გასანაწილებლად, ამ უკანასკნელთა მოთხოვნილებებთან და პირობებთან შეფარდებით".

## მიწის თხილის მოყვანა

მიწის თხილი (არახისი) ერთწლოვანი პარკოვანი მცენარეა. ის გავრცელებულია თბილ ქვეყნებში. მიწის თხილი კარგათ ხეირობს იქ, სადაც ნესვი და საზამთრო მწიფდება.

ამ მცენარის განსაკუთრებული თვისება მდგომარეობს იმაში, რომ ყვავილის ნასკვი, რომელიც გრძელ ღეროზეა, განაყოფიერების შემდეგ მიწაში ჩადის, იფლება და იქვე მიწაში მწიფდება, როგორც კარტოფილი.

მიწის თხილის პარკი აბრეშუმის პარკივით მოკლეა, მრგვალი და შუაზე შეზნექილია როდინივით. პარკში ორი თხილის გულის ოდენა თესლია. ეს თესლი ძალიან კარგი გემოსია და ზეთით მდიდარია.

მიწის თხილს გაპოხიერებული ქვიშნარ-თიხნარი და საერთოდ მეტად ფხვიერი და მშრალი ნიადაგი უნდა, რომ მისი ნაყოფი თავისუფლად ჩავიდეს მიწაში.

მიწის თხილისათვის ნიადაგი ღრმად უნდა დამუშავდეს (ვერშოკის სიღრმეზე).

მიწის თხილი ითესება აპრილიდან მაისის დასლევამდე მწკრივად თითო პარკი, ან პარკს გადატეხენ შუაზე და თითო მარცვალს თავის პარკიანად დათესავენ ერთი მეორეზე შვიდიათი ვერშოკის დაშორებით. დათესილ მიწა უნდა დაეყაროს დაახლოებით ერთი ვერშოკის სისქეზე. ამ წესით დესეტინას ექვს ფუთამდე თესლი სჭირდება.

მიწის თხილს ზაფხულზე ხშირად გათოხნა და მიწის შემოყრა უნდა; მეორე თოხნა უფრო ღრმათ უნდა, ვიდრე პირველი. დაყვავილების შემდეგ მცენარეს მიწა უნდა შემოეყაროს ორიოხევარ ვერშოკზე ისე, როგორც კარტოფილს.

თუ კარგი ამინდი დაუდგა, მიწის თხილი სიმწიფეს შუა აგვისტოდან სექტემბრის შუა რიცხვებამდე ათავებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, დამწიფება ოქტომბრის ბოლომდისაც გასტანს.

მოსავალს მშრალ ქვიშნარ მიწაზე ხელით იღებენ, მძიმე და მაგარ მიწაზე ხარით.

თუ მიწის თხილი მშრალია, მისი გალეწვა მაშინვე შეიძლება, თუ სველი და ნესტიანია, უსათუოდ უნდა გაშრეს სადმე ფარდულში. ამისათვის მოსავალს ან თხლად გაფენენ ან კიდევ კედელზე ან ბოძებზე გაჰკიდებენ.

მოსავალი თხილმა ბლომად იცის, მაგრამ მისი აღება-გალეწვა მეტად ძნელია და დიდ მუშაობას მოითხოვს, რადგან პარკი ხელით უნდა დაიკრიფოს. მიწის თხილი დესეტინაზე 65—120 ფუთამდე მოსავალს იძლევა, ხან კი ამაზე მეტს.

მიწის თხილის თესლის შეძენა შეიძლება აჯამეთის საცდელ სადგურში.

**აგრონომი ერ. ნაკაშიძე.**

## ყველა კუთხეებიდან

# ახალდაბის კოლექტივი „წითელი სხივი" გაზაფხულის თესვისათვის გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებს. კოლექტივმა უკვე დათესა 22 ჰექტ. ქერი, ბური და 200 ფუთი კარტოფილი. ვენახები მთლიანად დაბარულია.

—:—

# გორის საკონსერვო ქარხანას შეფობა აქვს აღებული სოფ. თედოწმინდაზე. ქარხნის მუშებმა გლეხებს გაუხსნეს წითელი კუთხე, შეაკეთეს სასოფლო-სამეურნეო იარაღები და სხვ. აგრეთვე ქარხანამ კულტურული შეფობა აიღო 19 სოფელზე.

# ახალდაბის კოლმეურნეობამ გადასწყვიტა შეიძინოს ტრაქტორი. ამ მიზნით გლეხობამ უკვე შეკრიბა 1450 მან.

—:—

# გორის აგროტეხნიკუმს შეფობა აქვს აღებული სკრისა და შინდისის რაიონებზე. ტეხნიკუმმა თესვასთან დაკავშირებით საშეფო სოფლებში ჩაატარა მოხსენებები და წარმოდგენები. ტეხნიკუმმა ვადამდე გამოუშვა მე-4 კურსის მოწაფეები კოლმეურნეობებში სამუშაოდ.

—:—

# სასოფლო-სამეურნეო კოოპ. ჩოხატაურის რაიკავშირმა უარი სთქვა რკინის გუთნების გამოყენებაზე. და ოზურგეთში გაგზავნა 28 გუთანი და 11 ფარცხი. ქ. უ.

—:—

# ლანჩხუთის მეინდვრეობის რაიკავშირმა კოლექტივებში კონტრაქტაცია ჩაატარა 200 ჰექტარ კენაფზე, 8.800 ჰექტარ სიმინდზე, 1.000 ჰექტარ სოიაზე და 300 ჰექტარ სიმინდში გამოთესილ სოიაზე. ავანსათ მიღებულია კენაფისა და სოიასთვის 18.800 მან.

უ—ძე.

# გურიანთის მთლიან კოლექტივის ღარიბთა კრებაზე ირჩეოდა საკითხი სატრაქტორო ვალდებულებაზე ხელის მოწერის შესახებ. მაზრიდან მოვლინებულმა ამხანაგმა განაცხადა, რომ თუ კოლექტივზე მოცემულ ნორმას 500 მანეთს 5 აპრილამდე შეიტანთ, აუცილებლად ტრაქტორს მიიღებთო. ამაზე გლეხებმა განაცხადა, რომ თუ აპრილისათვის ტრაქტორი იქნება, მაშინ რაღა საჭიროა დასუსტებული ხარებით მუშაობა, ბარემ ტრაქტორს დაუუცადოთო.

ასეთ უპასუხისმგებლო განცხადებას შეუძლია თესვის გეგმა ჩაშალოს. უ.

—:—

# სიღნაღის რაიონში თესვის მოსამზადებელი მუშაობა წარმატებით ჩატარდა და თებერვლის შუა რიცხვებიდან დაიწყო თესვა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ თესვისათვის ყველაფერი მზად არ არის. 7.612 ჰექტარი მიწიდან 15 მარტისათვის მოხნული აღმოჩნდა მხოლოდ 633 ჰექტარი. ცუდათ არის კონტრაქტაციის საქმე. გეგმით გათვალისწინებულ 1.430 ფუთი სათესლე მასალის ნაცვლად კონტრაქტაცია ჩატარდა 2.276 ფუთზე. რაიონში უნდა დათესილიყო 1.255 ჰექტარი ბამბა, მაგრამ დაითესა 155 ჰექტარი. ცუდათ არის კარტოფილის თესლის შეგროვების საქმე. 37.480 ფუთის ნაცვლად შეგროვილია 1.555 ფუთი. კარგად ვერ არის თესლის შეწამვლის საქმეც. 12.000 ფუთიდან შეწამლულია მხოლოდ — 3549 ფუთი. კარგად მიდის მანქანა-იარაღების შემოზიდვა და საწვავი მასალით მომარაგება. დღემდე შემოზიდულია 214 გუთანი, 24 კულტივატორი, 17 სათესი მანქანა და 14 ტრიერი. კოლექტივები განიცდიან მუშა-საქონლის სიმცირეს.

**გ. იარალოვი.**

# მესაქონლეობის ერთთვიური

## მესაქონლეობის მნიშვნელობა სოფლის მეურნეობაში

საქართველოს უმეტესი ნაწილი დაფარულია მთებით და მაღლობებით, სადაც ბლომათაა საძოვრები და სადაც სიცივის გამო შეუძლებელია სიმინდის ან პურის მოყვანა და აგრეთვე ვენახების ან ჩაის კულტურების გაშენება. ასეთ ადგილებში მესაქონლეობა, სახელდობრ—მეძროხეობა და მეცხვარეობა წარმოადგენს მოსახლეობის არსებობის უმთავრეს წყაროს.

მაგრამ თუ ავიღებთ დაბლობ, ვაკე ადგილებს, როგორიც, მაგალითად, ქართლ-კახეთის, მდინარე ყვირილის და რიონის ველებს, სადაც მთავარი დარგია მემინდვრეობა, აქაც მესაქონლეობას დიდი მნიშვნელობა აქვს. მემინდვრეობის მიმდევარ გლეხს ყოველთვის ბლომად აქვს მეურნეობაში ჩალა, თივა, ბზე, ფუჩეჩი და სხვა მცენარეული ნივთიერება, რომელიც თავის თავად დიდ ღირებულებას არ წარმოადგენს და ბაზარზე ყოველთვის შედარებით იაფად იყიდება. როცა მეურნეობას ჰყავს ძროხა, ხარი და ცხვარი, მემინდვრეობის ეს ნაშთები შინაური ცხოველები აქცევენ ძვირფას პროდუქტებად: რძეთ, ყველად, ხორცად, მატყლად და სხვ. რომლებიც გაცილებით მეტ ღირებულებას წარმოადგენენ. ამიტომ უნდა ვეცადოთ, რომ ყოველ მეურნეობაში ვყოლიოთ საქონელი.

ამას გარდა საქონელი იძლევა ნაკელს ანუ ნეხვს, რომელიც ცნობილია როგორც ნიადაგის საუკეთესოდ გამანოყიერებელი, გამასუქებელი მასალა. თუმცა მიწის ნიადაგის ნაყოფიერების აღსადგენად არსებობს ხელოვნური, ეგრედწოდებული მინერალური სასუქები, მაგრამ ეს სასუქები ძვირია და მეორეც სხვადასხვა ნიადაგს უნდა სხვადასხვა მინერალური სასუქის შერჩევა. ნაკელი კი კარგად მოქმედობს ყოველგვარ ნიადაგზე და ხელს უწყობს მისი ნოყიერობის აღდგენას. ამიტომ მემინდვრეობის ყოველ მეურნეობაში უნდა გვყავდეს საკმაო საქონელი, რომელიც, გარდა ჩალის და თივის საკვებად გამოყენებისა, ხელს შეუწყობს ნაკელით ნიადაგის განაყოფიერებას. გარდა ამისა, საქონელი ეხმარება ნიადაგის განოყიერებას მეორეზნაირადაც: როცა მეურნეობაში არის საქონელი, იქ უსათუოდ ითესება საკვები ბალახები—სამყურა, უგრეხელა, ესპარცეტი და სხვა ცერცვოვანი მცენარეები. ეს ბალახები ერთის მხრივ იძლევა საქონლის საკვებს, ხოლო მეორე მხრივ ანოყიერებს მიწას.

საქონლის მნიშვნელობა კიდევ უფრო დიდდება შემდეგი გარემოებით: საქონელი გვაძლევს ადამიანისათვის საჭირო პროდუქტებს: რძეს, ხორცს და მატყლს.ჩვენ ყოველი ზომები უნდა ვიხმაროთ, რომ კოლექტიურ მეურნეობათა წევრები უზრუნველვყოთ რძის პროდუქტებით, ხორცით და შალეულობით. თუ მეურნეობანი ისე მოეწყო, რომ მათში შემავალი გლეხები დაკმაყოფილებულ იქნენ ზემოდასახელებულ პროდუქტებით, მაშინ ჩვენ ამ მეურნეობათა ჩქარი ნაბიჯით განვითარების სრული იმედი უნდა გვქონდეს. ამიტომ საჭიროა ყველგან, სადაც კი კოლექტიური მეურნეობანი მოეწყობა, მათში განვითარდეს მესაქონლეობის დარგიც.

დაბოლოს,მესაქონლეობას აქვს კიდევ ერთი დიდი მნიშვნელობა. როგორც ზემოდ ვთქვით, ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორია დაფარულია მაღლობებით. ტრაქტორს არ შეუძლია ამ მაღლობებზე მუშაობა. ჯერ-ჯერობით დაბლობ ადგილებისთვისაც არა გვაქვს ტრაქტორების საკმაო რაოდენობა. ამიტომ ხვნა-თესვის საქმეში მუშა-საქონელს ჯერ კიდევ დიდი მნიშვნელობა აქვს. ცხენს არ შეუძლია მასიურად ხარის შეცვლა შემდეგი მოსაზრებით: ცხენი ყოველთვის (უსაქმოდ ყოფნის დროსაც) საჭიროებს დამატებითი კონცენტრიულ (ნაყოფიერ) საკვებს: ქერს, შვრიას ან სიმინდს. თუ ასეთი ნოყიერი საკვები არ ეძლევა, ცხენი ვერ იარსებებს. ხარი კი ზამთარში უსაქმოდ ყოფნის დროს კმაყოფილდება მხოლოდ უხეში საკვებით—თივით ან ჩალით. ნოყიერი საკვების დამატება მას სჭირდება მხოლოდ მძიმე მუშაობის დროს. ბოლოს სიბერის დროს ხარი სუქდება და იყიდება ხორცათ. ეს აადვილებს მუშა-ხარის ამორტიზაციას. გარდა ხვნა-თესვისა, არის მრავალი სახის ტვირთ-ზიდვა, როგორიც, მაგალითად, შეშის მოტანა, მოსავლის, ხეტყის მასალის მოტანა და სხვა, რომლის დროსაც ხარს სხვა ძალა ვერ შესცვლის ჯერ კიდევ რამოდენიმე წლის განმავლობაში. ამიტომ ამ თვალსაზრისითაც უნდა ექცეოდეს მესაქონლეობას ყურადღება და სადაც ეკონომიურად შესაძლებელი იქნება უნდა მოშენდეს მუშა-ხარები.

ამრიგად, მესაქონლეობა შეადგენს სოფლის მეურნეობის მეტად მნიშვნელოვან დარგს, და კოლექტიურ მეურნეობათა ჩამოყალიბების დროს ამ დარგს უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება. მესაქონლეობა უნდა გადიდდეს რიცხვობრივათ, გაუმჯობესდეს თვისობრივათ და მისი პროდუქტების: რძის, ხორცის და მატყლის უხვად დამზადებით კოლექტივმა უნდა შესძლოს ზედმეტი ნაწარმოების შექმნა და ბაზარზე გამოტანა.

### მესაქონლეობის ეხლანდელი მდგომარეობა

ამჟამად ჩვენი მესაქონლეობა მეტად ჩამორჩენილია.

ჩვენი ძროხა იწველის საშუალოდ წლიწადში 40 ფუთს, მაშინ, როცა საზღვარგარეთ ერთი ძროხა იძლევა 400 ფუთ რძეს, ე. ი. ათჯერ მეტს. ჩვენი ცხვარი იძლევა 2 მანეთის მატყლს, საზღვარ-გარეთ კი (მერინო) 12 მანეთის მატყლს, ანუ 6-ჯერ მეტს.

ჩვენი ღორი იძლევა 3 ფუთ ხორცს, ინგლისური (იორკშირის) ღორი კი 15 ფუთ წმინდა ხორცს, ანუ ხუთჯერ მეტს.

ჩვენი მესაქონლეობის ასეთი ჩამორჩენილობის მიზეზებია:

საკვების ნაკლებობა. ხშირია ასეთი შემთხვევა, როცა საქონლის საკვები ელევა მეურნეობას იანვარ-თებერვალში და შემდეგ საქონელი ხანგრძლივ შიმშილს განიცდის. ამის გამო ნაწილი საქონლისა იხოცება, დანარჩენი კი ისე სუსტდება, რომ დაუხმარებლად ადგომას ვეღარ ახერხებს. ასეთ პირობებში ჩავარდნილი საქონელი თანდათან კატარდება, ბერდება და გადაგვარების გზას ადგება.

მესაქონლეობის ჩამორჩენის მეორე მიზეზი ბუღების ნაკლებობა. არის ისეთი სოფლები, სადაც სრულიად არ მოიპოვება ბუღები. ხშირია შემთხვევა, როცა გლეხს ათი ვერსის მანძილზე მიჰყავს ძროხა დასაგრილებლად და იქაც ვერ შოულობს ბუღას. ასეთ პირობებში ძროხების დიდი რიცხვი რჩება ბერწად, რაც დიდ ზარალს აძლევს მოსახლეობას.

მესაქონლეობის განვითარებას ხელს უშლის აგრეთვე მოსახლეობის მიერ საქონლის რიგიანად გამოკვების და მოვლის უცოდინარობა.

ბოლოს მესაქონლეობის განვითარებას დღემდე მეტად აფერხებდა მესაქონლეთა პატარ-პატარა მეურნეობებათ დაქსაქსვა და კოლექტივების, კოოპერატივების და არტელების რიცხვის სიმცირე. მესაქონლეობა ეს ისეთი დარგია, რომელიც მოითხოვს გაერთიანებული ინვენტარით მუშაობას, კოლექტიურ და კოოპერატიულ ნიადაგზე ყველისა და კარაქის დამამზადებელ ქარხნების აგებას, საგრილებელი პუნქტების მოწყობას, ჯიშიან საქონლის სამომშენებლოების გახსნას და სხვ.

სასწრაფოდ უნდა შევუდგეთ ყველა ამ დაბრკოლებათა თავიდან აცილებას.; მესაქონლეობის განვითარება ხელს შეუწყობს მოსავლიანობის გადიდებას და მუშურ-გლეხური მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებას კარგი საკვები პროდუქტების მიწოდებით.

ამიტომ არც ერთი სული საქონელი არ უნდა დაიკლას უანგარიშოთ. არც ერთი ხბო არ უნდა დაიღუპოს მოუვლელობის გამო. მესაქონლეობას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს კოლექტივების მოწყობის დროს.

**მ. ციმაკურიძე.**

## რა უნდა გაკეთდეს

მესაქონლეობის ერთთვიური, მიზნათ ისახავს საფუძველი ჩაუყაროს მესაქონლეობის ჩქარის ტემპით აღორძინება-განვითარებას და მის ახალ ტეხნიკურ და სოციალისტურ საფუძველზე გარდაქმნას.

აგრეთვე მესაქონლეობის ერთთვიურის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს მოჯამაგირეთა, ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების მობილიზაცია კულაკისა და მისი პოლიტიკის წინააღმდეგ. კულაკის აგიტაციას, მიმართულს საქონლის მასიურად განადგურებისაკენ, კოლმეურნეობებმა უნდა დაუპირისპირონ მკაცრი ორგანიზაციული ღონისძიებანი.

მესაქონლეობის ერთთვიურის ჩატარების პერიოდში, კოლმეურნეობათა, საწარმოო გაერთიანებების და გლეხთა ძირითად მასების ყურადღება მიქცეულ უნდა იქნეს მესაქონლეობის განვითარების პრაქტიკულ საკითხების გადაჭრისაკენ.

მესაქონლეობის ერთთვიურმა ბოლო უნდა მოუღოს იმ შეუწყნარებელ მდგოსაც იჩენენ ზოგიერთი რაიონემარიობას და გულგრილობას, რომელბი და ორგანიზაციები მესაქონლეობის გადაუდებელ საკითხების გადაჭრის საქმეში. მესაქონლეობის ერთთვიურის კამპანიამ კიდევ ერთხელ ხაზი უნდა გაუსვას მესაქონლეობის დიდი მნიშვნელობას სოფლის მეურნეობის განვითარების, ქალაქებისათვის საკვებ მასალის მიწოდების, მრეწველობის ნედლეულით მომარაგებისა და ექსპორტის გაძლიერების საქმეში.

მესაქონლეობის დარგში მსხვილი მეურნეობის უპირატესობა ფართოთ უნდა გავაცნოთ მასებს, რათა მათ პრაქტიკულად გამოიყენონ ეს უპირატესობა.

ცხადია, რომ მესაქონლეობის რეკონსტრუქცია დიდ დროს და საშუალებებს მოითხოვს. ამისათვის საჭიროა საქონლის ჯიშობრივი გაუმჯობესება, საკვები რესურსების საკმაო რაოდენობის მომარაგება, საჭირო ნაგებობათა აშენება, მესაქონლეობიდან მიღებულ პროდუქტების გადასამუშავებელ ქარხნების აგება და სხვ.; ამასთანავე აუცილებელ.ვ მაქსიმალურად უნდა განხორციელდეს ის მარტივი ღონისძიებანი, რომელნიც გათვალისწინებულია მესაქონლეთა კავშირის ერთთვიურის გეგმით.

აღნიშნულ გეგმის განხორციელებაში თვალსაჩინო ადგილი უნდა დაიჭიროს გლეხობის ფართო მასების სახსრების დაბანდებამ.

საქართველოში მესაქონლეობის დარგში პირველათ იწყება ელემენტარულ ღონისძიებათა გატარება ზოომინიმუმის სახით. ეს ზოომინიმუმი შეიცავს ისეთ მარტივ ღონისძიებებს, რომელთა განხორციელება ძლიერ ადვილია და რომლებიც არ იწვევენ დიდ ხარჯებს. (მაგალითად, საქონლის დაგრილება, უვარგის მწარმოებელთა დაკოდვა, სწორი კვების შემოღება, ვეტმეთვალყურეობა, მკურნალობის გაუმჯობესება და სხვ.).

მესაქონლეობის კავშირმა ერთთვიურის ჩატარების პროგრამას საფუძვლათ დაუდო ისეთი ზომები, რომელნიც უშუალოდ მიმართულნი არიან მესაქონლეობის ძირიან-ფესვიანად გადახალისება-გარდაქმნისაკენ, ეს ზომები შემდეგია:

მესაქონლეობის მსხვილ კოლექტივების ჩამოყალიბება; საკვები ბაზის გაუმჯობესება; ჯიშიან საქონლის რიცხვის გადიდება; სავეტერინარო საქმის განვითარება; მოზარდ საქონლის კონტრაქტაცია, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნეს როგორც მთავარი ღონისძიება მესაქონლეობის განვითარებისათვის. საგრილებელ პუნქტების ქსელის გაფართოება; ახალი ბოსლების, საჯინიბოების, სადორეების აგება და არსებული შენობების კაპიტალური რემონტი; კვალიფიციური მუშაკების გადამზადება მესაქონლეობის დარგში (მიმდინარე ერთთვიურის განმავლობაში მოწყობილი იქნება მწყემსების გადასამზადებელი კურსები მესაქონლეობის რაიონებში).

მხოლოდ ფართო მასების მობილიზაციით, მათი აქტიური მონაწილეობით და გეგმიანი მუშაობით შ ვძლებთ აღნიშნულ ღონისძიებების გატარებას და სასურველ შედეგის მიღებას.

საჭიროა ყოველ კოლმეურნეობას, ყოველ საბჭოთა მეურნეობას, ყოველ სოფელს ჰქონდეს მესაქონლეობის განვითარების კონკრეტული გეგმა.

უნდა გვახსოვდეს, რომ მესაქონლეობა იძლევა სოფლის მეურნეობის სასაქონლო პროდუქციის უდიდეს ნაწილს.

**აგრ. რ. ნიჟარაძე.**

## როგორ მიმდინარეობს

### მესაქონლეობის ერთთვიური

5 მარტიდან საქართველოში მიმდინარეობს მესაქონლეობის ერთთვიური, რომელის ჩასატარებლად მესაქონლეთა კავშირს ადგილებზე დაგზავნილი ჰყავს სპეციალისტები და პასუხისმგებელი მუშაკები. კამპანიის მსვლელობის შესახებ მესაქონლეთა კავშირში ჩვენს თანამშრომელს შემდეგი აცნობეს:

### მსხვილი მესაქონლეობა

საქართველოს მესაქონლეობაში პირველი ადგილი უჭირავს მსხვილ მესაქონლეობასა და მერძეობას. ამიტომ ერთთვიურის ჩატარების დროს განსაკუთრებული ყურადღება ამ დარგებს მიექცა. ადგილებზე ჩატარებულ იქნა მთელი რიგი ზოოტეხნიკური საუბრები და რჩევა-დარიგებები, რის შედეგადაც კახეთის ოლქში (ახმეტა, ზემო და ქვემო ალვანი, ზემო და ქვემო ქედა) მსხვილფეხა საქონლისათვის გამოყოფილ იქნა შესაფერისი ბინები. და დაიწყო მოსამზადებელი მუშაობა განსაზოგადოებულ საქონლისათვის ბოსლების ასაგებათ. ამ რაიონებში განსაზოგადოებული ბოსლები აგებულ იქნება 2.860 სულ მსხვილფეხა საქონლისათვის.

ამავე რაიონებში გადაწყვეტილია რძის გადამამუშავებელ ქარხნების აგება, რომლებისთვისაც უკვე შერჩეულია ადგილები, მზადდება ხე-ტყე, ქვა და სხვა საამშენებლო მასალა. მომავალი ქარხნების ინვენტარი ნაწილობრივ უკვე შეძენილია.

სამხრეთ-ოსეთში მესაქონლეობის ერთთვიური დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. სოფ. ტედერში დაარსდა მერძევეთა კავშირი. ხუთ სოფელში: ნატრეპაში, გულიანტში, ნადარბაზში, ღესორში და სოგანში შენდება ყველის სახარში და კარაქის სადღვები ქარხნები. ხსენებულ ქარხნებისათვის დამზადებულია მთელი საამშენებლო მასალა. ქარხნების აგების დანარჩენი ხარჯები იკისრა მოსახლეობამ. სოფ. კუსილში და ტოთოგონში საფუძველი ჩაეყარა რძის პროდუქტების დამამზადებელ ქარხანას. აქვე გამოყოფილია ადგილი საქონლის ბოსლისათვის. ყულარის რაიონში შენდება ოთხი რძის გადამამუშავებელი ქარხანა, რომლებისთვისაც საამშენებლო მასალა უკვე მიტანილია ადგილზე. სოფ. ხელმაგონში, ცონში და ერწოში შენდება ბოსლები თითო ასი სული მსხვილფეხა საქონლისათვის. გარდა ამისა დაწყებულია სოფ. ტედეხეთის და ჯელამეთის არტელის რძის ქარხნის გადაკეთება. თემულის რაიონში ეწყობა რძის გადამამუშავებელი ორი ქარხანა. სოფ. ცენტრში დაიწყეს რძის ძველი ქარხნის კაპიტალური გადაკეთება.

სენაკის მაზრაში დაიწყეს 2 განსაზოგადოებული ბოსლის აგება—სოფ. გეჯეთში 24 და სოფ. მარანში 50 მსხვილფეხა საქონლისათვის.

ზუგდიდის მაზრის სოფ. ფახულანსა და ლიაში დაიწყო განსაზოგადოებული ბოსლის აგება ას სულ მსხვილფეხა საქონლისათვის.

### საგრილებელი პუნქტები

საქონლის ჯიშის გაუმჯობესების მიზნით განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საგრილებელ პუნქტების მოწყობას, სადაც მოთავსებული იქნებიან ჯიშიანი ბუღები. ერთთვიურის განმავლობაში საგრილებელი პუნქტი მოეწყო სოფ. ახმეტაში (კახეთი), სადაც ჯერ-ჯერობით შეძენილია ერთი ბუღა. ზემო ალვანსა და ქვემო ალვანში განზრახულია ასეთივე პუნქტების მოწყობა, რომლებისთვისაც უკვე გამოყოფილია სათანადო ბინები. ზემო ალვანში ეწყობა პუნქტი 8 ბუღისათვის, ზემო და ქვემო ქედში—თითო-ოთხი ბუღისათვის. სამხრეთ-ოსეთში საგრილებელი პუნქტები გახსნილია სოფელ ცონში და კონტოში. ბაშკიჩეთის რაიონში საგრილებელი პუნქტები მოეწყობა 4 სოფელში: ვალდეგიმში, ნემესბულახში, მახმუტლოში და ლენინოში.

### კონტრაქტაცია

მესაქონლეობის ერთთვიურის განმავლობაში სამხრეთ-ოსეთში კონტრაქტაცია ჩატარდა 5.226 ფუთ ყველზე, 132 ფუთ ერბოზე, 103 სულ საკლავ საქონელზე, 827 სულ ცხვარზე, 459 კილოგრამ მატყლზე და 9 საჯიშე ბუღაზე. სიღნაღის მაზრაში—7 ძროხაზე, 2 საჯიშე ბუღაზე და 47 ღორზე. ზუგდიდის მაზრაში, ქალანის თემში—15 საჯიშე ბუღაზე და 3 ბუღა კამეჩზე, ხოლო სოფ. ლიაში 3 ბუღაზე.

### საკვების საკითხი

მსხვილი მესაქონლეობის განვითარების საქმეში გადამწყვეტ როლს თამაშობს საქონლის საკვების საკითხი. საძოვრების სიმცირის გამო ჩვენში განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა საკვები ბალახების თესვის გაძლიერებას, რომ ამ გზით მესაქონლეობას შევუქმნათ განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები.

ერთთვიურის განმავლობაში ბალახების და ძირნაყოფას თესვის გაძლიერებას მიქცეული აქვს განსაკუთრებული ყურადღება. სამხრეთ-ოსეთში სოფ. ცონში საკვები ბალახების დასათესად გამოყოფილია 22 ჰექტარი მიწა, რომელიც სავსებით უზრუნველყოფილია სათესლე მასალით. სოფ. ფახულანში (სამეგრელო) ძაძის დასათესად გამოყოფილია 3 ჰექტარი, სამყურას დასათესად—3 ჰექტარი და ძირნაყოფას დასათესად 3 ჰექტარი. სოფ. მარანში საკვები ბალახის დასათესად გამოყოფილია 13 ჰექტარი და სოფ. გეჯეთში — 4 ჰექტარი.

### მეცხვარეობა

მეცხვარეობის დარგში ერთთვიურის განმავლობაში შერჩეული იქნა საზამთრო ადგილები 57 პუნქტში 37 ათასი სული ცხვრისათვის. მომავალ საჯიშეებისათვის არჩეულ იქნა სულ 1.700 სული ცხვარი. ზემო და ქვემო ქედში, ზემო და ქვემო ალვანში მერინოსის ნაზ-ბეწვიან ჯიშებთან შესაჯვარებლად გამოყოფილია 4.000 სული თუშური ცხვარი. თბილისში ჩატარდა მწყემსების მოსამზადებელი მოკლევადიანი კურსები, რომელზედაც მსმენელ მოჯამაგირეებს შეასწავლეს ვეტერინარიის და ზოოლოგიის საფუძვლები და კოლ მეურნეობათა მშენებლობის ძირითადი პრინციპები.

### მეღორეობა

ზემო ქედის კომუნაში საფუძველი ჩაეყარა ინგლისური ჯიშის ღორის სანაშენოს — 100 ღორისათვის. აქვე განზრახულია ინგლისურ და ადგილობრივ ჯიშის ღორების შეჯვარების წარმოება. სოფ. მარანში (სამეგრელო) ეწყობა განსაზოგადოებული სადორე 50 ღორისათვის. აქ უკვე შეძენილია იორკშირის ჯიშის ორი დედა ღორი და ამავე ჯიშის 4 კრატი. გასაზოგადოებული სადორეები შენდება აგრეთვე სოფ. გეჯეთში, ფახულანში და ლიაში თითო ას-ასი სული ღორისათვის.

### მეცხენეობა

მესაქონლეობის ერთთვიურის განმავლობაში ყურადღება მიექცა მეცხენეობის გაძლიერებასაც. შირაქის რაიონში ეწყობა საჯინიბოები 700 ცხენისათვის და ქვემო ალვანის არტელში—თავლა 500 ცხენისათვის. ცხენთ საშენების მოწყობა განზრახულია აგრეთვე სამხრეთ-ოსეთში და სენაკის მაზრაში.

# შეუნელებელი ყურადღება სოციალისტური შეჯიბრების შემოწმებას

## ბრძოლა საწ.-საფ. გეგმის შესრულებისათვის სოცშეჯიბრების შემოწმების მთავარი ამოცანაა

## ფეხსაცმელების ფაბრიკამ წარმატებით შეასრულა მეორე კვარტალის გეგმა

### შაქრის ქარხანა სადგ. აგარასთან

**კასპი - ხაშურის რაიონი შაქრისმრეწველობის ცენტრი იქნება.— საჭირო 87.500 ფუთი ჭარხალი ყოველ დღიურად.—ჭარხლის პლანტაციების გაშენება 9.000 ჰექტარზე.—შაქრისტრესტის სპეციალისტთა კომისიის დასკვნა.—ს.მ.უ.ს. პრეზიდიუმის დადგენილება.**

ს.მ.უ.ს. პრეზიდიუმის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილ იქნა შაქრის საკავშირო ტრესტის სპეციალისტთა კომისიის თავმჯდომარის —ამხ. შალმანოვის მოხსენება, გორის ოლქში შაქრის ქარხნის აგების შესახებ. აღნიშნული კომისია გამოგზავნილი იყო საქართველოში შაქრის ქარხნის ასაგები ადგილის ამოსარჩევად და შაქრის ჭარხლის მეურნეობის შესასწავლად.

ამხ. შალმანოვის მოხსენებით, სპეციალისტთა კომისიამ შაქრის ქარხნის ასაგებ ადგილათ ამოირჩია სად. აგარასთან მდებარე მიწის ნაკვეთი. კომისიის აზრით ეს ადგილი ქარხნის ასაგებათ ყველა დანარჩენ ადგილებზე უფრო შესაფერისია, რადგან, ერთი მხრივ ქარხანასთანვე გადის რკ. გზის მაგისტრალი და მეორეს მხრივ აქვე მახლობლათ ჩადის მდინარე მტკვარი, საიდანაც ქარხანამდე საჭირო გახდება წყალსადენის გაყვანა. გარდა ამისა სად. აგარა წარმოადგენს შაქრის მრეწველობის რაიონის გეოგრაფიულ ცენტრს, სადაც თავს იყრიან თითქმის ყველა სოფლებიდან მოსასვლელი გზები.

კომისიამ მოახდინა გორის ოლქის ეკონომიური შესწავლა და მიიღო დასკვნა, რომ შაქრის ჭარხლის მეურნეობის რაიონათ აღიარებულ იქნას გორის ოლქის მთელი ის ტერიტორია, რომელიც მდებარეობს სად. კასპიდან ხაშურამდე. აღნიშნული ტერიტორია კომისიის მიერ აღიარებულია საქართველოს შაქრის მრეწველობის ცენტრათ. შაქრის ქარხნისათვის საჭირო ჭარხლის დასათესად კომისიას შესაძლებლათ მიაჩნია გამოყოფილ იქნას სულ 9.000 ჰექტარი მიწა.

ქარხანამ ყოველდღიურათ უნდა გადაამუშაოს—პირველი წლების განმავლობაში 10.000 მეტრიული ცენტნერი ჭარხალი (1 მეტრიული ცენტნერი უდრის 100 კილოგრამს, ანუ 6 ფუთ და 10 გირვანქას), ხოლო 1934 წელს კი ქარხნისათვის საჭირო იქნება 14.000 მეტრ. ცენტნერი, ანუ 87.500 ფუთი ჭარხალი ყოველ დღე-ღამეში.

ს.მ.უ.ს. პრეზიდიუმმა მოიწონა კომისიის დასკვნები და ქარხნის ასაგებ ადგილათ დაამტკიცა სად. აგარა. ამასთანავე ს.მ.უ.ს. პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება, რომ ქარხნის საამშენებლო სამუშაოები უზრუნველყოს საჭირო საამშენებლო მასალებით (ცემენტი, აგური და ხე-ტყე). შაქრის ახალი პლანტაციების გაშენებისათვის ხელის შესაწყობათ გადაწყვეტილია უკრაინისა და რუსეთის შაქრის სამრეწველო რაიონებში გაიგზავნონ აგრონომები და 40-მდე მეურნე-გლეხი.

### „საქნავთის" მშენებლობა სიძნელეებს განიცდის

ჭაბურღილების მშენებლობისათვის მარტის პირველ რიცხვებში დაწყებული მუშაობა ნორმალურ ტემპით მიმდინარეობს. პირველი ახალი ჭაბურღილი, რომელიც დაწყებულია საკონცესიო ხელშეკრულების გაუქმების შემდეგ, სავსებით მზად იქნება აპრილის პირველ რიცხვებში, ხოლო მეორე ახალი ჭაბურღილი მზად იქნება 15 აპრილს. ამ ორი ჭაბურღილის დამთავრებისთანავე დაიწყება კიდევ ორი ახალი ჭაბურღილი.

„საქნავთის" მშენებლობისათვის განსაკუთრებით მწვავედ სდგას ბურღვისათვის საჭირო დაზგების მიღების საკითხი.

გუშინ ბაქოდან და გროზნოდან დაბრუნდა „საქნავთის" მმართველის მოადგილე ამხ. კალაშნიკოვი, რომელმაც ჩვენს თანამშრომელს განუცხადა, რომ „აზნეფტ"-მა „საქნავთს" მისცა სამი დაზგა დამკვრელი მბრუნავი ბურღვისათვის. ერთი დაზგა გზაშია და ამ დღეებში ნაწილობრივ დატვირთული პირველი ვაგონები მიღებული იქნება წნორის-წყალზე, მეორე დაზგა შეკეთების შემდეგ ახლო მომავალში იტვირთება „აზნეფტ"-ის 101-ლი ქვიდან და 10—15 აპრილს უნდა მოველოდეთ მის მიღებას ადგილზე. ამ ორი დაზგის შემდეგ „აზნეფტ"-ი მესამესაც გამოგზავნის. რაც შეეხება „გროზნეფტ"-ს, მასთანაც შეთანხმებული ვართ და იგი „საქნავთს" მისცემს ორ დაზგას. ამ დაზგების მისაღებად გროზნოში გაიგზავნა „საქნავთის" წარმომადგენელი და აპრილის პირველ ნახევარში ისინიც მიღებული იქნება. ეს ხუთი დაზგა გამოყენებული იქნება საცდელი ბურღვისათვის და მუშაობას შეუდგება არა უგვიანეს ივნისისა.

ექსპლოატაციო ბურღვის დაწყება განზრახული იყო ივნისში, მაგრამ აქ სერიოზული დაბრკოლებები წამოიჭრა. „სოიუზნეფტ"-მა განკარგულება გასცა მიეცეს „საქნავთს" დაზგები საბრუნავი საექსპლოატაციო ბურღვისათვის, მაგრამ „აზნეფტ"-ს და „გროზნეფტ"-ს არ შეუძლიათ ამის შესრულება, ვინაიდან თვითონაც ვერ ასრულებენ ბურღვის პროგრამას. გაიგზავნა სასწრაფო დეპეშა ამერიკაში—„საქნავთის" მიერ შეკვეთილი სამი მბრუნავი საბურღავი დაზგის გამოგზავნის შესახებ. მხოლოდ ამ დაზგების მიღების შემდეგ დაიწყება საექსპლოატაციო ბურღვა.

ლონდონიდან მიღებულია ცნობა, რომ ჭაბურღილებისათვის შეკვეთილი 4 მატორი მზად არის და გამოიგზავნება აპრილის პირველ რიცხვებში.

საგამოკვლევო მუშაობას „საქნავთის" მშენებლობის ადგილზე ხელს უშლის სატრანსპორტო დაბრკოლებები. წნორის-წყალზე დაგროვდა მშენებლობისათვის საჭირო ტვირთები, რომლების გატანაც არ სწარმოებს. „საქნავთის" მშენებლობა ტრანსპორტის მხრივ დამოკიდებულია ადგილობრივ გლეხებზე, ვინაიდან მას საკუთარი ტრანსპორტი არა აქვს. ეს კი, რა თქმა უნდა, დიდ გავლენას ახდენს მუშაობაზე. საჭიროა, რომ „საქნავთს" ხელი შეუწყონ პირველ რიგში სატრანსპორტო ორგანიზაციებმა, ვინაიდან, ადგილზე მასალებისა და ხელსაწყოების უქონლობის გამო, დამხმარე სამუშაოები ვადაზე ვერ სრულდება.

### ფეხსაცმელების ფაბრიკამ გააფართოვა მუშაობა

#### მარტის საწარმოო პროგრამა შესრულებულია

თბილისის ფეხსაცმელების ფაბრიკა ტყავის მრეწველობაში ერთ-ერთ ჩამორჩენილ საწარმოთ ითვლებოდა. 1-ლი კვარტალის საწარმოო-საფინანსო გეგმა ფაბრიკამ ვერ შეასრულა 17 პროცენტით. ინჟენერ-ტეხნიკოსების მუშაობის ერთგვარი გაუმჯობესება დაიწყო, მაგრამ ამით კიდევ არ იქნებოდა 1-ლი კვარტალის ჩამორჩენილობის დაფარვის შესაძლებლობა. თებერვალში, ე. ი. მეორე კვარტალის მეორე თვეში ქარხნის მუშაობა დააბრკოლა საჭირო ნედლი მასალის ასორტიმენტისა და რაოდენობის სიმცირემ. ამ მიზეზით თებერვალში საკვარტალო გეგმა შესრულებული იყო 31 პროცენტით, ე. ი. შეუსრულებელი დარჩა 2,4 პროცენტი.

მეორე კვარტალის განმავლობაში ფაბრიკას უნდა დაემზადებია 149.000 წყვილი სხვადასხვა ასორტიმენტის ფეხსაცმელი. ამ გეგმის შესასრულებლათ ფაბრიკამ იანვარში დაამზადა 48.500 წყვილი, თებერვალში—46.500 წყვილი და მარტში კი დასამზადებელი დარჩა 54.000 წყვილი ფეხსაცმელი. 30 მარტისათვის ფაბრიკას უკვე ჰქონდა დამზადებული აღნიშნული რაოდენობის პროდუქცია. ამგვარად, მეორე კვარტალის საწარმოო გეგმა პროდუქციის დამზადების დარგში— უკვე შესრულებულია.

ფაბრიკას დავალებული ჰქონდა, მეორე კვარტალის საწარმოო გეგმის შესრულების გარდა, გამოეშვა იმდენი პროდუქცია, რომ ამით დაფარული იყო 1-ლი კვარტალის ჩამორჩენილობაც, მაგრამ ფაბრიკამ ეს ვერ შესძლო და 1-ლი კვარტალის საწარმოო გეგმის შეუსრულებელი ნაწილით გათვალისწინებული სამუშაოები, კვლავ შესასრულებელია.

### რა აფერხებს ნავთის გადაზიდვას ა.-კ. რკინის გზებზე

(საუბარი შრომის და თავდაცვის საბჭოს რწმუნებულ ამხ. არნოლდოვთან)

ამ ერთი თვის წინად თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის შრომისა და თავდაცვის საბჭოს კომისია ამხ. არნოლდოვის მეთაურობით.

კომისიას დავალებული ჰქონდა შეესწავლა ნავთის გადაზიდვის საკითხი ამ.-კავკ. რკინის გზაზე და შეემუშავებია ღონისძიებები ნავთის პროდუქტების ნორმალურ გადაზიდვის უზრუნველსაყოფად.

ამხ. არნოლდოვმა ჩვენს თანამშრომელს გაუზიარა თავისი შთაბეჭდილებები გზის მუშაობის გამოკვლევიდან.

#### რა აფერხებს მუშაობას

— ა.-კ. რკინის გზის და „აზნავთის"-ს მუშაობა,—სთქვა ამხ. არნოლდოვმა,—უკანასკნელ ხანებში მეტად მძიმე პირობებში მიმდინარეობდა. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ მათ უნდა შეესრულებიათ არა მარტო ნავთის პროდუქტების გადაზიდვის მარტის გეგმა, არამედ უნდა უზრუნველეყოთ ამ პროდუქტებით თესვის კამპანიაც.

როგორც რკ. გზის, ისე „აზნავთი"-ს მუშაობაში ადგილი ჰქონდა არა ერთსა და ორ დეფექტს, რომელიც ხელს უშლიდა მათ ამ დავალების შესრულებაში. ძლიერ ნაკლები, მაგალითად, ცისტერნების მოძრაობის მოუწესრიგებლობა, მათი დიდი ხნობით გაჩერება სადგურებში, რაც ადიდებს ცისტერნების ბრუნვის ხანგრძლივობას.

გზის მუშაობას განსაკუთრებით ხელს უშლის საექსპლოატაციო დარგის სახაზო განყოფილებათა არა სწორი დაყოფა და კავშირის ცუდი ტეხნიკური მდგომარეობა.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ნავთის პროდუქტების გადაზიდვის დაგეგმვის მეთოდები იყო არა რეალური და ეს არ იძლეოდა იმის გამორკვევის საშუალებას, თუ რამდენი ცისტერნა იყო საჭირო გეგმის შესასრულებლად. ნავთის პროდუქტების, მათი სახეობის მიხედვით, გადაზიდვის გეგმის შესრულების კონტროლის მოუწესრიგებლობა ხშირად იწვევდა ზოგიერთი ძვირფასი პროდუქტის (ბენზინი) გადაზიდვის გეგმის შეუსრულებლობას იმ დროს, როდესაც სხვა სახის პროდუქტების გადაზიდვის გეგმა სრულდებოდა გადაჭარბებით.

მთავრობის კომისიის ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იყვნენ ბაქოში ნავთის პროდუქტების ჩასხმის გაუმჯობესებისაკენ არ შესრულებიათ, რაც იწვევს იმას, რომ ნავთის ჩასასხმელ პუნქტებში დიდი ხნობით სდგას ცისტერნები.

უყაირათობის საუკეთესო მაგალითია თუნდაც ის, რომ ათი დღის განმავლობაში ცისტერნა იდგა უწარმოოთ „აზნავთის" ჩიხებში, „აზნავთი"-ს სატრანსპორტო-საექსპლოატაციო ნაწილის ხელმძღვანელთა დაუდევრობით.

#### ნავთსადენის და ნავთის გადასამუშავებელი ქარხნები

ნავთის გადაზიდვის მოწესრიგების საქმეში ამჟამად მთავარ საკითხს წარმოადგენს ბათომში ნავთის გადასამუშავებელ ქარხნების დამთავრების ვადები და ამასთან დაკავშირებით ახლად გაყვანილი ნავთსადენის სრული გამოყენება.

ნავთსადენი სრული დატვირთვით იმუშავებს მაისიდან, ქარხნების ამუშავება კი შესაძლებელი იქნება არა უადრეს ნოემბრის თვისა, ამგვარად ჩვენ ნახევარი წლის განმავლობაში კიდევ ვერ განვტვირთავთ რკინის გზას ნავთის გადაზიდვისაგან.

მაგრამ ამ დაბრკოლების გადალახვა შესაძლებელი გახდება, თუ ნავთსადენს აამუშავებენ ისე, რომ მან ორკვირეული რიგის მიხედვით გაატაროს ნავთის სხვადასხვა პროდუქტები ცალ-ცალკე. მაგ. პირველ ორკვირეულში გადაიქაჩება ნედლი მასალა ბათომში უკვე ამუშავებულ ერთ-ერთი ქარხნის უზრუნველსაყოფად და შემდეგ კი საექსპორტო მაზუთი. ეს მოითხოვს ზოგიერთ დამატებით სამუშაოების ჩატარებას, რაც არც ისე ძვირი დაჯდება.

ყველა ღონისძიებები, ნავთის გადაზიდვის საქმის გაუმჯობესების დარგში წარედგინა გზის გამგეობას და „აზნავთს", რომელთაც ისინი უკვე გაატარეს ცხოვრებაში. ამან შესაძლებელი გახადა ნავთის პროდუქტების გადაზიდვის მარტის გეგმის სავსებით შესრულება და გარდა ამისა ზედმეტად 300 ცისტერნა ნავთის გადაგზავნა ვოლგის მხარეში თესვის კამპანიის საჭიროებისათვის.

ნავთის გადაზიდვის ნორმალურ ნიადაგზე დასაყენებლად პირველ რიგში აუცილებელია გზის საექსპლოატაციო დარგის განყოფილებათა საზღვრების შეცვლა. ეხლა ეს საზღვრები დაწესებულია რესპუბლიკანური საზღვრების მიხედვით და ეს ხელს უშლის მატარებლების მოძრაობისათვის ხელმძღვანელობის გაწევას.

მეორე აუცილებელი პირობაა აზერბეიჯანის უბანზე მუშაკთა ნაციონალური კადრების შექმნა.

საჭიროა ამასთანავე ნავთის გადამამუშავებელ ქარხნების და ნავთსადენის მშენებლობის დაჩქარება. გზისა და „აზნავთი"-ს შორის მუდმივი დავის თავიდან ასაცილებლად,—„აზნავთი"-ს სატრანსპორტო-საექსპედიციო ნაწილის ფუნქციები უნდა გადაეცეს „სოიუზნეფტი"-ს ახლო აღმოსავლეთის სარაიონო სამმართველოს.

ამხ. არნოლდოვი 2 აპრილს ბრუნდება მოსკოვში, სადაც იგი სათანადო მოხსენებას წარუდგენს შრომისა და თავდაცვის საბჭოს.

### საქ. ეკონომსაბჭოში

#### დანაკარგებთან მებრძოლი მუდმივი თათბირი

ეკონომსაბჭოს დადგენილებით საგეგმო კომისიასთან დაარსებულ იქნა სახალხო მეურნეობის დანაკარგებთან მებრძოლი საუწყებათაშორისო მუდმივი თათბირი, რომელშიაც შედიან საგეგმო კომისიის, ს.მ.უ.ს.-ის, მიწსახკომის, შრომის სახ. კომისარიატის, მ.-გლ. ინსპექციის, ვაჭრობის კომისარიატის, ცეკავშირის, სოფლის კავშირის, კოლმეურნეობათა ცენტრის, საბჭოთა მეურნეობების ტრესტის, საქართველოს ჩაის, წყალთა მეურნეობის სამმართველოს და პროფკავშირთა საბჭოს წარმომადგენლები.

თათბირის მოვალეობაა—გაუწიოს ხელმძღვანელობა იმ ორგანოებს, რომელთა მიზანს სახალხო მეურნეობაში დანაკარგებთან ბრძოლა შეადგენს; შეიმუშაოს სხვადასხვა დარგების დანაკარგების ნომენკლატურა და მათი თავიდან ასაცილებელი ღონისძიებები. გარდა ამისა, თათბირს ევალება ჩააბას დანაკარგებთან ბრძოლის შესწავლის საქმეში უმაღლეს სასწავლებლების სამეცნიერო კადრები და აგრეთვე მიიღოს ზომები უმაღლეს სასწავლებლებში რაციონალიზაციის და წარმოების ორგანიზაციის საქმის სპეციალური კათედრის დასაარსებლად.

#### საზღვაო ტრანსპორტის რწმუნებული

ეკონომიურმა საბჭომ უკანასკნელ სხდომაზე განიხილა საკითხი ბათომ - გაგრის რაიონის საზღვაო ტრანსპორტის რწმუნებულის სამმართველოს სამყოფი ადგილის შესახებ. საბჭომ მიზანშეწონილად სცნო ასეთ ადგილად გამოცხადებულ იქნას ფოთის ნავთსადგური.

### საწარმოო გეგმა განაწილებულია ცეხებს შორის

**თბილისის ფეხსაცმელების ფაბრიკაში საწარმოო გეგმა განაწილებულია ცეხებსა და დაზგებს შორის. — დეფექტებს მაინც აქვს ადგილი.—იციან რამდენი უნდა გააკეთონ, მაგრამ არ იციან, ვინ უნდა გააკეთოს.— სოციალისტური შეჯიბრების დეფექტები. — შავ დაფაზე გამოცხადებულია კანდიდატები.**

თბილისის ფეხსაცმელების ფაბრიკის თვითეულმა მუშამ იცის, თუ რა უნდა გააკეთოს მან თავის სამუშაო დღის განმავლობაში ფაბრიკის საწარმოო გეგმის შესასრულებლად. საწარმოო გეგმა შემუშავებულია კალენდარული სისტემით, ე. ი. ფაბრიკას წინასწარვე აქვს გამოანგარიშებული თუ რომელმა ცეხმა, ან ცალკე დაზგამ რა რაოდენობის პროდუქცია უნდა დაამზადოს ერთ დღეში, რას უდრის ერთი დღის საწარმოო გეგმა და ამასდამიხედვით რა სამუშაოს შესრულება ევალება თვითეულ მუშას.

ამგვარად ფაბრიკას საშუალება აქვს ყოველი სამუშაო დღის ბოლოს შეამოწმოს, თუ რა გაკეთდა დღის საწარმოო გეგმის შესასრულებლად და რა დარჩა გასაკეთებელი. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება ითქვას, რომ ფეხსაცმელების ფაბრიკის ადმინისტრაციამ ყველაფერი გააკეთა საწ.-საფინ. გეგმის ცეხებისათვის და დაზგებისათვის ჩამოსაყალიბებლად. არსებულ დირექტივის თანახმად, ფაბრიკამ უნდა იცოდეს, თუ საწარმოო გეგმით გათვალისწინებული პროდუქცია რა რაოდენობის მუშახელით უნდა დაამზადოს. ამჟამად კი ისეთი მდგომარეობა, რომ ფაბრიკის ადმინისტრაციამ იცის ერთი დღის განმავლობაში რა რაოდენობის პროდუქცია უნდა დაამზადოს, მაგრამ არ იცის, თუ რა რაოდენობის მუშა-ხელის საშუალებით უნდა შესძლოს მისი დამზადება, რომ პროდუქციის თვითღირებულება არ გაიზარდოს და პირიქით, შემცირდეს საწარმოო გეგმით გათვალისწინებულ რაოდენობამდე.

5 აპრილამდე სულ 4 დღე დარჩა. 5 აპრილიდან კი იწყება საწარმოო გეგმების ცეხებსა და დაზგებს შორის განაწილების შემოწმება და ამ რამოდენიმე დღეში ფაბრიკის ადმინისტრაციამ უნდა შესძლოს ცეხებისა და დაზგებისათვის ახალი საწარმოო გეგმის მიცემა ისე, რომ შესაძლებელი იყოს როგორც გამომუშავებული პროდუქციის, ისე მუშა ხელის საერთო რიცხვის ყოველდღიური შემოწმება.

#### სოციალისტურ შეჯიბრების საქმეს არ ექცეოდა სათანადო ყურადღება

ფეხსაცმელების ფაბრიკაში სოციალისტური შეჯიბრება ფართოდ გაიშალა სამეურნეო წლის დასაწყისიდანვე. ფაბრიკას სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვეული ჰყავს ტყავის პირველი ქარხანა და თვით წარმოების შიგნით შემოღებულია შეჯიბრება ცეხებს შორის.

წარმოების თავისებურობის გამო, სოციალისტური შეჯიბრება აქ ტარდებოდა უმთავრესად ცალკე დამკვრელ ბრიგადებს შორის.

თებერვალში, ე. ი. სამეურნეო წლის პირველი ოთხი თვის განმავლობაში ფაბრიკაში სოციალისტურ შეჯიბრებას არავითარი ეფექტი არ მოუცია. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ სოციალისტური შეჯიბრების საქმეში დაშვებული იყო მთელი რიგი შეცდომები. შეჯიბრებულ ბრიგადებში შეყვანილი იყვნენ სხვადასხვა კვალიფიკაციისა და კატეგორიების მუშები, რომლებიც ხელფასსაც სხვადასხვა რაოდენობით ღებულობდნენ. ზედმეტი გამომუშავების ჯილდოს ბრიგადის წევრები იყოფდნენ თანაბრათ ერთმანეთს შორის და ამით მოსპობილი იყო იმის სტიმული, რომ ბრიგადის წევრებს უფრო ინტენსიურად ემუშავათ. ამ გარემოებამ შრომის ნაყოფიერების შემცირება გამოიწვია და ამგვარად სოციალისტური შეჯიბრების შედეგიც არ გამოდგა დამაკმაყოფილებელი. ნაწილობრივად ამ გარემოებას უნდა მიეწეროს ისიც, რომ თებერვლის საწარმოო გეგმა ვერ იქნა შესრულებული.

თებერვლის შუა რიცხვებიდან მოხდა დამკვრელი ბრიგადების გადახალისება და თვითეულ ბრიგადაში თავმოყრილ იქნა თანაბარი კვალიფიკაციისა და ერთი კატეგორიის მუშები, რომლებიც უფრო დაინტერესდნენ შრომის ნაყოფიერების გადიდებით.

ადგილობრივმა ფაბკომმა დიდი მუშაობა ჩაატარა მუშებს შორის სოციალისტური შეჯიბრების საქმის გასაჯანსაღებლად და გადასწყვიტა იმ მუშების სახელი და გვარი, რომლებიც ხელს უშლიან და აბრკოლებენ სოც. შეჯიბრების განვითარებას, შეიტანოს შავდაფაზე. შავდაფაზე გამოსაცხადებელთა შორის თვით მუშების ინიციატივითვე დასახელებული არიან შამონ ლაშხიანცი და ხალთ ალექსანიანი, ფაბკომში გამოარკვია, რომ დასახელებული პიროვნებანი დამკვრელ ბრიგადაში ყოფნის დროს ორჯერ ნაკლებს მუშაობდნენ, ვიდრე ამჟამად, ბრიგადის გარეშე მუშაობენ. კერძოთ ალექსანიანი ბრიგადაში ყოფნის დროს ყოველდღიურად ამზადებდა 80 წყვილი ფეხსაცმელისათვის საჭირო ტყავს, ხოლო ბრიგადიდან გასვლის შემდეგ უკვე ამზადებს 140 წყვილისათვის საჭირო ტყავს.

### სეზონო ოპტიმიზმი

#### გვყავს თუ არა კვალიფიციური მუშა-ხელი საამშენებლო სეზონისათვის?

ორი კვირის წინად ჩვენ აღვნიშნეთ, რომ დამაკმაყოფილებლად არ სწარმოებს მუშახელის მომზადება და შეკრება საამშენებლო სეზონისათვის.

გუშინ, ჩვენს თანამშრომელთან საუბარში, საქართველოს შრომის სახალხო კომისარმა ამხ. მზარეულიშვილმა განაცხადა:

საამშენებლო სეზონის ჩაშლა როგორც კვალიფიციური მუშა - ხელის, ისე შავი მუშების ნაკლებობის გამო მოსალოდნელი არ არის.

საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატმა მიიღო ყველა ზომები და უშვებს 1950 ახალ კვალიფიციურ მშენებელს, რომელთაც დამთავრებული აქვთ შრომის ცენტრალური ინსტიტუტი და ბირჟასთან არსებული კურსები.

1950 კაციდან 1100 მოდის შრომის ცენტრალური ინსტიტუტის კურსებზე, ხოლო 850 შრომის ბირჟის კურსებზე. ცალკე სპეციალისტები ხშირად ფარულ წინააღმდეგობას უწევენ კურსდამთავრებულ მშენებელ მუშებს, მაგრამ ეს, ეჭვს გარეშეა, მალე აღმოიფხვრება და ყველა ისინი მიიღებენ სამუშაოს.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა საამშენებლო ორგანიზაციებიდან კურსდამთავრებულებს განსაკუთრებით კარგად ეპყრობა ტრესტი „ახალშენი", რომელმაც სამუშაო მისცა 200 კაცს.

რაც შეეხება შავ მუშებს, დაახლოვებით 10 აპრილს საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატი დასდებს ხელშეკრულებას საქართველოს კოლმეურნეობათა ცენტრთან საჭირო რაოდენობის მუშა-ხელის მიწოდების შესახებ. გარდა ამისა ადგილებზე გაიხსნება კორესპონდენტთა პუნქტები სეზონური მუშების შესაკრებად. უნდა მოველოდეთ, რომ კრიზისს არ ექნება ადგილი არაკვალიფიციური მუშა-ხელის მიმართაც.

ჩვენ დიდი კმაყოფილებით შევხვდებოდით ამხ. მზარეულაშვილის ოპტიმისტურ განცხადებას, რომ არ მოგვეპოვებოდეს სრულიად საწინააღმდეგო ცნობები.

ამხ. მზარეულაშვილი ლაპარაკობს 1950 ახალი კვალიფიციური მშენებელი მუშის გამოშვების შესახებ, მაგრამ ამიერ - კავკასიის პროფკავშირთა თათბირზე, რომელიც ეს-ეს არის დამთავრდა, მშენებელთა კავშირის ცენტრალურ გამგეობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შრომის ცენტრალური ინსტიტუტის და შრომის ბირჟის კურსები გაჩაღებული სამშენებლო სეზონის დროს ვერ მოგვცემენ (გარდა 200 კაცისა) ახალ მუშებს. ახალი კვალიფიციური მშენებელი მუშა-ხელი უკეთეს შემთხვევაში მზად იქნება აგვისტოში.

დიდ მნიშვნელობას ვაძლევთ რა მშენებელ მუშათა ახალი კადრების მომზადებას, ჩვენ მოველით ამ საკითხის ფართოდ გაშუქებას მშენებელთა კავშირის ცენტრალურ გამგეობისაგან და შრომის ცენტრალური ინსტიტუტის და შრომის ბირჟის ადმინისტრაციისაგან.

### საქ. სახკომსაბჭოში

#### სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა რეორგანიზაცია

საკავშირო ორგანოების დადგენილების თანახმად სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა რეორგანიზაციის სახელმძღვანელოდ დაარსებულ იქნა კომისია ფინსახკომის, სასოფლო-სამეურნეო ბანკის, სახელმწიფო ბანკის და სოფლის კავშირის წარმომადგენელთაგან და დამტკიცებულ იქნა მისი დებულება. აგრეთვე დაევალა აჭარისტანის და აფხაზეთის სახკომსაბჭოებს 25 მარტამდე ლიკვიდაცია უყონ იქ არსებულ სასოფლო-სამეურნეო ბანკს და აჭარისტანის სასოფლო-სამ. საკრედიტო კავშირს.

#### საწარმოთა მოგების განაწილების წესი

საქ. სახკომსაბჭომ დაადასტურა ადგილობრივ მნიშვნელობის საწარმოთა ბალანსების დამტკიცების და მათი მოგების განაწილების წესი. დადგენილების თანახმად აღნიშნულ საწარმოთა ბალანსებს ამტკიცებს საქართველოს ფინსახკომი იმ აღმასკომთან შეთანხმებით, რომელსაც საწარმო ექვემდებარება. მოგება კი ნაწილდება შემდეგნაირად: მოგების 20 პროც. ირიცხება გადასახადში, დანარჩენიდან კი 3,5 პრ. უმაღლესი და საშუალო ტეხნიკური განათლების საჭიროებისათვის, 11,95 პროც. მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდში, 25 პროც. ადგილობრივ მრეწველობის ფონდში, 12,5 პროც. საწარმოთა გაფართოების კაპიტალში, 0.25 პროც. ხელმძღვანელ პერსონალის ჯილდო და 47,5 პროც. ადგილობრივი ბიუჯეტის სასარგებლოდ.

#### საწყობების საიჯარო ქირის გადასინჯვა

სახკომსაბჭომ დაავალა ვაჭრობის სახკომისარიატის რწმუნებულს დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად დაამუშაოს და ორი თვის განმავლობაში წარმოადგინოს პროექტი სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციების, შერეულ საქციო საზოგადოებათა მიერ სავაჭრო-სამრეწველო მიზნით და საწყობებისათვის დაქირავებული შენობების და მიწის ნაკვეთების საიჯარო ქირის შემცირების შესახებ.

### ოზურგეთ-ჩოხატაურის რკინის გზა

გზათა სახალხო კომისარიატმა გასცა განკარგულება ოზურგეთ - ჩოხატაურის რკ. გზის შტოს გაყვანისათვის საჭირო წინასწარი გამოკვლევის ჩატარების შესახებ. გამოკვლევა ამ ზაფხულშივე დაიწყება. რამდენადაც შტოს მიმართულების საკითხი აინტერესებს გურიის გლეხკაცობას, ჩვენც გვინდა შევჩერდეთ ამაზე. ამ ახლო წარსულში (თებერვლის პირველ რიცხვებში) დათვალიერებულ იქნა ხაზის მიმართულების ორი შესაძლებლობა: ერთი მიუახლოვდება შემოქმედს, გაივლის უჩხობში (დუჩხებთან), მივა ქვედა ბახვში (უღელტეხილით) ბახვის წყალზე, დაჰყვება ბახვის წყალს და გავა ნაგომარში, გადავა გუბაზეულის წყალზე, რომელიც გაივლის დაახლოებით 4-5 კილ. მანძ. ხიდისთავიდან, გაივლის გორა აცეზეულთან და მივა ჩოხატაურში ხიდთან, სადაც იქნება სადგური. შტოს სიგრძე იქნება 31 კილომეტრი.

მეორე მიმართულება განსხვავდება პირველიდან იმით, რომ, როგორც კი გადავა ბახვის წყალზე, გაემართება პირდაპირ ბუქნარში, ამით გზა შემოკლდება 7 კილ. მაგრამ ეს უფრო ძნელი იქნება ტეხნიკურათ და მშენებლობაც მეტი დაჯდება, რადგან გზა გაივლის ხეობაში.

რა თქმა უნდა, გზის ამა თუ იმ ვარიანტის აღება დამოკიდებულია არა მარტო ჩვენს სურვილზე, არამედ მის ტეხნიკურ შესაძლებლობაზე და ეკონომიურათ ამა თუ იმ მიმართულების უპირატესობაზეც.

ვიმეორებ, რომ მიმართულების ამორჩევაზე საბოლოოთ და გადაწყვეტით შეიძლება მსჯელობა მხოლოდ ტეხნიკური გამოკვლევების შედეგების მიხედვით და მისი დაპირისპირებით ერთი მხრივ, გზის შენების ღირებულებასთან და, მეორე მხრივ, ეკონომიურ უპირატესობასთან.

ცხადია, რომ ტრანსპორტის მნიშვნელობა საერთოთ დიდია და იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას და აუცილებლობას ჰპოულობს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და მისი სწრაფი განვითარების პირობებში. კერძოთ ჩოხატაურის შტოს კი დღევანდელ გურიის სასოფლო მეურნეობის კულტურის (ჩაი) განვითარების მხრივ დაუფასებელი მნიშვნელობა აქვს.

ინჟ. კაციტაძე.

### 1-ლი ქართული დივიზიის პარტკონფერენცია

1-ლი ქართულ. დივიზიის პარტკონფერენციამ მორიგ სხდომაზე მოისმინა ამხ. ნემერზელის მოხსენება პარტიულ და პოლიტ. მუშაობის მორიგ ამოცანების შესახებ.

პარტორგანიზაციებმა—სთქვა მომხსენებელმა—ყოველმხრივ უნდა შეუწყონ ხელი არმიის ბრძოლის უნარიანობის ზრდას. ამ საქმეში პარტორგანიზაციებმა უნდა დარაზმონ არა მარტო პარტიული და კომკავშირული მებრძოლები, არამედ ნაწილების მთელი უპარტიო შემადგენლობა. მეორე ამოცანაა—იდეოლოგიური სიმტკიცის შენარჩუნება და მისი შემდგომი განმტკიცება. ბრძოლა ორ ფრონტზე—აი მთავარი ლოზუნგი. 1-ლი დივიზიის პარტორგანიზაცია მუდამ მტკიცედ იდგა პარტიის ლენინური ხაზის სადარაჯოზე და იგი მომავალშიაც ბოლშევიკურად შეებრძოლება ყოველგვარ გადახრებს პარტიის გენერალური ხაზიდან.

დივიზიის პარტორგანიზაციები უნდა გადავიდენ პარტიული მუშაობის ახალ ფორმებსა და მეთოდებზე. პარტიული მუშაობის ძველი ფორმები სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის პერიოდში არ არის გამოსადეგი. პარტკონფერენციამ უნდა იმსჯელოს ამის შესახებ და სთქვას თავისი ავტორიტეტული სიტყვა.

ამხ. ნემერზელი შეეხო არმიის პარტორგანიზაციის ზრდას და აღნიშნა, რომ პარტორგანიზაცია განმტკიცდა, მან სათანადო ნდობა და ავტორიტეტი მოიპოვა უპარტიო მასაში. ამას ამტკიცებს უპარტიო წითელარმიელთა და მეთაურთა ლტოლვა პარტიის რიგებისაკენ.

კონფერენციის შემდეგ სხდომაზე გაიხსნა კამათი ამხ. ნემერზელის მოხსენების გარშემო.

კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ, რომ საკოლმეურნეო მოძრაობასთან დაკავშირებით, წითელ ყაზარმებმა უნდა მოამზადონ იდეურად მტკიცე მომუშავენი სოფლისათვის, რომლებიც სწორად გაატარებენ პარტიის ხაზს კოლექტივიზაციის დარგში. კამათში აღნიშნული იყო მუშაობის ძველი ფორმების უვარგისობა. პარტიული მუშაობის ძველი ფორმები და მეთოდები არ შეეფერებიან ნაწილების დღევანდელ მდგომარეობას. აქ საჭიროა არმიის პოლიტსამმართველოს და პოლიტგანყოფილების ხელმძღვანელობის გაძლიერება. ზემდგომ პარტიულ ორგანიზაციების ხელმძღვანელობა არ არის დამაკმაყოფილებელი დივიზიის პარტიულ ორგანიზაციაზე. ეს უმთავრესად შეეხება სოცშეჯიბრების და დამკვრელობის დარგს.

კამათში გამოსული ამხანაგები შეეხნენ აგრეთვე ნაწილების საბრძოლო მომზადებას და აღნიშნეს არმიის პოლიტსამმართველოს სწორი ხელმძღვანელობა.

კონფერენციის მეორე სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ნემერზელის საბოლოო სიტყვა.

## პროფ. სპირიდონ სიმონის ძე ვირსალაძე

30 მარტს, დილის 7 საათზე, უეცრად გარდაიცვალა სახ. უნივერსიტეტის საჰოსპიტალო ტერაპევტიული კლინიკის კათედრის პროფესორი, ტერაპევტულ სნეულებათა ინსტიტუტის დირექტორი და ცენტრალური კლინიკური ინსტიტუტის კონსულტანტი სპირიდონ სიმონის ძე ვირსალაძე.

გარდაცვალების წინა საღამოს, განსვენებული განსაკუთრებით კარგად გრძნობდა თავს. მეორე დღეს, როგორც ჩვეულებრივ, ადგა დილის 6 საათზე. თავს ცუდათ გრძნობდა. მისმა მეუღლემ მოინდომა ექიმის მოწვევა, მაგრამ განსვენებულმა არ ისურვა. ამის შემდეგ პროფესორმა დაიწყო გაზეთის კითხვა. ნახევარი საათის შემდეგ, როდესაც იგი ერთი ოთახიდან მეორეში მიდიოდა, უეცრად წაიქცა და გრძნობა დაკარგა. სასწრაფოდ გამოიწვიეს ექიმი ლორთქიფანიძე. მიღებულ იქნა ყოველგვარი ზომა, მაგრამ ველარაფერმა გასჭრა. როგორც ფიქრობენ, განსვენებულის სიკვდილი გამოწვეულია გულის სიდამბლით.

განსვენებულის დაკრძალვის მოსაწყობად მთავრობის მიერ გამოყოფილია კომისია განათლების სახ. კომისარ ამხ. დ. კანდელაკის (თავმჯდომარე), ჯანმრთელობის სახ. კომისარ ამხ. კუჭაიძის, განათლების სახ. კომისრის მოადგილის ამხ. მ. ორახელაშვილის, სახ. უნივერსიტეტის რექტორ ამხ. მ. ტოროშელიძის, პროფესორების: კეკელიძის, ნუცუბიძის, ნათიშვილის, წინამძღვრიშვილის და მიქელაძის, ექიმების: ყიფშიძის, კანდელაკის, რუსიშვილის, მჭედლიშვილის და მამალაძის, უნივერსიტეტის ადგილკომის წარმომადგენელ სტუდენტ ამხ. სულუხიას, სტუდენტების წარმომადგენელ ამხ. ყიფიანის და გიორგაძის და სახ. უნივერსიტეტის სამხედრო ხელმძღვანელ ამხ. მელაძის შემადგენლობით.

### პროფ. სპირიდონ ვირსალაძის ხსოვნას

30 მარტს, დილის 7 საათზე, გულის სიდამბლით, მოულოდნელად გარდაიცვალა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰოსპიტალური-თერაპევტიული კლინიკის და ჯანსახკომის ტროპიკული ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი სპირიდონ სიმონისძე ვირსალაძე. განსვენებულის სახელი ფართოდ იყო ცნობილი საქართველოს და საბჭოთა კავშირის ექიმთა შორის.

გამოჩენილი მეცნიერი, კლინიცისტი, პოპულიარული ექიმი—პრაქტიკოსი და საზოგადო მოღვაწე, უდიდესი მალარიოლოგი, პროფესორი ვირსალაძე წარმოადგენდა შეუცვლელ სამეცნიერო ძალას.

პროფ. ვირსალაძის სამეცნიერო-პრაქტიკული მოღვაწეობა მრავალფეროვანია. მან გაიარა ცნობილი პროფესორის ნეჩაევის სკოლა ლენინგრადში, არა ერთხელ იყო მივლინებული სამეცნიერო მიზნით საზღვარგარეთ, სადაც ის მუშაობდა გერმანიის ცნობილ მეცნიერებთან: კრაუზესთან, ერმანთან და სხვ. პროფესორმა ვირსალაძემ რამდენიმე ათეული წელი შესწირა ავადმყოფთა და მეცნიერების სამსახურს, მუშაობდა რა ყოფილ მიხეილის საავადმყოფოში ექიმად და შემდეგ ჰოსპიტალურ თერაპიულ კლინიკის გამგედ და ჯანსახკომის ტროპიკული ინსტიტუტის დირექტორად.

პროფესორ ვირსალაძის ეკუთვნის მრავალრიცხოვანი შრომები თეორიული და პრაქტიკული მედიცინის სხვადასხვა საკითხებზე, რომლებიც დაბეჭდილია საქართველოს, საბჭოთა კავშირის და საზღვარგარეთელ სამედიცინო ჟურნალებში და რომლებმაც მოუხვეჭეს მას დიდი მეცნიერის სახელი. პროფესორ ვირსალაძის მეცნიერული შრომების ღირებულება იმდენად დიდია, რომ ზოგიერთი მისი შრომები ხშირად მოყვანილია გერმანიის კლასიკურ სახელმძღვანელოებში. ჰამბურგის ტროპიკულ ინსტიტუტში ყოფნის დროს 1929 წ. ოქტომბერში მე მქონდა შემთხვევა პირადად დავრწმუნებულიყავი პროფესორ ვირსალაძის პოპულიარობაში იმ დიდი ინტერესის მიხედვით, რომელსაც ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკები იჩენდენ პროფ. ვირსალაძისადმი.

განსვენებული იყო თბილისის ახალგაზრდა უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი და მან მოკლე დროის განმავლობაში შესძლო თავისი კლინიკის სათანადო სიმაღლეზე დაყენება.

პროფ. ვირსალაძის ღრმა შინაარსიან ლექციებს უდიდესი ინტერესით უსმენდენ სტუდენტები და ექიმები.

პროფ. ვირსალაძის სკოლიდან გამოვიდნენ მრავალი ექიმი-თერაპევტები და სპეციალისტები მალარიის და ტროპიკული მედიცინის დარგში.

თავისი საექიმო მოღვაწეობის ჯერ კიდევ პირველი წლებიდან პროფ. ვირსალაძეს აინტერესებდა საზოგადოებრივი მედიცინის საკითხები, რაც აშკარად გამოსჭვივის მთელ მის მუშაობაში.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ პროფ. ვირსალაძეს მიეცა საშუალება ფართოდ გაეშალა საზოგადოებრივი მუშაობა.

განსაკუთრებით დიდია პროფ. ვირსალაძის დამსახურება მალარიასთან ბრძოლის საქმეში.

საბჭოთა ხელისუფლების დროს განხორციელდა მისი დიდი ხნის მისწრაფება—მალარიასთან ბრძოლის სახელმწიფო ორგანიზაციის მოწყობა ტროპიკული ინსტიტუტის სახით თბილისში და სამალარიო სადგურების სახით პროვინციაში.

ჯანსახკომის ტროპიკული ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე ყოფნის დროს ის იჩენდა უდიდეს აქტივობას მალარიასთან ბრძოლის ორგანიზაციის საქმეში და უშუალოდ ხელმძღვანელობდა სამალარიო ორგანიზაციების სამეცნიერო-პრაქტიკულ მუშაობას. მთელ საქართველოში უკანასკნელ ხანებში განსვენებული მუშაობდა ტროპიკული ინსტიტუტის და ტროპიკული სადგურების რეორგანიზაციის ჩასატარებლად და უკანასკნელების მოსამზადებლად პელაგრის ეპიდემიასთან საბრძოლველად. განსვენებულის აქტიური მონაწილეობით შედგენილია მალარიასთან და სხვა ტროპიკულ სნეულებებთან ბრძოლის ხუთწლიანი გეგმა.

ის იყო ჟურნალ „ტროპიკული მედიცინის მოამბის" ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი და მალარიის და სხვა ტროპიკულ სნეულებათა პროფილაქტიკის და თერაპიის დარგში ექიმთა გადასამზადებელი კურსების ინიციატორი. განსვენებულის გამოცდილებით ხშირად სარგებლობდნენ ყველა უწყებები და ორგანიზაციები, რომლებსაც რაიმე დამოკიდებულება ჰქონდათ მალარიასთან და სხვა ტროპიკულ სნეულებების საკითხებთან.

განსვენებული იყო საბჭოთა საექიმო ენციკლოპედიის სამეცნიერო-კორესპონდენტი, ჯანსახკომის სამეცნიერო საბჭოს წევრი, სახკომისართა საბჭოსთან არსებულ სტიქიურ უბედურებებთან ბრძოლის მთავარი კომიტეტის წევრი, ამიერ-კავკასიის ცენტრალურ სამალარიო კომიტეტის წევრი, საქ. ცენტრალურ სამალარიო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, პელაგრასთან მებრძოლ სამეცნიერო კომისიის თავმჯდომარე, საქ. ჯანსახკომის ტროპიკული ინსტიტუტის დირექტორი და მისი კლინიკურ განყოფილების გამგე, უკანასკნელი დაწესებულება მისივე მეცადინეობით ახლად აშენებულ შენობაშია გადატანილი.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა პროფ. ვირსალაძის სახით დაკარგა დიდი, გამოჩენილი მუშაკი, მეცნიერი-ექიმი, მალარიოლოგი და პედაგოგი. მან აღზარდა არა ერთი თაობა ექიმების, რომლებიც ამჟამად მუშაობენ მშრომელ გლეხთა მასებში, სადაც ის დიდი პოპულიარობით სარგებლობდა.

უკანასკნელ ხანებში სიკვდილმა ჩვენ წრიდან გამოგვტაცა ჯანმრთელობის დაცვის მთელი რიგი მეცნიერი და პრაქტიკული მუშაკები, მაგრამ ჩვენ მაინც არ უნდა მივეცეთ სასოწარკვეთილებას; ექიმთა ფართო მასებმა უნდა შეამჭიდროონ თავიანთი რიგები და კოლექტიური ძალ-ღონით განაგრძონ მუშათა და მშრომელთა სამსახური.

საზოგადო მუშა-ექიმების ახალ კადრებმა გაორკეცებული ენერგიით უნდა განაგრძონ ის საქმე, რომელსაც განსვენებული ემსახურებოდა. ეს იქნება პროფ. ვირსალაძის ცხოვრების და მოღვაწეობის საუკეთესო ძეგლი.

გრ. კუჭაიძე.

### ბიოგრაფიული ცნობები

პროფ. ს. ვირსალაძე დაიბადა 1868 წლის 9 მარტს სოფ. ნაზშირის ღელეში (ქუთაისის ოლქი) ღარიბი გლეხის ოჯახში. 8 წლისა არც იყო, როდესაც იგი ჩაიყვანეს ქუთაისში და მიაბარეს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, სადაც მან დაჰყო 1882 წლამდე. ამავე წელს იგი შევიდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. სემინარიაში ს. ვირსალაძე ითვლებოდა ერთ-ერთ საუკეთესო მოწაფედ.

1886 წელს, როდესაც მოჰკლეს სემინარიის რექტორი ჩუდეცკი, ს. ვირსალაძე, სხვა მოწაფეებთან ერთად, დაითხოვეს სემინარიიდან, რადგან იგი ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას მოწაფეთა სხვადასხვა წრეებში. სემინარიიდან დათხოვნილ მოწაფეებს არ ჰქონდათ სხვა რაიმე სასწავლებელში შესვლის უფლება. ს. ვირსალაძემ და ზოგიერთმა მისმა ამხანაგებმა გაასაჩივრეს სემინარიის პედ. საბჭოს დადგენილება.

მთავრობამ მოწაფეების ერთ ჯგუფს და მათ შორის ს. ვირსალაძესაც დართო ნება განეგრძოთ სწავლა კიევის სასულიერო სემინარიაში. 1886 წელს ს. ვირსალაძე შევიდა კიევის სასულიერო სემინარიაში რომელიც დაამთავრა 1889 წელს. ერთი წლის შემდეგ ს. ვირსალაძე შედის ტომსკის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე, რომელსაც ამთავრებს 1897 წელს.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი მოემგზავრება თბილისში. 8 თვე მან დაჰყო ქალაქ ქასუმკენტში (დაღესტანი) ოლქის ექიმის თანამდებობაზე. იგი აკვირდებოდა მთიელთა ყოფა-ცხოვრებას, ჩვეულებებს და დააგროვა დიდძალი მასალა ამ დარგში. თბილისში დაბრუნებისას მან გააკეთა რამოდენიმე მოხსენება დაღესტნის ხალხთა ცხოვრების შესახებ.

1898 წელს ს. ვირსალაძე გაემგზავრა მაშინდელ პეტერბურგში და შეუდგა მზადებას გამოცდების ჩასაბარებლად დოქტორის ხარისხზე. გამოცდები მან ბრწყინვალედ ჩააბარა და შეუდგა სადისერტაციო შრომის შედგენას. ამავე დროს ს. ვირსალაძე შევიდა სამსახურში. იგი მუშაობდა ბოტკინის გადამდებ სნეულებათა და ობუხოვის საავადმყოფოში გამოჩენილ ექიმების ხელმძღვანელობით.

1903 წლის შემოდგომაზე ს. ვირსალაძე დაინიშნა ყოფ. მიხეილის საავადმყოფოს გამგის თანაშემწედ და ამავე საავადმყოფოს ტერაპევტულ განყოფილების უფროსად.

1909 წელს ს. ვირსალაძემ დაიცვა დისერტაცია სამხედრო -სამედიცინო აკადემიასთან და მიიღო მედიცინის დოქტორის ხარისხი.

1912 წელს ს. ვირსალაძე გაიგზავნა საზღვარგარეთ მალარიასთან ბრძოლის მეთოდების შესასწავლად. ჰამბურგში (გერმანია) მან დაამთავრა ტროპიკული მედიცინის კურსები და შემდეგ გაემგზავრა რომში, პარიზში, ლონდონში და ბერლინში, სადაც ეცნობოდა მალარიასთან ბრძოლის საქმეს.

1918 წელს ს. ვირსალაძე დაინიშნა ყოფ. მიხეილის საავადმყოფოს დირექტორად. 1924 წელს იგი გაგზავნა საბჭოთა მთავრობამ გერმანიაში სამეცნიერო მიზნებით. უკანასკნელად ის იყო გერმანიაში 1927 წელს.

მიმდინარე წელს პროფ. ვირსალაძე უნდა დასწრებოდა საერთაშორისო კონგრესს მალარიის საკითხების ირგვლივ ალჟირში, რომელზედაც იგი პირადად იყო მიწვეული.

პროფ. ვირსალაძეს მიუძღვის დიდი შრომა ქართული უნივერსიტეტის დაარსებაში.

პროფ. ვირსალაძე დიდ ყურადღებას აქცევდა მალარიასთან ბრძოლის საკითხებს და ამ დარგში მას აქვს ბევრი ნაშრომი. 1912 წლიდან ის იყო მალარიასთან მებრძოლ ყოფ. კავკასიის კომიტეტის მდივანი. მეფის დროსვე მას განზრახული ჰქონდა სამალარიო ინსტიტუტის მოწყობა თბილისში. ამ იდეის განხორციელება მან მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს შესძლო.

პროფ. ვირსალაძე მიწვეული იყო „დიდი სამედიცინო ენციკლოპედიის" თანამშრომლად. იგი გამოყოფილი იყო ამ ენციკლოპედიის ბიბლიოლოგიის, კურორტოლოგიის, შინაგან სნეულებათა და სხვ. განყოფილების თანარედაქტორად.

პროფ. ვირსალაძე გარდაიცვალა 62 წლისა, უკანასკნელ დრომდე ის დაუღალავად მუშაობდა როგორც მედიცინის, ისე საზოგადოებრივ დარგში.

პროფ. ვირსალაძეს აქვს 50-მდე შრომა მედიცინიდან. მისი ნაშრომები და წერილები დაბეჭდილია როგორც საქართველოს და რუსულ, ისე უცხოეთის ჟურნალებში.

## მასიურად დავაწინაუროთ მუშები და მუშა ქალები სამეურნეო ორგანოებში საპასუხისმგებლო ადგილებზე

## შევქმნათ ნორმალური პირობები დაწინაურებულთა მუშაობისათვის

„საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და ცენტრალური საკონტროლო კომისია წინადადებას იძლევიან უმოკლეს ვადში მიღწეულ იქნას სრული გარდატეხა მუშებისა და მუშა-ქალების საბჭოთა აპარატში დაწინაურების საქმეში, არ დაუშვან ამ საქმისადმი ფორმალური, კამპანიისებური მიდგომა, არამედ აწარმოონ სისტემატიური მუშაობა დაწინაურების საქმეში... პასუხისმგებლობა სახელმწიფო აპარატში მუშების სისტემატიურად დაწინაურებისათვის, დაწინაურებულთა მუშაობის ხელმძღვანელობა, მათთვის ნორმალური პირობების შექმნა და მათი კვალიფიკაციის ამაღლება ეკისრება დაწესებულებათა ხელმძღვანელებს." (საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის და ცენტრ. საკონტრ. კომისიის დადგენილებიდან).

### პარტიის და ხელისუფლების დადგენილებათა დამახინჯების უფლებას არავის მივცემთ

(სახ. ოპერის თეატრი)

საბჭოთა დაწესებულებებში დაწინაურებულ მუშების ნორმალურ მუშაობას წინ ეღობება მთელი რიგი სიძნელეები. მუშა-დაწინაურებულებს ზოგიერთ დაწესებულებათა ხელმძღვანელები არ უწევენ სათანადო დახმარებას და უქმნიან ისეთ პირობებს, რომ დაწინაურებული მუშა იძულებული ხდება დაუბრუნდეს წარმოებას.

სახელმწიფო ოპერის თეატრში შექმნილია ისეთი ატმოსფერა, რომ შეუძლებელია მუშა დაწინაურებულის მუშაობა. იქ მუშა-დაწინაურებულს ყურადღებას არ აქცევენ; ყოველგვარ საკითხს სხვები სწყვეტენ.

სახელმწიფო საოპერო თეატრის დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე დაწინაურებულ იქნა მუშა თანეიშვილი. მანამდე ამხ. თანეიშვილი მუშაობდა სტალინის სახელობის ორთქლმავალთა შემკეთებელ ქარხნის ჩამომსხმელ საამქროში. აქედან ის დაწინაურებულ იქნა პლეხანოვის სახელობის კლუბის გამგედ. პლეხანოვის სახელობის თეატრში ამხ. თანეიშვილი წელიწადნახევარს მუშაობდა და გაამართლა იმედები, რომელსაც მასზედ პარტიული ორგანიზაცია ამყარებდა. პლეხანოვის კლუბიდან ამხ. თანეიშვილი ოპერაში იქნა გადმოყვანილი დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე. ოპერაში ამხ. თანეიშვილი 5 თვეა რაც მუშაობს. მაგრამ იქ მას არაფერი არ ეკითხება, დირექტორი ჯაფარიძე მოადგილის დაუხმარებლად, თვითნებურად სწყვეტს თეატრის ყოველგვარ საკითხებს. თეატრის დირექტორს არ სურს დაწინაურებულთან მუშაობა და ამიტომ არც არავითარ ანგარიშს არ უწევს მას.

ამას წინად თეატრის დირექტორი ჯაფარიძე მოსკოვში უნდა წასულიყო. თუ რისთვის მიდიოდა ეს ამხ. თანეიშვილმა არ იცოდა. მან რამდენჯერმე დასვა საკითხი ხელოვნების მთავარ მმართველობაში ამის შესახებ, მაგრამ უშედეგოდ. მოსკოვიდან ჯაფარიძემ პირდაპირი მავთულით გამოიძახა თეატრის ადმინისტრატორი არაქჩეევი და მას შეეკითხა თეატრის მდგომარეობის შესახებ. თავისი მოადგილის არსებობა კი „დაავიწყდა", ამჯობინა ტეხნიკურ მუშაკისაგან თეატრის მდგომარეობის გამორკვევა.

სახელმწიფო ოპერის თეატრში ადგილი აქვს უყაირათობას, სახელმწიფო ქონებისადმი გულგრილად მოპყრობას. ოპერის დირექცია ხშირად ხელგაშლილობას იჩენს, არღვევს ხელშეკრულებას და სხვა, რაც დიდ ხარჯებს იწვევს. ხელშეკრულების ძალით დირექცია მომღერალს თითო გამოსვლაზე აძლევს 400—500 მანეთს, ამასთან ერთად მომღერალი 10 ჯერ უნდა გამოვიდეს. სინამდვილეში კი მომღერალი მხოლოდ ორ-სამჯერ გამოდის, რაც ზედმეტ ხარჯებს იწვევს. გარდა ამისა დირექტორ ჯაფარიძეს ანგარიშს ქვეშ წაღებული აქვს 2.500 მანეთი, რომლის ანგარიში ჯერ კიდევ წარმოდგენილი არ არის. ოპერის თანამშრომლებს წინდაწინ, ავანსის სახით გატანილი აქვს თანხების დიდი რაოდენობა. ოპერაში გამეფებულ ბიუროკრატიზმისა და უყაირათობის შესახებ ამხ. თანეიშვილმა რამოდენჯერმე დასვა საკითხი ხელოვნების მთავარ მმართველობაში, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დაწინაურებულ მუშას განათლების სახ. კომისარიატი, და განსაკუთრებით ხელოვნების მთავარი მმართველობა არავითარ დახმარებას არ უწევს, რაიც კიდევ უფრო აძლიერებს თეატრის დირექტორის თვითნებობას.

მუშა დაწინაურებულისადმი ასეთი მოპყრობა ყოვლად დაუშვებელია, ამის უფლებას ვერავის ვერ მივსცემთ, რადგან ეს ეწინააღმდეგება პარტიისა და ხელისუფლების სათანადო დადგენილებებს.

ც—ია.

### გაბედულად დავაწინაუროთ მუშები

(საქ. პროფსაბჭო)

1929 წელს სხვადასხვა დაწესებულებებში დაწინაურებულ იქნა 343 კაცი. ხშირად მუშათა დაწინაურებაში დაშვებული იყო შეცდომები. მუშათა საერთო კრებების და საწარმოო კომისიების საშუალებით დაწინაურებულია 111 კაცი (34 პროცენტი), ადგილკომების მიერ დაწინაურებულია—27 კაცი (3,3 პროც.), ადმინისტრაციისაგან 3 კაცი (0,9 პროცენტი) და სხვ.; ხშირად მუშათა მასებს არ ჰქონდათ საშუალება მონაწილეობა მიეღოთ მუშების დაწინაურების საქმეში.

ზოგიერთ დაწინაურებულ მუშებს გაწყვეტილი აქვთ კავშირი იმ წარმოებასთან, საიდანაც ისინი დააწინაურეს. იშვიათია ისეთი შემთხვევა, რომ წარმოებას მოეწყოს დაწინაურებულ მუშის მოხსენება.

ამ უკანასკნელ ხანებში ხუთთვიან მოსამზადებელ კურსებზე პროფსაბჭომ გაგზავნა 300-დე დამკვრელი მუშა. გარდა ამისა, ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტთან მოწყობილ სპეციალურ კურსებზე მომზადებულ იქნა 130 კაცი. აქედან უკვე დაწინაურებულია 68 კაცი. სხვა მუშების დაწინაურება სწარმოებს თანდათანობით.

აქ უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება: იმ მუშებს, რომლებსაც საქ. პროფსაბჭო აწინაურებს ამიერ-კავკასიის დაწესებულებებში მრავალი ინსტანციების გავლა უხდებათ. მაგ. მუშას აწინაურებს საერთო კრება, აქედან დაწინაურებული მუშა იგზავნება კავშირის ცენტრალურ გამგეობაში, კავშირის ცენტრალური გამგეობა აგზავნის მუშას საქ. პროფსაბჭოს კადრების მომზადების განყოფილებაში, უკანასკნელი თავის მხრივ აგზავნის ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოში; ამიერ-კავკასიის პროფსაბჭო—დაწესებულების უფროსთან. აი ასეთი ინსტანციის გავლა უხდება იმ მუშებს, რომლებიც ამიერ-კავკასიის დაწესებულებაში იგზავნებიან.

პროფსაბჭომ მოაწყო მუშათა ბრიგადები, რომლებიც დაათვალიერებენ ყველა იმ დაწესებულებებს, სადაც ჩატარდა საბჭოთა აპარატის წმენდა. ბრიგადები შეამოწმებენ დაწესებულებებს იმ მიზნით, რომ გამოარკვიონ გაწმენდილების ადგილზე არიან თუ არა დაწინაურებული მუშები.

ქალთა დღის—8 მარტის დღესასწაულთან დაკავშირებით შერჩეულ იქნა 40-ე მუშა ქალი, რომლებიც მოსამზადებელი კურსების გავლის შემდეგ დაწინაურებულნი იქნებიან სხვადასხვა შესაფერ ადგილებზე.

საქ. პროფსაბჭოს განზრახული აქვს მიმდინარე წელს მთელ საქართველოში საბჭოთა, ადმინისტრატიულ და სამეურნეო მუშაკების თანამდებობაზე დააწინაუროს მუშების საკმაო რაოდენობა. ამ მიზნით პროფსაბჭომ ადგილებს დაუგზავნა სათანადო მითითებები.

საკავშირო პროფსაბჭოს დირექტივების თანახმად გასული წლის ნოემბრიდან საქ. პროფსაბჭოს უნდა დაეწინაურებია 54 პროფმუშაკი ადმინისტრატიულ და სამეურნეო თანამდებობაზე. საკონტროლო ციფრები საქ. პროფსაბჭომ გადაჭარბებით შეასრულა.

პროფ. მუშაკი.

### ნაყოფიერად მუშაობენ

პარტიულმა და პროფესიონალურმა ორგანოებმა გადაუდებელ ამოცანად დაისახეს „თელასი"-ს აპარატის გაწმენდა ბიუროკრატიულ ელემენტებისაგან და მათ ადგილზე მუშების დაწინაურება. საბჭოთა აპარატის წმენდამ „თელასი"-ს აპარატს მოაშორა მავნე ელემენტები. „თელასიდან" მუშები დაწინაურებულ იქნენ, როგორც თელასის აპარატში, ისე თვით ქალაქის სარაიონო ელექტრო-ქსელის შემკეთებელ ბრიგადებში. დღეს ბრიგადების ხელმძღვანელებათ, ინჟენერ-ტეხნიკოსების ნაცვლად, არიან დაწინაურებული მონტიორები.

„თელასის" აპარატში საკონტროლო-საღრიცხვო განყოფილების გამგედ დაწინაურებულ იქნა მუშა—ამხ. კობალაძე 9 წლის საწარმოო სტაჟით. უნდა აღინიშნოს, რომ კობალაძის დაწინაურება „თელასის" ჩინოვნიკებს არ ესიამოვნათ; მუშას დაუწყეს დევნა იმ მიზნით, რომ თვით განეცხადებინა უარი სამუშაოზე. ამხ. კობალაძე არაჩვეულებრივად დატვირთეს, რის გამო ახლად დაწინაურებულ მუშას გაუძნელდა მუშაობა. ასეთი მდგომარეობა დროზე შეამჩნია ადგილობრივ პარტუჯრედმა და ქარხკომმა და საქმე მალე მოგვარებულ იქნა.

ელგაყვანილობის ტეხნიკოს—მიმღებებათ დაწინაურებულ იქნა 5 მუშა. მუშებმა შრომის ნაყოფიერება, მოკლე ხნის განმავლობაში, 45 პროცენტით გაადიდეს. ფულის ამკრეფად დაწინაურებულია 6 მუშა.

მუშების დაწინაურების საკითხს არჩევს პარტიული უჯრედი, ადგილკომი, ეკონომკომისია და მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. დაწინაურებული მუშები გაიგზავნა მოსამზადებელ კურსებზე. ამჟამად ყოველ ბრიგადასთან ინჟენერ-ტეხნიკოსთა ბიუროს მიერ მოწყობილია მუშათა მოსამზადებელი კურსები.

ნ. ზ.

### გავაძლიეროთ მუშა-ქალთა შორის მუშაობა

(ლენინის რაიონი)

მიუხედავათ იმისა, რომ ს.კ.პ. (ბ) ლენინის რაიკომი დიდ ყურადღებას აქცევს მუშა-ქალ. დაწინაურებას, მან მაინც არ იცის თუ რა კეთდება ამ დარგში. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ დღემდე მუშა-ქალების დაწინაურება რაიონში უგეგმოდ მიმდინარეობდა; მუშა-ქალების დაწინაურებას უმთავრესად შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა. რაიკომის ქალთა სექტორის აღრიცხვაზე არა ჰყავს აყვანილი დაწინაურებული ქალები. დაწინაურებულ ქალთა შორის არავითარი მუშაობა არ სწარმოებდა. ამ ბოლო დროს მდგომარეობა გაუმჯობესდა. ქალთა სექტორი შეუდგა დაწინაურებულ ქალთა შორის მუშაობას და სათანადო დახმარების გაწევას.

8 მარტის დღესასწაულთან დაკავშირებით დაწინაურებულ იქნა რკ. გზის სავაგონო პარკიდან მუშა-ქალი ამხ. ხათაშვილი—კოოპერატიული მაღაზიის გამგეთ; რ. ლუქსემბურგის სახ. თამბაქოს ფაბრიკიდან—მუშა-ქალი ამხ. ბუზნიაკოვი. სხვადასხვა საბჭოთა დაწესებულებიდან დააწინაურეს 6 დამლაგებელი ქალი, ტრამვაის სახელოსნოებიდან 3 ქალი და სხვ.

შემდეგისათვის ლენინის რაიკომის ქალთა სექტორმა კიდევ უფრო უნდა გააძლიეროს მუშა-ქალთა შორის მუშაობა და განსაკუთრებით დაეხმაროს დაწინაურებულ ქალებს.

მუშა-ქალი.

### ასეთი მუშაობით შორს ვერ წავალთ

(ტყავტრესტის ახალი ქარხანა)

პარტია და ხელისუფლება დიდ ყურადღებას აქცევს მუშათა დაწინაურებას. წარმოება-დაწესებულებებიდან იწმინდებიან ბიუროკრატები და მავნებლები. მათ ადგილს კი იჭერს მუშათა ახალ-ახალი რიგები.

მიუხედავად ამისა ზოგიერთ შემთხვევებში მუშების დაწინაურება მიზანშეწონილად არ ხდება. მუშათა დაწინაურებას არ ექცევა მაქსიმალური ყურადღება.

ტყავ-ტრესტის ახალი ქარხნის ადგილობრივ კომიტეტმა და კომუჯრედმა დაწინაურა მუშა ხუბეიროვი. ამხ. ხუბეიროვი დაწინაურებულ იქნა ადერბეიჯანში ტყავ-ტრესტის განყოფილების უფროსად. მაგრამ რამოდენიმე ხნის შემდეგ ამხ. ხუბეიროვმა ითხოვა ძველ სამუშაოზე დაბრუნება. ამხ. ხუბეიროვმა არ იცოდა თურქული ენა. ეს არ გაუთვალისწინებია არც ქარხკომს და არც კომუჯრედს, რის გამო იძულებული შეიქნა მუშა ქარხანაში დაბრუნებულიყო. ასეთი დაწინაურება არაფრათ არ ვარგა. მუშა უნდა დავაწინაუროთ ისეთ ადგილზე, სადაც შესაძლებელია მისი გამოყენება. დაწინაურების მახინჯ მოვლენებს სასტიკად უნდა ვებრძოლოთ.

გ. მ—ლი.

### მუშათა დაწინაურების ნაკლოვანებები

(ლენინის რაიონი)

ლენინის რაიონში ძირითადი საწარმოო დაწესებულებებიდან დაწინაურებული იქნა მუშების საკმაო რაოდენობა საბჭოთა სამეურნეო და კოოპერატიულ დაწესებულებებში. 1929 წლის 1 ოქტომბრისათვის მთელ რაიონში დაწინაურებულ მუშების რაოდენობა უდრიდა 33 კაცს. მიმდინარე წლის პირველ მარტისათვის დაწინაურებული მუშების რაოდენობა 140 კაცს აღემატება. ეს ფაქტი მოწმობს იმას, რომ რაიონის პარტიულ და პროფესიონალური ორგანიზაციები სერიოზულ ყურადღებას აქცევენ მუშათა დაწინაურებას. მიუხედავად ამისა, ზემდგომი ორგანოების დირექტივა 30 პროც. უპარტიო მუშების, 15 პროც. ქალების და 10 პროც. ახალგაზრდობის დაწინაურების შესახებ არ არის მთლიანათ შესრულებული.

დღემდე, მუშათა დაწინაურების საკითხი სწყდებოდა მხოლოდ პარტორგანიზაციის ხაზით. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ მუშათა დაწინაურების საქმეში რაიონში ადგილი აქვს მთელ რიგ დეფექტებს. დაწინაურებულ მუშების კანდიდატების შერჩევა და განხილვა ზოგიერთ შემთხვევაში არ სწარმოებს მუშათა საერთო კრებებზე. დაწინაურებას აქვს საერთო ხასიათი, ე. ი. ჰყოფენ მუშებს დასაწინაურებლად და არ ითვალისწინებენ თუ სად და რომელ დარგში მოუხდება დაწინაურებულს მუშაობა. მოუსმინოთ რას ამბობენ მუშები: „ძალიან მიმძიმდა პირველად მუშაობა, რადგანაც არ ვიყავი გაცნობილი იმ დაწესებულებას, სადაც მე დამაწინაურეს"-ო, ან კიდევ—„საჭიროა და აუცილებელი მუშას ჯერ გააცნოთ და შეასწავლოთ ის დაწესებულება, სადაც მას მოუხდება მუშაობა და შემდეგ დააწინაუროთ"-ო. ეს ფაქტები ამტკიცებენ იმას, რომ მუშათა დაწინაურება ხშირად უსისტემოთ და გაურკვევლად მიმდინარეობს.

პარტიულმა და პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა დღემდე ვერ შესძლეს დაწინაურებულ მუშების მოხსენებების მოსმენა თავიანთი მუშაობის შესახებ. არის მაგალითები, როდესაც დაწესებულების ხელმძღვანელი, თვით კომუნისტებიც კი ბიუროკრატიულად ეპყრობიან დაწინაურებულ მუშებს. აი რას ამბობენ მუშები: „დაწესებულების ხელმძღვანელი პარტიული ამხანაგი სრულიად არ მაქცევდა ყურადღებას. მე იძულებული გავხდი მიმემართა ზემდგომ ორგანოებისათვის, რომ განვეთავისუფლებინე სამუშაოდან, რომ დავბრუნებოდი ისევ დაზგას"-ო.

პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციები რაიონში ჯერ კიდევ ნაკლებად ზრუნავენ, რომ დაწინაურებულ მუშებს შეუქმნან სათანადო პირობები საბჭოთა აპარატში მუშაობისათვის.

ჩამოთვლილი დეფექტების გამოსწორებას ლენრაიონის პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებმა სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ.

ხ—ნია.

# ქრონიკა

### ამხ. საგაშვილის დანიშვნა

7 საათიან სამუშაოზე გადამყვან საუწყებათაშორისო და პროფტექნიკურ განათლების ფონდის განმანაწილებელ კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა ამხ. **ხაბაშვილი.**

### ტრამვაის ახალი ტარიფი

დღეიდან თბილისში შემოღებულია ტრამვაის ახალი ერთიანი ტარიფი. მუშათა უბნებს გარდა, ყველა ხაზებზე ტრამვაით მგზავრობა მიუხედავად მანძილისა, ღირს 10 კაპ.

თბილისის ლიკპუნქტებში დამთავრდა მეცადინეობა. წინასწარი ცნობებით წერა-კით. შეისწავლა 15.000 უცოდინარმა. გარდა ამისა, მცირემცოდნეობის სკოლები დაამთავრა — 5.000 კაცმა.

### საპნისა და ზეთის ქარხნების გადაცემა ვაჭ. კომისარიატისათვის

საქ. ს.ს.ც. საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, დღემდე საქ. საფეიქრო ტრესტის განკარგულებაში მყოფი ზეთის სახდელი და საპნის ქარხნები გადაეცა ვაჭრობის სახალხო კომისარიატს.

### პროფკავშირის წევრთა რაოდენობა

ამჟამად საქართველოს პროფკავშირებში ითვლება 205.234 კაცი. აქედან: აჭარისტანში—18.126, აფხაზეთში—14.037, სამხრეთ-ოსეთში—2.205, თბილისში—91.974, გორის ოლქში—12.626, ქუთაისის ოლქში—34.358, კახეთში—7.830, ახალქალაქის მაზრაში — 2836, ახალციხის—4.153, ოზურგეთის მაზრაში—4.462, სენაკის მაზრაში—4.156, ზუგდიდის მაზრაში—4.672, ფოთში—3.812.

### დახმარება გლეხ ქალებს

გლეხი ქალებისათვის ფეხმძიმობის, მშობიარობის და ბავშის კვების დროს დახმარების გასაწევად, მთავრობის დადგენილებით სოფლად მოეწყობა ქალთა ურთიერთ-დახმარე სალაროები.

### საზოგადოებრივი კვების [illegible]

პიონერთა ორგანიზაციებმა შეადგინეს ბრიგადები საზოგადოებრ. კვების შესამოწმებლად. ეს ბრიგადები პირველ რიგში გამოიკვლევენ საბავშო ბაღებში და სკოლებში სასაუზმე მაგიდებს და საბავშო კვების საქმეს.

### კურორტებზე

ბორჯომის სანატორიუმებში განცხადების მიღება შეწყვეტილია. აბასთუმნის სანატორიუმებში განცხადებების მიღება გაგრძელებულია 15 აპრილამდე. ცალკე ოთახების გაცემა სწარმოებს.

### თბ. აღმასკომში

◆ ოლქში საგზაო მშენებლობისათვის დაარსებულ იქნა სპეციალური ფონდი.

◆ კოლმეურნეობებისათვის ხელმძღვანელებისა და მოანგარიშეების მოსამზადებლად აღმასკომი აწყობს ცალკე კურსებს.

◆ წყალსადენის ახალი მაგისტრალების გასაყვანად გადაიდო 75.000 მ.

◆ სავაჭროების ქსელი. აღმასკომმა წინადადება მისცა მუშკოოპს მუშათა რაიონებში გააფართოვოს სავაჭროების ქსელი.

### ჯანმრთელობის კომისარიატში

◆ მთლიან კოლექტივიზაციის ხობის რაიონში (ზუგდიდის მაზრა) ჯანსახკომი ხსნის 10 საწოლიან საექიმო პუნქტს.

◆ ოზურგეთის მაზრაში არსებულ საექიმო პუნქტებისათვის ჯანსახკომმა გადაგზავნა 10.000 მ. საექიმო იარაღები, წამლეულობა და თეთრეული.

◆ ახკანში წითელი ჯვარი ხსნის საექიმო პუნქტს.

◆ სვანეთის გზატკეცილებზე მომუშავეთათვის ჯანსახკომმა საექიმო პუნქტები გახსნა ჯვარში და ობიაში. აგრეთვე მოაწყო 2 მოძრავი საფერშლო პუნქტი.

### სხვადასხვა

◆ წერა-კით. უცოდინართა აღრიცხვა. პოლიტგანათლების მთ. მმართველობა შეუდგა წერა-კით. უცოდინართა აღრიცხვას.

◆ შრ. კომისარიატის რეორგანიზაცია. სპეციალური კომისია უკვე შეუდგა შრომის კომისარიატის რეორგანიზაციას.

—:—

### ჟურნ. „დროშა" № 6 (80)

გამოვიდა ჟურნ. „დროშა" № 6 (30). შინაარსი: ე. ხუციშვილი—კოლექტივიზაციის ფრონტზე; ივ. თუმანიანი—ძია ნესოს ქვის აბანო; გ. ქუჩიშვილი—მშრომელი ქალის სიმღერა (ლექსი); ე. გოხელი—25 წლის წინად; ნინო ტყეშელაშვილი — ეკატერინე გაბაშვილი; ალ. სულავა—ქუთაისის სახელმწიფო აკადემიური დრამა; არჩილ ჩაჩიბაია—დღეები სოფლად; სერგი მაკალათია—მთიულეთი; ხანდრო შანშიაშვილი—ქარაიცი (გაგრძელება); ჩვენი ფოტო-ქრონიკა; ქრონიკა სურათებში; ჟურნალში მოთავსებულია 40-ზე მეტი სურათი.

## დიდი ხანძარი კულაშში

**სამტრედია,** 30 მარტი. (საქ. კორესპ.) 28 მარტს ღამის პირველ საათზე სოფ. კულაშში (სამტრედიის რაიონი), ხანძარი გაუჩნდა მოქ. დავით შამელაშვილის სახლს. დაიწვა სამი ოთახი მთელი ინვენტარით.

ხანძარი გადავიდა შაფათა გუგულაშვილის, არონ მიხეილაშვილის, აბრამ, დავით და ბეხაია შამელაშვილის, ეფრემ აბრამიშვილის და შაფათა ბათერაშვილის სახლებზე. იყო ადამიანის მსხვერპლიც: დაიწვა და გარდაიცვალა გაბრიელ აბრამის-ძე კოკიაშვილი.

ცეცხლი ჩააქრო ქუთაისის სახანძრო რაზმმა, სამტრედიის რკინის გზის და ხონის სახანძრო რაზმების დახმარებით. საერთო ზარალი 17.900 მანეთს უდრის.

## ინდუსტრიალიზაციის მე-2 სესხის მე-6 ტირაჟი

### (მოგებათა ოფიციალური ცხრილი)

### პროცენტიანი გამოშვება

| სერია. | ობლ. | მოგება | სერია. | ობლ. | მოგება | სერია. | ობლ. | მოგება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 00004 | 1—25 | 100 | 20610 | 1—25 | 100 | 50649 | 1—25 | 100 |
| 00305 | 1—25 | 100 | 20706 | 1—25 | 100 | 51172 | 1—25 | 100 |
| 00486 | 1—25 | 100 | 20830 | 1—25 | 100 | 51222 | 1—25 | 100 |
| 00518 | 1—25 | 100 | 20801 | 1—25 | 100 | 51329 | 1—25 | 100 |
| 00925 | 1—25 | 100 | 20924 | 04*) | 1000 | 51331 | 1—25 | 100 |
| 01173 | 01*) | 1000 | 22495 | 1—25 | 100 | 51595 | 1—25 | 100 |
| 01295 | 1—25 | 100 | 22777 | 1—25 | 100 | 51827 | 1—25 | 250 |
| 01356 | 1—25 | 100 | 22860 | 1—25 | 100 | 52065 | 1—25 | 100 |
| 01423 | 1—25 | 100 | 23285 | 1—25 | 100 | 52833 | 1—25 | 100 |
| 01450 | 1—25 | 100 | 23641 | 1—25 | 100 | 53174 | 1—25 | 100 |
| 01556 | 1—25 | 100 | 23699 | 1—25 | 100 | 53266 | 1—25 | 100 |
| 01655 | 1—25 | 100 | 24434 | 1—25 | 100 | 53270 | 1—25 | 100 |
| 01749 | 1—25 | 100 | 25409 | 10*) | 1000 | 53709 | 19*) | 1000 |
| 02180 | 1—25 | 250 | 25438 | 1—25 | 100 | 53720 | 1—25 | 100 |
| 02194 | 1—25 | 100 | 25784 | 1—25 | 100 | 54147 | 1—25 | 100 |
| 02755 | 1—25 | 100 | 25929 | 1—25 | 100 | 54601 | 1—25 | 100 |
| 02801 | 1—25 | 100 | 26252 | 1—25 | 100 | 55031 | 1—25 | 100 |
| 02849 | 1—25 | 100 | 26492 | 1—25 | 100 | 55259 | 1—25 | 100 |
| 03356 | 15*) | 1000 | 26674 | 1—25 | 100 | 55561 | 22*) | 1000 |
| 03502 | 1—25 | 100 | 26750 | 1—25 | 100 | 55660 | 1—25 | 100 |
| 04402 | 1—25 | 100 | 26797 | 1—25 | 100 | 55842 | 1—25 | 100 |
| 04587 | 1—25 | 100 | 26827 | 1—25 | 100 | 55855 | 1—25 | 100 |
| 04663 | 1—25 | 100 | 27657 | 1—25 | 100 | 56563 | 1—25 | 100 |
| 05141 | 1—25 | 100 | 29067 | 1—25 | 100 | 57208 | 1—25 | 100 |
| 05469 | 1—25 | 100 | 30131 | 1—25 | 100 | 57382 | 1—25 | 100 |
| 05888 | 19*) | 100 | 30484 | 1—25 | 100 | 57653 | 1—25 | 100 |
| 06104 | 1—25 | 100 | 30519 | 1—25 | 100 | 60060 | 1—25 | 100 |
| 06234 | 1—25 | 100 | 30922 | 11*) | 1000 | 60267 | 1—25 | 100 |
| 06531 | 1—25 | 100 | 31403 | 1—25 | 100 | 61220 | 22*) | 1000 |
| 07060 | 1—25 | 100 | 31690 | 1—25 | 100 | 61520 | 1—25 | 100 |
| 07261 | 1—25 | 100 | 32010 | 1—25 | 100 | 61549 | 1—25 | 100 |
| 07512 | 1—25 | 100 | 32130 | 1—25 | 100 | 61905 | 1—25 | 100 |
| 07589 | 1—25 | 100 | 32199 | 1—25 | 100 | 62115 | 1—25 | 100 |
| 07918 | 1—25 | 100 | 32686 | 1—25 | 100 | 62666 | 1—25 | 100 |
| 08059 | 1—25 | 100 | 33275 | 1—25 | 100 | 63995 | 1—25 | 100 |
| 0808 | 1—25 | 100 | 33464 | 22*) | 5000 | 64362 | 1—25 | 100 |
| 08769 | 1—25 | 100 | 33558 | 1—25 | 100 | 64389 | 1—25 | 100 |
| 08920 | 20*) | 1000 | 34109 | 1—25 | 100 | 64667 | 1—25 | 100 |
| 09477 | 1—25 | 100 | 34142 | 1—25 | 100 | 64926 | 1—25 | 100 |
| 09807 | 23*) | 1000 | 34252 | 1—25 | 100 | 65022 | 1—25 | 250 |
| 10772 | 1—25 | 100 | 34324 | 1—25 | 100 | 65153 | 1—25 | 100 |
| 11091 | 1—25 | 100 | 34519 | 1—25 | 100 | 65155 | 1—25 | 100 |
| 11389 | 1—25 | 100 | 34743 | 1—25 | 100 | 65543 | 1—25 | 100 |
| 11645 | 1—25 | 100 | 34818 | 1—25 | 100 | 65607 | 1—25 | 100 |
| 12095 | 1—25 | 100 | 35168 | 1—25 | 250 | 65697 | 13*) | 1000 |
| 12458 | 1—25 | 100 | 35519 | 1—25 | 100 | 65743 | 1—25 | 100 |
| 12759 | 1—25 | 100 | 36058 | 1—25 | 100 | 65929 | 03*) | 1000 |
| 13360 | 1—25 | 100 | 36095 | 1—25 | 100 | 66606 | 17*) | 1000 |
| 13712 | 19*) | 1000 | 36412 | 1—25 | 100 | 67280 | 1—25 | 100 |
| 14069 | 1—25 | 100 | 36671 | 1—25 | 100 | 67307 | 1—25 | 100 |
| 14292 | 1—25 | 100 | 37101 | 1—25 | 100 | 67433 | 1—25 | 100 |
| 14853 | 1—25 | 100 | 37521 | 1—25 | 100 | 68940 | 1—25 | 100 |
| 15058 | 1—25 | 100 | 38561 | 1—25 | 100 | 69617 | 1—25 | 100 |

*) ამავე სერიის დანარჩენმა 24 ობლიგაციამ მოიგო თვითეულმა ას-ასი მანეთი.

(გაგრძელება იქნება)

## ადგილობრივი მრეწველობის ნაკლი და მიღწევები

### (თბილისის საბჭოს პლენუმი)

კვირას, 30 მარტს თბილისის მუშათა თეატრში შესდგა თბილისის საბჭოს მე-12 პლენუმი, რომელზედაც ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. **დ. თხილავამ.**

მომხსენებელი შეეხო ადგილობრივ მრეწველობის მდგომარეობას გასულ წელში და აღნიშნა, რომ გასულ წელს ადგილობრივ მრეწველობის განყოფილების წარმოებებმა საწარმოო გეგმა შეასრულეს 3,9 პროცენტის დანაკლისით, რაც უმთავრესად გამოწვეული იყო ზოგიერთ წარმოებების რეკონსტრუქციით, ნედლი მასალის სიმცირით და სხ.

გასულ წელს ყველა წარმოებებმა გამოიმუშავეს 4.771.561 მანეთის პროდუქცია.

თვითღირებულება, კვების კომბინატის გამოკლებით, შემცირებულ იქნა 7,8 პროცენტით, კომბინატისათ—0,6 პროცენტით. ეს გარემოება უნდა მიეწეროს ნედლ მასალაზე ფასების აწევას, მაგალითად, შაქარი, ფქვილი და სხ.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო 1929-30 წლის საწარმოო გეგმებს და ამ წლის პირველ 5 თვეში ჩატარებულ შედეგებს.

ამ ხნის განმავლობაში, განყოფილებას არ მიუღია თავის დროზე გეგმით გათვალისწინებული თანხები, ადგილი ქონდა ნედლი მასალის სიმცირეს. არც სოცშეჯიბრება ყოფილა დამაკმაყოფილებლად გაშლილი.

ახალ მშენებლობაზე წელს დაიხარჯება 743.000 მ. ამ თანხით ნავთლუღში აგებული იქნება გაჯის ქარხანა, სანდარაში—ქვის სატეხი სახელოსნო, ღრმა ღელეში შენდება აგურის მექანიკური ქარხანა და სხ. აგრეთვე განზრახულია კურსების გრანიტის ქარხნის გაფართოება.

უნდა აღინიშნოს, რომ კურსების გრანიტზე დიდი მოთხოვნილებაა, როგორც საბჭოთა კავშირში, ისე უცხოეთში. მაგალითად, კურსების ქარხნის ერთი წლის პროდუქცია უკვე შეისყიდა სამხრეთ-ამერიკამ.

არსებულ ქარხნების გაფართოება-რეკონსტრუქციაზე დაიხარჯება 905.000 მ. განყოფილება წელს ახალმშენებლობაზე და არსებულ ქარხნების გაფართოების საქმეზე დახარჯავს 1.648.000 მანეთს. საბრუნავი თანხის გასადიდებლად გამოთხოვილია 65.000 მ.

პირველ 5 თვეში საწარმოო გეგმა ნაცვლად 41 პროცენტისა, შესრულებულ იქნა 37 პროცენტით. საწარმოო გეგმის შეუსრულებლობის მიზეზია ის გარემოება, რომ ჩვენი წარმოებების უმრავლესობას აქვს სეზონური ხასიათი, მაგალითად, აგურის ქარხნები, ლუდის ქარხანა და სხ.

აღსანიშნავია შემდეგი გარემოებაც: თბილისის წარმოებებში შრომის ხელფასი წინ უსწრებს გამომუშავების ნორმებს. ეს გამოწვეულია იმით, რომ მრავალ წარმოებაში რეკონსტრუქციის შემდეგ მუშა ამზადებს ორჯერ-სამჯერ მეტს, ვიდრე ამზადებდა. გავად დაიხარჯება 50.000 მანეთამდე.

ამ არა ნორმალურ მდგომარეობას ჯერ კიდევ ვერ მოეღო ბოლო.

გასულ წელთან შედარებით წელს საგრძნობლად განმტკიცებულია შრომის დისციპლინა, გატარებულია ერთმმართველობა და სხ.

განყოფილებამ კონტრაქტაციით აიყვანა 8 სტუდენტი და პროფტექნიკურ განათლების კურსებზე გაგზავნა 23 კაცი კვალიფიკაციის ასაწევად.

სულ წელს მუშათა კვალიფიკაციის ასაწევად დაიხარჯება 50.000 მანეთამდე.

მოხსენების ირგვლივ კამათი გადაიდო 3 აპრილისათვის.

## შემთხვევები

### ხანძარი

კლარა ცეტკინის ქუჩაზე ცეცხლი გაუჩნდა სახლს № 10. ცეცხლი ჩააქრეს. ზარალი [illegible].

### ბავშვის დაკარგვა

30 მარტს, საღამოს 5 საათზე გავიდა სახლიდან (ორჯონიკიძის ქუჩა № 29) და აღარ დაბრუნებულა ხუთი წლის ბავში მიკოჩა ხალათიანი. აცვია ლურჯი ხალათი, რუხი შარვალი, ძველი ჩუსტები, უქუდო, მნახველებს ვთხოვთ აცნობონ მშობლებს ზემონაჩვენები მისამართით.

### შეპყრობა

ქურდობისა და [illegible] დააპატიმრეს ბაგრატა ლომის ძე ჭკადუა, მიხეილ ისაკის ძე ლომაშვილი და სეხია მოსეს ძე ბოთაშვილი.

### გაძარცვა

მეოთხე სამილიციო უბანში ირაკლი ზაქარიას ძე წიკლაურს თავს დაესხა ორი შეიარაღებული ბოროტმოქმედი, რომლებმაც სიკვდილის მუქარით იგი გაძარცვეს. თავდამსხმელები მიიმალნენ.

### ქურდობა

სტეფანე გამაზოვი (1-ლი სამილიციო უბანი) გაქურდა მისმა ნათესავმა ნინა გიგოს ასულმა პაპიჯანოვამ. ქურდი მიიმალა. — გაქურდეს ცაცა ფოცხიშვილის ბინა (ტრიბუნალის ქ. № 46), საიდანაც წაიღეს 320 მანეთის ნივთები.—ნესტორ სიხარულიძის ბინიდან (ბორჯომის ქ. № 8) მოიპარეს 400 მანეთის ნივთები.

## სასამართლო

### გაქურდული კოოპერატივში

მუშკოოპის № 483 მაღაზიის გასტრონომიული სექციის გამგე ზაქარია სერგის ძე სულხანიშვილი ერთი თვის განმავლობაში დატოვებულ იქნა მთელი მაღაზიის გამგის თანამდებობაზე გამგის შვებულებაში წასვლის გამო. ეს იყო გასული წლის აგვისტოში.

დაბრუნდა გამგე შვებულებიდან და რატომღაც აუწერლად არ ჩაიბარა მაღაზია. ეს ძალიან საწყენად დაურჩა „გამგის მაგიერს" სულხანიშვილს და ნიშნად პროტესტისა არ დაესწრო მაღაზიის აღწერას.

აღწერამ კი მეტად ცუდი შთაბეჭდილება დასტოვა. გასტრონომიულ სექციაში დანაკლისი აღმოჩნდა 1779 მანეთი, სამელეთო განყოფილებაში—570 მანეთი. საერთო დანაკლისი 2.000 მანეთს გადასცილდა.

სულხანიშვილი „გაბუტული" იყო და ახლოს არ ეკარებოდა მაღაზიის გამგეს.

საქმე გადაეცა სისხლის სამართლის მილიციას. სულხანიშვილმა მოითავმდაბლა თავი და იკადრა ახსნა-განმარტების მიცემა.

მთავარ არგუმენტად ბრალდების წინააღმდეგ სულხანიშვილმა დაასახელა ის გარემოება, რომ ის აღწერას არ დასწრებია. მიუხედავად იმისა, რომ მისთვის არავის უკრძალავს აღწერაზე დასწრება. პირიქით, კიდეც სთხოვეს დასწრება.

სულხანიშვილმა თავი იმართლა აგრეთვე იმითაც, რომ სურსათი უფუჭდებოდა მაღაზიაში, რაც მხედველობაში თითქოს არ ყოფილა მიღებული დანაკლისის გამოანგარიშების დროს. მიიღეს ყველაფერი მხედველობაში, მაგრამ გაფლანგული თანხის რაოდენობას დიდი არაფერი დააკლდა. მაინც დარჩა 2.000 მანეთამდე.

— აღარ ვიცი სწორედ საიდან შესდგა ამოდენა თანხა,—გაკვირვებით სთქვა სულხანიშვილმა.

სულხანიშვილი გაიგზავნა გამასწორებელ სახლში. საქმე გასარჩევად გადაეცა თბილისის 1 უბნის სახალხო სასამართლოს.

**მერ.**

## ნარევი

### საოჯახო კინო

შეერთ. შტატებში გასაყიდათ გამოუშვეს იაფი და საკმაოდ კარგი ღირსების აპარატი კინო-ფილმების გადასაღებათ და ბინაზე საჩვენებლად. რათა აპარატი იაფი ყოფილიყო, შეამცირეს სურათების ზომა. აპარატში სარგებლობენ ნორმალური კინო-ლენტით, მაგრამ თითეულ კადრზე ერთი სურათის მაგიერ შესაძლებელია ოთხი სურათის გადაღება. ეს გაუმჯობესება საშინაო კინემატოგრაფიას 75 პროცენტით აიაფებს. მთელი რიგი გაუმჯობესებები შეტანილი აგრეთვე სურათის საჩვენებელ აპარატში. კინო-ლენტის ჩვენება შეიძლება როგორც ხელოვნური სინათლის (ელექტრო სინათლის) საშუალებით, ისე ჩვეულებრივ (დღის) სინათლეზე.

### ნახშირმჟავა ყინულის მაგიერ

ამ რამოდენიმე ხნის წინათ შეერთ. შტატებში პროდუქტების და საჭმელების გასაცივებლად ყინულის მაგიერ მაგარი ნახშირმჟავა შემოიღეს.

ნახშირმჟავა, რომელსაც იღებენ, როგორც დამატებითი პროდუქტს მრავალ პროცესების დროს, სადაც იწვის ნახშირი ან კოქსი, ყოველი ქიმიკოსისათვის ცნობილი პროცესების საშუალებით იქცევა ყინულათ და მას ორჯერ ძლიერი გაცივების თვისება აქვს, ვიდრე იმავე რაოდენობის ბუნებრივ ყინულს. მაგრამ, ვინაიდან ამგვარი ხელოვნური ყინული ათჯერ მეტი ღირს, ვიდრე ბუნებრივი, მისი გამოყენების ფარგლები მეტად ვიწროა. ხელოვნურ ყინულს ის დადებითი თვისება აქვს, რომ მას შემდეგ არ რჩება წყალი: მთელი ნახშირმჟავა ორთქლდება.

## პარტიული და საქოთა კალენდარი

მებრძოლ ურმერთოთა კავშირის საქართველოს ცენტრალური საბჭო სთხოვს ქვემო ჩამოთვლილ ამხანაგებს დღეს 1-დან 4 საათამდე გამოცხადნენ საბჭოს ბინაზე (რუსთაველის პროსპ. № 31, განსახკომის შენობა, ოთახი № 39). ციციშვილი ისაკი, თალაკვაძე ვალიკო, დემურია ივანე, აბრამიშვილი ოლღა, შენგელია მარგალიტა, თედორაძე ონისიმე, ღარიბაშვილი ნინო, ფირცხალაიშვილი მოსე, კილაძე ილიკო, ჩარკვიანი კანდიდ და მამალაძე სიმონ.

დღეს, საღამოს 8 საათზე საქ. პოლიტექნიკურ ინსტიტუტის მე-18 აუდიტორიაში შესდგება სამშენებლო ფაკულტეტის კომუჯრედის ღია კრება.

დღეს, საღამოს 7 საათზე საქ. კ.პ. (ბ) ც. კ. კულტურისა და პროპაგანდის განყოფილებაში შესდგება „2000"-ანთა თათბირი, რომელზეც, უნდა გამოცხადნენ ქვემო ჩამოთვლილი ამხანაგები: ციხელაშვილი, მხაცაკახოვი, რაძე, ბუაძე, სილაძე, ბარნაბიშვილი, გოგოლიშვილი, ჯიოევი, გორგაძე, მალლაკელიძე, ტკიანი, ხაინდრავა, დარბინიანი, პლახოვი, ანოკი, ბარბაქაძე, მირზოევი, ლიოზნანსკია, ბარამიძე—მეზურნოვა, კოჩაროვი, ხეჩოევი, ხაჩატუროვი, სანკოევი, კოკალეიშვილი, ანასტასიადი, რუხაძე, ქიტია.

**აპოლო**
1-ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ.

**სოლეი**
1-ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ.

**როზა ლიუქსემბურგის სახ. (ყოფ. მინიონი)**

საქართველოს სახკინმრეწვის ახალი სურათი
**საკანი № 79**
სცენარი შ. ალხაზიშვილის და ს. დოლიძის.
რეჟისორი შ. ბერიშვილი.
ოპერატორი ა. დიღმელოვი.
მთავარ როლებში:
სახალხო არტისტი ნინო ჩხეიძე, თ. ბოლქვაძე, ნ. მამულაიშვილი, კ. ყარალაშვილი, ი. თუხარელი, ი. ხონელი.

**პალასი**
1-ლი სეანსის დასაწყისი 6 ს. 15 წ.

მხატვრული ფილმი
**შავი იალქანი**
შატერნიკოვას და სავინის მონაწილეობით.

**სპარტაკი**
ყოფ. **არფასტო**

დადგმის მეორე კვირა
**ლურჯი საყელოები**
რეჟისორი ბ. შპისი.

**დარბაზი**
1-ლი სეანსის დასაწყისი 6 ს. 15 წ.

პატი და პატაშონი კომედიაში
**წარჩინებული მოგზაურები**

**ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი**
1929—30 წ. სეზონი

სამშაბათს, 1 აპრილს, მე-7 აბონემ. მე-12 წარმ. მ. ი. ბრეხმან-შტენგელის და მ. ტ. გოლინსკის მონაწილეობით **ტ ო ს კ ა**
ოთხშაბათს, 2 აპრილს, აბონემენტის გარეშე დ. გოლოვინის მონაწ. **დემონი**
ხუთშაბათს, 3 აპრილს, მე-5 აბონემენ. მე-13 წარმ. **შოთა რუსთაველი**
მთლიანად გამოუსყიდავი აბონემენტები გაუქმებულია. სააბონემენტო წარმოდგენების გადადება შეწყვეტილია.
ნ. 530

ამიერ-კავკასიის სამომხმარებლო კოოპერატივების კავშირის „ზაკსოიუზ"-ის და ამიერ-კავკასიის სამხედრო-სამომხმარებლო საზოგადოების „ზაკვოენკო"-ს გამგეობები საყოველთაოდ აცხადებენ, რომ ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს 1930 წლის 13 მარტის დადგენილების თანახმად 1930 წლის 1 აპრილიდან ხდება

**„ზაკვოენკო"-ს,**

როგორც დამოუკიდებელი კოოპერატიული ორგანიზაციის,

**ლიკვიდაცია**

და სამხედრო მოსამსახურეთა და მათი ოჯახების დაკმაყოფილება გადადის საერთო სამოქალაქო კოოპერაციის ხელში.

„ზაკვოენკო"-ს აქტივი და პასივი 1930 წლის 1 აპრილისათვის დახურვის ბალანსით გადადის „ზაკსოიუზ"-ის ხელში.

ბალანსის შედგენამდე და აქტივისა და პასივის „ზაკსოიუზ"-ისათვის ფაქტიურად გადაცემის დამთავრებამდე „ზაკვოენკო"-ს გამგეობა განაგრძობს თავის მუშაობას სალიკვიდაციო კომისიის ფუნქციებით.

ყველა იმ დაწესებულებებმა, ორგანიზაციებმა და პირებმა, რომლებსაც აქვთ რაიმე პრეტენზიები „ზაკვოენკო"-ს მიმართ, უნდა წარუდგინონ ასეთი „ზაკვოენკო"-ს გამგეობას (ქ. თბილისი, რუსთაველის პრ. № 34) არა უგვიანეს 1930 წლის 1 მაისისა.

1930 წლის 1 მაისის შემდეგ განცხადებულ და ბალანსით გამოურკვეველ პრეტენზიებზე „ზაკსოიუზ"-ი პასუხისმგებლობას არ კისრულობს.

„ზაკსოიუზ"-ის გამგეობის თავმჯდომარე აკიმოვი.
„ზაკვოენკო"-ს გამგეობის თავმჯდომარე გიკი.
ნ. 555

**კინო-სპარტაკი**
(ყოფ. არფასტო)
**ამ დღეებში**
პრემიერა
ნამდვილი კინო-დოკუმენტი
**შორეულ აღმოსავლეთის განსაკუთრებ. არმია**
კონფლიქტის შინაარსი:
1. კონფლიქტი აღმ.-ჩინეთის რკინის გზაზე.
2. შორეულ-აღმოს. განსაკუთრებ. არმია სადარაჯოზე.
3. ბრძოლა ფუგდინთან.
4. ჯალაინ-რის დაკავება და ბრძოლა მანჯურიასთან.
5. მანჯურია.
6. კონფლიქტ. ლიკვიდაცია.

მიიღება ხელისმოწერა გაზეთ
**„კომუნისტ"-ზე**
**აპრილისათვის**
1) გაზეთის თავისდროზე მიღებისათვის საჭიროა ხელისმოწერა დასრულდეს მარტის 30-მდე.
2) ვინც 1 აპრილის შემდეგ გამოიწერს გაზეთს, ის წარსული დღეების ნომრებს ვერ მიიღებს.
დააჩქარეთ ხელისმოწერა! 0—7

**საქ. ჯ. ს. კომისარიატის აპარატის გამწმენდი კომისია**
აცხადებს, რომ ა. წ. 2 აპრილს, საღამოს 6 საათზე, ევანგულოვის ქ. № 12 (პედაგოგიური ინსტიტუტის შენობა)
**იწყება ჯანსახკომის და კურორტთა მთავარ სამმართველოს**
**≡ აპარატის წმენდა ≡**
მოსმენილ იქნება ამხ. კუპაიძის მოხსენება ჯანსახკომის აპარატის მუშაობის შესახებ. კომისიის შემადგენლობა: სავა ორჯონიკიძე (თავმჯდომარე), დუნდუა, შ. მახარაძე, მეგრაბიანი, ფრანგულიანი, ალავიძე და ფალავანდიშვილი.
ზემოაღნიშნულ დაწესებულებათა თანამშრომლებს ევალებათ ხსენებულ დროისათვის გამოცხადდენ დანიშნულ ადგილას.
გამწმენდი კომისია.

**საქართვ. წითელი ჯვრის**
ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის (ყ. გერმანელების)
**საავადმყოფო და პოლიკლინიკა**
კამოს ქ. № 54, სანაპირო № 15—ტელეფ. № 9—17, 21—99.
**საავადმყოფოს განყოფილებები:**
ქირურგიული განყ. — — გამგე პროფ. ა. მაჭავარიანი.
თერაპევტიული „ — — „ პროფ. ა. ალადაშვილი
სამეანო „ — — „ პროფ. ი. თიკანაძე
გინეკოლოგიური „ — — „ პროფ. გ. ღამბარაშვილი
ყურის, ყელის და ცხვირის გამგე ნ. ასპისოვი.
ლაბორატორია — — — „ ექ. ექ. ი. ხათრიძე, ენ. ფალიაშვილი და ვ. ჩიგოგიძე,
მიიღება ყოველგვარი ანალიზები (სეროლოგიური და ბაქტერიოლოგიური Wassermann-ის რეაქცია და სხვა)
რენტგენის კაბინეტი — — — ექიმი ვ. ნაზარაშვილი.
**პოლიკლინიკა:**
ზემოჩამოთვლილ დარგების კაბინეტებში კონსულტანტებათ არიან იგივე პროფესორები: 11 ს.—1 ს.
ქირურგიულ კაბინეტში ღებულობს — პროფ. გ. მუხაძე
კვირაში სამჯერ: სამშაბ., ხუთშაბათობით და შაბათობით 2—3 ს.
მედიც. დოქ. ნ. ვესელოვზოროვი 2—3, ორშაბათი, ოთხშაბ., პარასკევი.
ქირურგიულ კაბინეტში ღებულობს ექ. გ. ჩაჩიკიანი 3—5 საათამდე.
თერაპევტიულ კაბინეტში — — პროფ. შ. მიქელაძე 2—3 საათამდე.
შინაგანი, ბავშთა ტუბერკულიოზი ექ. ი. ტ. ვორობიოვი 4—5 საათ.
გინეკოლოგიურ კაბინეტში ღებულობს ექ. ი. თუმანიშვილი 4—6 ს.
უროლოგიურ კაბინეტში — დოცენტი ა. წულუკიძე 2—4 საათამდე.
ტუბერკულიოზის კაბინეტში — დოცენტი ი. აბაკელია 11—1 საათ.
ყელი, ყური და ცხვირის კაბინეტი 11—1 ს. და 3—4 პროფ. ნ. ასპისოვი
თვალის სნეულებათა კაბინეტში პროფ. ვ. მუსხელიშვილი 1—3 საათ.
ვენერიულ სნეულებათა კაბინეტში ექ. ა. ჯავრიშვილი 4—6 საათ.
იმავე კაბინეტში კონსულტანტათ პროფ. ბურგსდორფი.
ნერვიულ სნეულებათა კაბინეტში ექ. პონდოევი 3—5 საათამდე.
ბავშთა ავადმყოფობის კაბინეტში ექ. მ. უგრელიძე 2—4 საათამდე.
კუჭ-ნაწლავებთა დავადებანი ექ. ი. მეძლიშვილი 2—4 საათამდე.
კბილის სნეულებათა კაბინეტში ექ. ვ. ტოტვენი 12—3 საათამდე.
პოლიკლინიკაში არსებობს ფიზიო ტერაპევტიული კაბინეტი, სადაც სწარმოებს ფიზიკურ მეთოდებით მკურნალობა.
პოლიკლინიკაში ავადმყოფებს გადახდება ერთი ძან. 77—

**რუსთაველის თეატრი**
სამშაბათი 1 აპრილი
კავშირებისათვის
კიროვი
**ქართა ქალაქი**
3 ნაწ. და 16 სურ. თარგ. შანშიაშვილის და ბოკერიასი
შეღავათიან ბილეთებზე შეკვეთა მიიღება თეატრის სალაროში.

**გაზ. „კომუნისტი"-ს კანტორა**
**სთხოვს ხელისმომწერლებს,**
**განსაკუთრებით პროვინციელებს,**
რომ იმ შემთხვევებში, როდესაც საჭიროა რაიმე ცვლილებების შეტანა მათ მისამართებში, ან გაზეთებს უწესრიგოდ იღებენ, აუცილებლად აჭრონ გაზეთიდან და გამოგვიგზავნონ წერილთან ერთად ის მისამართი, რომლითაც გაზეთი ეგზავნებათ.
წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი წერილები, მისამართებთან დაკავშირებული, უყურადღებოდ იქნება დატოვებული.
ამასთან ერთად მისამართის შეცვლის მსურველნი მოვალენი არიან გადმოგზავნონ კანტორაში 25 კ. საკანცელარიო ხარჯების დასაფარავად. 0—7

**სახელმწიფო უნივერსიტეტის სტომატოლოგიურ კლინიკაში და ოდონტოლოგიურ ინსტიტუტში**
(პლეხანოვის პრ. № 126)
**დაიწყო ავადმყოფების მიღება**
საღამოს საათებში
შეღავათიან ფასებში.
4—6-მდე კბილების მკურნალობა.
6—8-მდე ხელოვნ. კბილების ჩასმა.
25—3 818

**დიქცია და მხატვრული კითხვა**
(დეკლამაცია)
თეორ. და პრაქტიკული მეცადინეობა (ჯგუფი)
**ნ. შიუკაშვილთან**
კალინინის ქ. (ყოფ. ნიკოლაზის) № 21
1094 6—5

თვითგანვითარებისთვის და საშემოდ. გამოცდებისათვის
**ვამზადებ მოწაფეებს**
7 წლ. და 10 წლედ. დამთავრებულებს სპეც-ტეხნიკუმში: ინდუსტრ. ქიმიურ. ფარმაც. და **უმაღლეს სასწავლებელში** მუშათა ფაკულ. 1 და 2 კურს. და მუშათა უნივერსიტ. შესასვლელად, შემდეგ საგნებში: არითმეტ. ალგებ. გეომ. ტრიგონომ. რუსულსა და გერმანულ ენაში, ვასწორებ ჩამორჩენილ და სუსტს მოწაფეებსაც. ნახვა და ჩაწერა 1—7 საათამდის. მისამართი: კარლ მარქსის მოედნის ახლოს (ყოფ. ვორონცოვის მოედანი პლეხანოვის და ალექსის ქუჩის კუთხე № 5. 6—6

**საჭიროა**
**მარმარილოს დაფები.**
იკითხეთ საქართ. სახელმწ. პოლიტეხნიკ. ინსტიტუტის ტეხნიკური სექცია. თავისუფლების მოედანი ქარვასლა, ტელ. № 21—92. 18 4

### ექიმები და სამკურნალო დაწესებულებები:

**პ. ს. ფონ-ირეტელი** პლეხანოვის პრ. № 10 (ყ. ვორონცოვის მოედანის მახლობლად). სპეციალურად საშარდე-სასქესო, ვენერიული, კანის, ქირურგიული ავადმყოფობანი, სიფილისი და სხვ. (სქესობრივი უძლურების, ტრიპერის, სიფილისის, ბუასილის და ხიმსიმენთა მკურნალობა). ავადმყოფების მიღება დილის 8—12 საათამდე და საღ. 5—8 საათ. ქალების მიღება დღის 1—2 საათ. 13—10

**გ. გ. შახნაზაროვი** სპეციალურად სიფილისი, „914" შეშხაპუნება, ტრიპერი მწვავე და ქრონიკული და სხვა ვენერიული სნეულებანი ავადმყოფების მიღება ნაშუადღევის 4-დან 8 საათამდე. ქალების 4—5 საათამდე. ვახერის ქ. (ყ. კრასნოგორის) № 33 (ყოფ. თუმანოვის ქუჩის კუთხე) 25—1

**ი. ი. ბერიშვილი** ვენერიული, საშარდე-სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოე"-ს პირდაპირ, ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

**ნინო მირიანაშვილი** ექიმი—ვენეროლოგი იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს ტრიპერი, სიფილისი, შესხმა „914" (ქალებს და ბავშვებს) საღამოს 6—8 საათამდე. მოსკოვის ქუჩა № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

**ტერ-ოვაკიმოვი** სპეციალურად ექიმობს სქესობრივ ფუნქციონალურ მოშლილობას (სქესობრივი ნევრასტენია), პსიქოტერაპია. მიღება დილით 10—12 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე. ა.-კ. ფედერაციის ქ. (ყოფ. ველიამინოვის) № 22. 25—1

**გ. ნ. ონანოვი** სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი: სქესობრივი უძლურების წამლობა. ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9-დან 11 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე. კ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) სახ. № 3. 25—1

**დ. ლ. თევზაძე** ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებათა—ხმის და მეტყველების მოშლილობათა. ეზოფაგოსკოპია და ბრონქოსკოპია აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა. მიღება: საღამოს 5—7 საათ. გარდა კვირა დღეებისა. ჰონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩის) სოლოლ. ტელ. 25—73. 25—1

**ა. ვ. მიქაბერიძე** პარიზში 1923 წ, დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი" მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ. ძნელაძის ქუჩა (ყოფ საპიორის) 19. იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8 დე. შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან. 25—

### ქვემოდ ჩამოთვლილი დოკუმენტები

(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულათ.

— ლომბარდის ქვით. № 131269 და ნაგანის ტარების მოწმ. № 2935—სტეფანე გამაზოვის სახელზე. 1838
— პურის წიგნ. და მუშკ. წიგნ.—რევასტი კალანდაძის სახელზე. 1727
— პურის წიგნ. „ზაკვოენკო"-ს საწევრო წიგნ.—გიორგი გაჩეჩილაძის სახელზე. 1728
— მეტრ. ამონაწ. № 2272—ტიმოთე ბეჟინოვის სახელზე. 1729
— ჯვადო პასპორტი, ინვალ მოწმ., სამსახურის მოწმ.—გიორგი მეტეხოვის-ძე ჯაჯიევის სახელზე. 1802
— პურის წიგნ. № 1386 ქეთო გელაძის სახელზე. 1106
— პირადობის მოწმ. და რკ. გზ. წლიური ბილეთი—გიორგი ტატიაშვილის სახელზე. 1808
— 2 ცალი რძის აბონ.—მაქსიმე ი. ქემოკლიძის სახელზე. 1812
— პარტ. ბილ. № 0861243, კავშ. წიგნ. № 11904, მუშკ. წიგნ. № 038534, პირად. მოწმ. № 1813, ობლ. კუპონი IV № 05 სერია № 981545, გრიგოლ ბურჯანაძის სახელზე. 1811
— კოოპერ. საწ. წიგნ. № 72337—არისტრახ ცხაკაიას სახელზე. 1815
— მუშკ. საწ. წიგნ. № 21389—დავით გარიბოვის სახელზე. 1816
— ქორწინების მოწმ. და მელ თონეთა კავშ. წიგნ. № 2048—აბრამ აკოპოვის სახელზე. 1819
— პურის წიგნ. 4-სულის „ბ" და „ვ" ლიტ.—აკაკი შონვაძის სახ. 1820
— მეტრ. ამონაწ. კონსტანტინე სოლომონის-ძე ჯიქურაშვილის სახ. 1822
— ზაკტპ. წიგნ № 3801 პ. ვეფხვაძის სახელზე. 1817
— კავშ. წიგნ. № 310694—ივლიანე იაკობაშვილის სახელზე. 1818
— დამზ. კასის წიგნ. № 3841—ალექსანდრე ვასილ ძე ინასარიძის სახ. 1823
— ზაკტპ. წიგნ. № 25604—ნაგერლიშვილის სახელზე. 1828
— 2 სულის პურის წიგნ. ლიტერი „ბ" პარმენ ჯაფარიძის სახ. უფ.

განათლების სახალხო კომისარიატი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 30 მარტს გარდაიცვალა
**პროფ. სპირიდონ სიმონის-ძე**
**ვირსალაძე**
სამოქალაქო პანაშვიდი რესპუბლიკის მთ. საავადმყოფოში 1 აპრილს საღამოს 7 საათზე, ხოლო 2 აპრილს ნაშუადღევის 3 საათზე—უნივერსიტეტის შენობაში. გამოსვენება იქიდანვე სრულ 3 ნახ. საათზე, დაკრძალვა დიდუბის პანთეონში. 2—1 ნ. 551

საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი ღრმა მწუხარებით იუწყება თავისი უძველესი თანამშრომლის, გამოჩენილი მეცნიერის, ტროპიკული ინსტიტუტის დირექტორის
**პროფ. სპირიდონ სიმონის-ძე**
**ვირსალაძის**
უეცარ გარდაცვალებას. 2—1 1804

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ კვირას, 30 მარტს, დილის 7 საათზე მოულოდნელად გარდაიცვალა სახელმწიფო უნივერსიტეტის
**პროფ. სპირიდონ სიმონის-ძე**
**ვირსალაძე**
სამოქალაქო პანაშვიდი 1-ლ აპრილს საღამოს 7 საათზე, რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში და 2 აპრილს ნაშუადღევის 3 საათზე, უნივერსიტეტის მთავარ შენობაში. გამოსვენება უნივერსიტეტიდან 2 აპრილს, ნაშუადღევის სრულ 3-ნახ. საათზე. დაკრძალვა დიდუბის პანთეონში. 550 2—1

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ კვირას, 30 მარტს, დილის 7 საათზე მოულოდნელად გარდაიცვალა
**პროფ. სპირიდონ სიმონის-ძე**
**ვირსალაძე**
სამოქალაქო პანაშვიდი 1-ლ აპრილს, საღამოს 7 საათზე რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში, ხოლო 2 აპრილს ნაშუადღევის 3 საათზე უნივერსიტეტის მთავარ შენობაში. 550 2-1

საქართველოს ჯანსახკომთან არსებული სამკურნალო კომისია და ა.-კ. სახკომსაბჭოს საქმეთა სამმართველო ღრმა მწუხარებით იუწყება თავისი კონსულტანტის, გამოჩენილი მეცნიერის
**პროფ. სპირიდონ სიმონის-ძე**
**ვირსალაძის**
უეცარ გარდაცვალებას. 2—1 1805

სახელმწიფო უნივერსიტეტის უმცროს მასწავლებელთა კოლეგიუმი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ 30 მარტს უეცრად გარდაიცვალა
**პროფ. სპირიდონ ვირსალაძე**
1826

ჯანსახკომის ბაქტერიოლოგიური ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება ტროპიკულ ინსტიტუტის დირექტორის
**პროფ. სპირიდონ სიმონის-ძე**
**ვირსალაძის**
გარდაცვალებას. 1801

საქ. განათლების მუშაკთა პროფკავშირის თბილისის სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებული ადგილკომი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას პროფესორ
**სპირიდონ სიმონის-ძე ვირსალაძის**
გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი გადახდილი იქნება რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში დღეს საღამოს 7 საათზე. 1831

საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტი აუწყებს საზოგადოებას ინსტიტუტის დირექტორის
**პროფ. სპირიდონ სიმონის-ძე**
**ვირსალაძის**
მოულოდნელად გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი საღამოს 7 საათზე, ცენტრალურ კლინიკურ ინსტიტუტის პროზექტურაში. გამოსვენება 2 აპრილს, უნივერსიტეტის მთავარ შენობიდან 3 ნახ. საათზე. დაკრძალვა დიდუბის პანთეონში. 1832

ტროპიკულ ინსტიტუტთან მოწყობილ ტროპსნეულებათა კურსების პედაგოგიური პერსონალი და მსმენელი ექიმები მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას თავის ძვირფასი მასწავლებლის და ხელმძღვანელის
**პროფ. სპირიდონ სიმონის-ძე**
**ვირსალაძის**
მოულოდნელ გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს საღამოს 7 საათზე, ცენტრ. კლინიკ. ინსტ-ტის პროზექტურაში (კამოს ქუჩა № 47) და 2 აპრილს, დღის 3 საათზე, უნივერსიტეტის შენობაში. გამოსვენება იქიდანვე 3 ნახ. საათ. დაკრძალვა დიდუბის პანთეონში. 2—1 1813

ჯანსახკომის ცენტრალური კლინიკური ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება გამოცდილ კლინიცისტის
**პროფ. სპირიდონ ვირსალაძის**
გარდაცვალებას. 2—1 1833

ზუგდიდის ტროპიკულ სნეულებათა სადგური ულრმეს მწუხარებით აცხადებს საქართველოს ტროპიკულ ინსტიტუტის დირექტორის
**პროფ. სპირიდონ ვირსალაძის**
გარდაცვალებას. ნ. 557

საექიმო ფაკულტეტის მე-6 კურსის სტუდენტობა ღრმად დამწუხრებულია მეცნიერის, ძვირფასი მასწავლებლის და ხელმძღვანელის
**პროფ. სპირიდონ სიმონის-ძე**
**ვირსალაძის**
მოულოდნელად დაკარგვის გამო. 2—1 1827

დაობლებულნი და უნუგეშო ანასტასია, დავით და კონსტანტინე ვირსალაძეები აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ უძვირფასეს და დაუწყარ ქმრის და მამის
**პროფესორ სპირიდონ სიმონის-ძე**
**ვირსალაძის**
უეცარ გარდაცვალებას. 2—1 1822

სენაკის ტროპიკულ სნეულებათა სადგურის თანამშრომელი ექიმები მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ძვირფასი მასწავლებლის და ხელმძღვანელის პროფესორ
**სპირიდონ სიმონის-ძე ვირსალაძის**
უდროოდ გარდაცვალებას. ნ. 559

სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგან სნეულებათა ჰოსპიტალურ კლინიკის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას მასწავლებლისა და ხელმძღვანელის
**პროფ. სპირიდონ სიმონის-ძე**
**ვირსალაძის**
მოულოდნელ გარდაცვალებას. სამ. პანაშვიდი ყოველდღე ცენტრალ. კლინიკ. ინსტიტ. (ყოფ. მიხეილის) საავადმყოფოს პროზექტურაში საღამოს 7 საათზე. გამოსვენ. სახ. უნივერ. მთავარ შენობიდან ოთხშაბათს, 2 აპრილს ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე. 2—1 1836

ელისაბედ ბარათაშვილისა შვილებით, მარიამ ხაბურძანიასი, სოფიო მაჭავარიანისა, ანნა ფანცხავასი შვილებით მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ 30 მარტს უეცრად გარდაიცვალა მათი ძვირფასი სიძე, ტროპიკული ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი
**სპირიდონ სიმონის-ძე ვირსალაძე**

ევსო ქურდაძე, ვიქტორ გვარამია, ჭყურციკაშვილი და მიშა ძამანაშვილი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას
**პროფ. სპირიდ. ვირსალაძის**
მოულოდნელ გარდაცვალებას. 1807

ულრმეს მწუხარებაში მყოფი მეუღლე რიკოლი, შვილი კოტიკო, დედა პელაგია, მამა მიხეილ, ძმები: ერკი, საშა, შალვა, გიორგი, რძლები ქეთო და მარგარიტა. ბიძა ნიკო, ბიცოლა კატო კაკულიები. დები აგრაფინა და ქსენია ქმრით ვიქტორი და ვალოდიათი, მაზლები: დიმიტრი და მართა, ალექსანდრე, რძალი შურა ცინცაძეები, აუწყებენ ნათესავებს ნაცნობთ, რომ ა/წ. 30-მარტს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი
**ნადია დიმიტრის ასული კეკელიასი**
დაკრძალვა სოფ. ჭაგანში ა/წ. 3 ალს საღ. 3 საათზე. 1825

ს. ორჯონიკიძის სახ. კლუბის გამგეობა მუშა-მოსამსახურეები აუწყებენ საზოგადოებას, რომ ა/წ. 30 ეს ხანმოკლე ავად ყოფნის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი ამხანაგის მეუღლე
**ნადია დიმიტრის ასული კეკელიასი**
დაკრძალვა სოფ. ჭაგანში, ა/წ. 3 აპრ, საღ. 3 საათზე. 1824

ღრმად დამწუხრებული ძმები კოსტა, ალ., იოსები; რძლები ნინუცა და კატო; ძმის შვილები ვალოდია, გრიშა; შალიკო და კოლია მაქაცარიები. დაი და სიძე მანანა გრიგოლ თურქიები აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 29 მარტს გარდაიცვალა
**ოქროპირ მ ა ქ ა ა რ ი ა**
გამოსვენება ბინიდან გოგოლის ქუჩა № კუკიის სასაფლაოზე 2 აპრილს, 4 საათზე 1809 2—1

განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფნი დები: ნდუ, მართა, რახილო, ძაბუნა და მარო, მეუღლე ქსენია შვილებით ულრმეს მადლობას უძღვნით მათ, ვინც გაიზიარა ჩვენი მწუხარება ძვირფასი
**არტემ ალექსის-ძე პანდაძის**
უდროოდ დაკარგვის გამო 1815

დედა ირინე, ცოლი თინა შვილებით იუწყებიან, რომ 1 აპრილს, 12 საათზე, კუკიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი
**ივანე დიმიტრის-ძე ქიმარიას**
ხსოვნის აღსანიშნავად 18 3

მეუღლე ვარვარა, შვილები: თამარი, ქეთო, კა, თინა და სიძეები; სერგო ჯიბუტი და ელიზბარ პოლუმორძვი ულრმეს მადლობას უცხადებენ ყველა მათ ვინც გამოსვენ. დასწრებით პატივი სცეს უდროოდ დაღუპულ
**დათიკო ჩეჩელაშვილს** 1830

მწუხარებაში მყოფნი მამა პავლე ივანეს-ძე ჭავჭაძე, და ელენა პატარა შოთიკოთი, ლევან ივანეს-ძე კაკაბაძე, საშა ცაგარეიშვილი, ნ. ლეჟავა, ა. რუხაძე, ს. გიორგაძე, ს. ჟღენტი, იწყებიან, რომ 29 მარტს საღამოს 4 საათზე უეცრად გარდაიცვალა დაუვიწყარი
**დათიკო პავლეს-ძე ჭავჭანიძე**
დაკრძალვა 3 აპრილს, გამოსვენება ლევან კაკაბაძის ბინიდან. ნ. 558

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ელენა შვილებ-გურამით, თინა და ქეთიხოთი; ძმები: ასიკო, კოლია და გრიგოლ ცოლშვილით, დები: პაშა, ნადეჟდა და კატო შვილებით, სიძე ალექსანდრე და ალიოშა ჯაფარიძეები და პაშა კვალი შვილი, დედა თინა აბალაძისა ქმრით ონისრატით, ცოლის-და პაშა შვილისა შვილით და სიძეთი—თამარ და აკაკი შაიძეებით—იწყებიან, რომ 30 მარტს გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი
**ივანე (ვანო) გიორგის-ძე აკრაძე**
სამოქალაქო პანაშვიდი 1 აპრილს, საღ. 6 საათ., ლადო ი. ძ გისტრალის ქ., № 19. დაკრძალვა, ოთხშაბათს, 2 აპრ, საღ. 4 ს. კუკიის სასაფლაოზე (ს)

ტირაჟი—51.578

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა. კამოს ქუჩა № 88.

№ 904